# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 7 დეკემბერი 1999 №234 (1007) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

## რატომ უნდა დავიხიოთ უკან?!

გაიოზ დარსაძე მზადაა, საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს



7

## ქომაგები შოკში, პრეზიდენტი საავადმყოფოში

1:5 „სარაგოსასთან"... ასეთი ანგარიშით „რეალს" შინ 25 წელი არ წაეგო

## ლიდერი უჩვეულოდ შეიცვალა



გუშინ ბათუმში, მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე იუგოსლავიელმა ქალებმა პირველად წააგეს და სატურნირო ცხრილის სათავეში ადგილი სლოვაკებს დაუთმეს.

იუგოსლავია 0,5:1,5 დამარცხდა რუმინეთთან, სლოვაკებმა კი სომხებს 2:0 მოუგეს და 12 ქულა დააგროვეს.

საქართველოს პირველმა ნაკრებმა გუშინდელ, ბოლოსწინა ტურში 1,5:0,5 კი მოუგო ბულგარეთს, თუმცა მხოლოდ 10 ქულა დაუგროვდა და ესპანეთთან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს, 10,5 ქულით მეორე-მესამეზე არიან იუგოსლავია და რუმინეთი. საქართველოს მეორე და მესამე გუნდები ლიდერთა ხუთეულს გვარიანად ჩამორჩებიან. მათ გუშინაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი — მეორე გუნდმა ფრანგებთან 1:1 ითამაშა, მესამე ნაკრები კი შვეიცარიასთან 0,5:1,5 დამარცხდა.

ვაჟთა ტურნირში კვლავ სომხეთი ლიდერობს. ჩვენებურები სატურნირო ცხრილის ფსკერზე არიან და ალბათ იქვე დაასრულებენ ჩემპიონატს. მერვე ტურში ქართველთა პირველმა და მეორე გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით 2:2 ითამაშეს, შესაბამისად, სლოვაკეთთან და პორტუგალიასთან.

## ხვალიდან

ოთხშაბათობით და შაბათობით

ელგუჯა ბერიშვილის

წერილების სერია:

როგორ შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც 2000 წლის 15 თებერვალს ათი წელი შეუსრულდება




# დღეს ტოკიოში მსოფლიო გადანაწილდება



REUTERS ფოტოები

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი დღევანდელი კენჭისყრის სამზადისში არიან

დღეს ტოკიოში, ნაშუადღევს საქართველოს ნაკრების სამსოფლიოსჩემპიონატო მეტოქეთა ვინაობა გაირკვევა. გაირკვევა ისიც, რამდენგუნდიან ჯგუფში მოხვდება ჩვენი ეროვნული გუნდი — ან ხუთს დაუპირისპირდება, ან — ოთხს. ყოველივე წილისყრაზეა დამოკიდებული.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე უეფამ საქართველოს ნაკრები მეხუთე კალათში განთესა ევროპის ყველაზე სუსტ გუნდებთან ერთად: სომხეთი, ესტონეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ალბანეთი, ფარერები, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მალტა, სან მარინო, ანდორა — ამათ საქართველოც დაუმატეთ და მეხუთე კალათიც ეს არის.

ტოკიოს წილისყრის ორგანიზატორები დამსწრეთ ჯერ უჩვენებენ ფილმს „საფრანგეთიდან კორეა-იაპონიამდე", მერე შეკრებილთ ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, კორეისა და იაპონიის ფეხბურთის ფედერაციათა შეფები, ასევე მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მიესალმებიან და...

თავდაპირველად აზიის კონფედერაციის ქვეყნებს უყრიან კენჭს, შემდეგ ოკეანეთს, სამხრეთ, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკას, აფრიკას და ბოლოს — ევროპას.

აუდიტორიას 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ სტადიონებსაც წარუდგენენ და ცერემონიალიც დამთავრდება.

ჩვენ კი გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს ტოკიოში დავუკავშირდით.

— ამ დილით ჩამოვფრინდით იაპონიაში, მშვენივრად გვმასპინძლობენ. სულ რამდენიმე წუთის წინ წილისყრის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლები ტოკიოს მერმა მიგვიღო. ახლა წილისყრასლა ველით — გვითხრა ვალერი ჩოლარიამ და დაამატა, ნაკრების მწვრთნელის ვინაობას სულ მალე შეიტყობთო.

ვნახოთ, ბედი ვის გვარგუნებს...

კობა ინასარიძე

# დევისის თასს იუბილეს ავსტრალიელები გადაუხადიან

ამ უქმეებზე ფრანგულ ნიცაში საუკუნის უკანასკნელი და საიუბილეო, დევისის თასის მეასე გათამაშება დასრულდა. სტუმარმა ავსტრალიელებმა ფრანგებს 3:2 აჯობეს. საგამოფენო ცენტრ „აკროპოლისში" ბერძნული წარმოშობის ოზმა მარკ ფილიპუსისმა ზევსის დარადაც ითამაშა და თავისიანების წარმატებაში ლომის წილიც დაიდო

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS ფოტოები

ჩემპიონები: ტოდ ვუდბრიჯი, მარკ ვუდფორდი, კაპიტანი ჯონ ნიუკომბი, ლეიტონ ჰიუიტი, მარკ ფილიპუსისი

# რატომ უნდა დავიხიოთ უკან?!


გაიოზ დარსაძე

ვაჟა ქითიაშვილის ფოტო

*გაიოზ დარსაძეს ქართული ფეხბურთის ქომაგის წინაშე უკვე წარდგენა აღარ სჭირდება. სპეციალისტმა, რომელმაც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად დიდი თეორიული ცოდნის შეძენა შეძლო, პრაქტიკულადაც წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები და პროვინციულ „სამგურალს" — მთლიანობაში საშუალო სიძლიერის გუნდს — ეროვნული თასის ფინალში გაუკვალა გზა. თუმც ერთი რამ სათქმელია, დარსაძეს დღემდე ერთობ მწირი შესაძლებლობები მიეცა საიმისოდ, რათა თავისი ნიჭი და გამოცდილება სრულად დაეხარჯა ქართული ფეხბურთის სამსახურში. უპირველეს ყოვლისა, აქ იმას ვგულისხმობ, რომ დარსაძეს გასულ ჩემპიონატში „სამგურალში" გატარებული არასრული სეზონის შემდეგ არ მისცემია კლუბში მწვრთნელად მუშაობის საშუალება, თორემ სხვა მხრივ, თქმა არ უნდა, იგი ჩვენებური ფეხბურთის ეპიცენტრში დგას და რამდენიმე დღის წინ უეფას ეგიდით გამართულ პროგრეს-კურსებსაც ხელმძღვანელობდა.*

**— თბილისში მწვრთნელთა პროგრეს-კურსების გამართვის მნიშვნელობაზე რას იტყვით?**

— პირველ რიგში იმას, რომ იტალიური სამწვრთნელო სკოლა ერთ-ერთი უძველესი და საუკეთესოა მსოფლიოში და ჩვენთვის ერთიორად დიდი პატივია, როცა მისი ხელმძღვანელი ჩამოდის პროგრეს-კურსების ჩასატარებლად. ფრანკო ფერარი იტალიასა თუ ევროპაში ცნობილი პიროვნებაა და თავისი საქმის პროფესიონალი. რაც შეეხება თბილისში გამართულ პროგრეს-კურსებს, ორგანიზაციულად მაღალი დონისა იყო, რაც უეფას და სფფ-ს ერთობლივ მუშაობის შედეგია.

**— გეთანხმებით, რომ თბილისში ჩატარებული სამდღიანი პროგრეს-კურსები მართლაც მშვენივრად იყო ორგანიზებული, მაგრამ შინაარსი? რამდენად ნაყოფიერი გამოდგა იგი ჩვენი მწვრთნელებისთვის?**

— ეს კურსები პრაქტიკული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი და სასარგებლო გახლდათ. საინტერესოდ მიმდინარეობდა პრაქტიკულ-თეორიული მეცადინეობები, იმართებოდა დისკუსია, კამათი. ფერარიც კმაყოფილი დარჩა. ვიცი, მკითხავთ, რამდენად საკმარისია სამი დღე მწვრთნელთა განვითარების ამოსაწურად. გეტყვით, რომ მსგავსი პროგრეს-კურსები უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბიურო ჩვენს გარდა კიდევ 12 ქვეყანაში ახორციელებს. მისი მიზანი ის გახლავთ, რომ ამ საქმეს სწორი მიმართულება მისცეს, თორემ რა თქმა უნდა, მისი სრულყოფისათვის რამდენიმე დღე საკმარისი არ არის. არსებობს საკითხები, რომელთა გაშლა-განხილვას 30-40 საათი სჭირდება, მაგრამ უდროობის გამო მთლიანი სამუშაო პროგრამა სამ დღეში ჩაეტია.

**— ვფიქრობ, მსგავსი პროგრეს-კურსების ჩატარებას გარკვეული საფუძველი უნდა გააჩნდეს. მგონი, ამ მხრივ ხელცარიელნი დავხვდით სინიორ ფერარის...**

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

**— იმას, რომ ჩვენში არ არსებობს მწვრთნელთა ერთიანი სალიცენზიო სისტემა.**

— ეს მართლაც გარდაუვალი პროცესია და, ალბათ, ჩვენშიც უნდა დაინერგოს.

**— აქამდე თუ არ გაკეთებულა მსგავსი რამ, გამოდის, დრო უქმად დაგვიკარგავს...**

— შეიძლება ითქვას, რომ ასეა. საერთოდ, რაც უფრო დავაჩქარებთ ჩვენში დასავლეთ ევროპის საფეხბურთო ქვეყნების გამოცდილების დანერგვას, ჩვენთვის მით უფრო სასიკეთო იქნება. რა თქმა უნდა, დასავლეთის გამოცდილებაზე დაყრდნობა თავიდანვე ეფექტური ვერ ვერ იქნება, მაგრამ, მერწმუნე, სწორი მუშაობა ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

**— ფრანკო ფერარიმ რა შთაბეჭდილებით დატოვა თბილისი?**

— იგი ერთობ კმაყოფილი დარჩა სამდღიანი პროგრეს-კურსებით. ლექცია-სემინარებს 40 ქართველი მწვრთნელი ესწრებოდა. ამათგან ორმა-სამმა ისე მოაწონა ფერარის თავი, რომ მითხრა, მათზე დაყრდნობა სამომავლოდ უყოყმანოდ შეგიძლიათო.

**— სასიხარულოდ გვქონია საქმე ქართველებს, სამი იმედისმომცემი მწვრთნელი თუ მოგვეძებნება. ფერარის ხელდასმული სამეული არ უნდა იყო ცოტა უფსკრულის პირას მდგომი ქართული ფეხბურთისთვის...**

— ...

**— ბატონო გაიოზ, გამოგიტყდებით, მიუხედავად იმისა, რომ უეფას ეგიდით თბილისში პროგრეს-კურსების ჩატარება მნიშვნელოვანი ფაქტია, მაინც მგონია, რომ ეს გაცილებით გვიან უნდა მომხდარიყო...**

— პროგრეს-კურსები ამ ეტაპზე მართლაც სასარგებლო იყო ჩვენთვის. სათქმელსაც მიგიხვდით. მიღებული ფორმაა, პირველ ეტაპზე მწვრთნელბმა უნდა მიიღონ B კატეგორიის ლიცენზიები. ვთქვათ, B კატეგორიაზე წარდგენილია 2000 მწვრთნელი, აქედან 200 კაცზე თუ მოხდება A კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზიის გაცემა. უფრო მაღალი ფორმა პროფია, სადაც 200 კაციდან 30-მდე მწვრთნელი თუ მოხვდება...

**— ვითვალისწინებ ისევ და ისევ იმას, რომ ჩვენში მწვრთნელთა ერთიანი სალიცენზიო სისტემა არ ასებობს და გკითხავთ, ფერარიმ თუ იცოდა, რა „პროფებთანაც" ჩამოდიოდა?**

— პროგრეს-კურსებს დაესწრნენ როგორც პირველი ლიგის გუნდები, ასევე ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელები. რა თქმა უნდა, სასურველი იყო, ისინი სხვადსხვა რანგში გასულიყვნენ, მაგრამ... მიუხედავად ამისა, გიმეორებთ, რომ ეს კურსები მაინც სასიკეთოდ წაადგა საქმეს.

**— დიდი დრო არ გასულა, რაც საქართველოში მწვრთნელთა მომზადების ცენტრი არსებობდა. ამ ცენტრს თქვენ ედექით სათავეში, დღეს კი ასეთი სტრუქტურა ჩვენში აღარ არსებობს. არადა, ევროპის ბევრ საფეხბურთო ქვეყანაში მსგავსი სამსახური უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს...**

— ძალიან ცუდია, რომ დღესდღეობით არ არსებობს ჩვენში მწვრთნელთა მომზადების ცენტრი, მაგრამ იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში ამ ინსტიტუტს ისევ აღვადგენთ...

**— კარგით. დღეს დღეობით გაიოზ დარსაძის სახელი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად დაც განიხილება. ამაზე რას იტყვით?**

— ნორმალური და კარგი ურთიერთობა მაქვს საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებთან. არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და, ალბათ, ეს არის იმის საფუძველი, რომ ასეთი აზრი გაჩნდა ჩემს შესახებ. მწვრთნელი ვარ და მწვრთნელს იმის შიში არ უნდა ჰქონდეს, რომ წარმატებას ვერ მიაღწევს. ყოველთვის მოგების უნდა სჯეროდეს. აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზეს, უყოყმანოდ დავთანხმდები. რატომ უნდა დავიხიო უკან? კი, ბატონო, სამუშაო ძალიან რთულია, მაგრამ ვხედავ რაღაც რეზერვებს...

**— თქვენი ოპტიმიზმი რას ემყარება?**

— პირველ რიგში საჭიროა ორგანიზაციის დახვეწა და კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ერთ მუშტად უნდა შეიკრან ფეხბურთელები, მწვრთნელები, ჟურნალისტები, გულშემატკივრები, საფეხბურთო და სამთავრობო სტურქტურები. ჩვენ ყველანი საქართველოს ეროვნული ნაკრების სამსახურში უნდა ჩავდდგეთ. უმთავრესია იმის გაანალიზებაც, თუ როგორი ფეხბურთელები გვყავს დღეს და რა გუნდებში თამაშობენ ისინი, შესაბამისად რა მოთხოვნილებებია მათზე. საჭიროა ისეთი ანალიტიკურ-სამეცნიერო ჯგუფის შექმნა, რომელსაც შეეძლება დიდი ინფორმაციის მოპოვება ჩვენს მოწინააღმდეგეებზე... აქედან გამომდინარე უნდა შეირჩეს გამართული ტაქტიკა და სწორი სტრატეგიაც.

**— ზემოთ გაერთიანებაზე და ერთ მუშტად შეკვრაზე ბრძანეთ. რამდენად შესაძლებელია ეს?**

— ეს უნდა მოხდეს. ეს წარმატების ძირითადი ფაქტორია. სხვაგვარად არაფერი გამოვა. მე ისიც ვიცი, ამის გაკეთება როგორ შეიძლება.

**— და მაინც, გულშემატკივარს ყოველთვის შედეგი აინტერესებს...**

— ნაკრების მწვრთნელი უნდა იყოს საქმის მცოდნე. რკინის კაცი, რკინის ნერვებით, განსაკუთრებით საქართველოში. ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას, ვიცი, დიდი ნერვების წყვეტა და გარკვეული სტრესიც მოჰყვება, მაგრამ ამისთვის მზად ვარ. წასაგებად არსად წავსულვარ. ჩემი მიზანი ყოველთვის ისეთი შედეგის მიღწევაა, რომელიც პირველ რიგში ქომაგს დააკმაყოფილებს.

ბაატა ქვანტალიანი

# აშვეთია ალანიას დაუბრუნდა

## სილაგაძეც ვლადიკავკაზშია, ალექსიძე კი ჯერ იცდის

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს" თავდამსხმელი და საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი მიხეილ აშვეთია ჩათვალეთ, რომ გაზაფხულიდან ვლადიკავკაზის „ალანიაში" ითამაშებს.

— მართალია, მას ჯერ ვლადიკავკაზელებთან კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ, გარწმუნებთ, ჩემპიონატის მეორე ეტაპს „დინამო" აშვეთიას გარეშე დაიწყებს — ის „ალანიაში" ითამაშებს. საქმე ფაქტობრივად მოგვარებულია — განგვიცხადა „დინამოს" მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ.

რაც შეეხება მეორე დინამოელი ბომბარდირის, რატი ალექსიძის მომავალს, „დინამოს" მწვრთნელის თქმით, ჯერ უცნობია, თუ სად გააგრძლებს იგი კარიერას. დიდი შანსია იმისა, რომ ალექსიძეც „ალანიაში" წავიდეს.

აშვეთიას შემცვლელს „დინამო" „თბილისში" ეძებს. 10 დეკემბერს ორივე გუნდის შეკრებაა დანიშნული. თუმცა „დინამოსა" და ფაქტობრივად მისი ფარმკლუბის საბოლოო შემადგენლობა, მხოლოდ ესენგეს ჩემპიონთა თასის გათამაშების შემდეგ გახდება ცნობილი.

„ალანიამ" კიდევ ერთი ქართველი შეიმატა. ეს რიგის სკონტოს ჩვენებური მცველი ლევან სილაგაძეა.

ქობა ინასარიძე


მიხეილ აშვეთია: „ალანია" — „დინამო" — „ალანია"

ვაჟა ქითიაშვილის ფოტო

# გიორგი დემეტრაძე კიევიდან მიუნხენში

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღით კიდევ გადაიდო კიევის „დინამოსთან" გიორგი დემეტრაძის კონტრაქტზე ხელმოწერა.

ამას წინათ, როგორც გიორგიმ თავად გვითხრა, „ალანიას" გენერალური მენეჯერი ბათრაზ ბითაროვი კიევს უნდა ჩასულიყო „დინამოს" საპატიო პრეზიდენტ გრიგორი სურკისთან საბოლოოდ მოსალაპარაკებლად. ბითაროვი დღესდღეობით მოსკოვშია სხვა საქმეებთან დაკავშირებით. დემეტრაძისვე თქმით, „დინამო" ვლადიკავკაზელებს ალბათ მოსკოვში დაელაპარაკება და ტრანსფერს წერტილიც მაშინ დაესმევა.

ნუხელ კი გიორგი დემეტრაძე კიევის „დინამოსთან" ერთდა მიუნხენს გაფრინდა. იგი ოლიმპიურ სტადიონზე „ბაერნ" — „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის მატჩს დაესწრება.

ქობა ინასარიძე

ტორპედო «ბ» ზონა, პირველი ადგილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი I ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კატის დაბრუნება

ფრანგებს წესად აქვთ — როცა ეროვნული ნაკრები თამაშობს, შეხვედრის დაწყებამდე მოედანზე მამალს უშვებენ.

გერმანიის ქალაქ კიოლნის ამავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბის თილისმად თხა შეურაცხავთ. მას „კიოლნის" ყოველ შინაურ მატჩზე ერთ-ერთი კარის უკან აბამენ და მტკიცედ სჯერათ მასპინძელთა წარმატებისა.

ქუთაისელებს ერთი უცნაური ტრადიცია ჰქონდათ. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატების კალენდარული შეხვედრების დაწყებას კატის გარბენი უსწრებდა. როცა ფეხბურთელები და მსაჯები მოედანზე გამწკრივდებოდნენ, სწორედ ამ დროს დასავლეთ ტრიბუნაზე რამდენიმე მამაკაცი პირველი რიგისკენ დაეშვებოდა და სარბენ ბილიკებზე კატას დასვამდა, ისე, რომ პირი სამხრეთისკენ ჰქონოდა. სტვენითა და შეძახილებით დამფრთხალი ცხოველიც ელვისებურად ჩაიქროლებდა მინდვრის ერთი ნახევრის გასწვრივ და ხალხიც კმაყოფილი ამბობდა — მორჩა, ის კარი დათარსულია. იმ კარს კი მეორე ნახევარში თითქმის ყოველთვის „ტორპედო" უტევდა...

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. ეროვნულ გათამაშებაში საშუალო გუნდად ჩამოყალიბებულ „ტორპედოს" გულშემატკივრებს ძველი დროის მოგონება მხოლოდ გულს უკლავდათ. არც კატა გახსენებია ვინმეს და არც სურვილი გასჩენია მეტოქის დათარსვისა.

წლეულს კატა დაბრუნდა ქუთაისში. უფრო სწორად კი, კატის წელმა ფეხბურთი დაუბრუნა ქუთაისელებს. 12 წლის წინანდელი უილბლო სტუმრობის შემდეგ დაუპყრობელი მწვერვალები დააპყრობინა „ტორპედოს", ერთდროულად 20 ათას ქომაგს მოუყარა თავი ეროვნული ჩემპიონატის მატჩზე, პირველად ვერცხლს აზიარა იმერელთა გუნდი, თასი ჩაახუტა პირველად, უეფაზე გასვლაც პირველად დააჭაშნიკებინა და შემოდგომის ჩემპიონის რანგში ემშვიდობება საფეხბურთო ქალაქს. არადა, 12 წლის წინათ „ტორპედო" საბჭოთა კავშირის პირველი ლიგიდან მეორეში დაქვეითდა...

ახლა ქუთაისი გაზაფხულის მოლოდინით ცხოვრობს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არავის გაუკვირდება, თუ „ტორპედოს" სარბენ ბილიკებზე კვლავ ჩაიქროლებს კატა და კვლავ აჩოჩქოლდება ხალხი — მორჩა, ის კარი დათარსულია...

მეთერთმეტე ეროვნულს „ტორპედო" ახალი თავკაცით შეეგება. დავით ყიფიანს ძირითად შემადგენლობაში ძირეული ცვლილებები არ მოუხდენია. გამოცდილმა მწვრთნელმა მხოლოდ სოჭის „ჟემჩუჟინადან" გადმობარგებული გამოცდილი ნახევარმცველი გიორგი გოგიაშვილი ჩართო საქმეში. შუა ხაზის გაძლიერების მიზნით თავდამსხმელი ზურაბ იონანიძე უკან დასწია.

ისე, ამ ფეხბურთელის შესახებ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. იონანიძე ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. გუნდის მთავარ ბომბარდირობასთან ერთად ზურაბმა ლიდერის ფუნქციაც იტვირთა. „ტორპედოს" რამდენიმე გადამწყვეტ მომენტში მხსნელად მოევლინა. ის რომ იონანიძემ „ხობთან" ეროვნულ ჩემპიონატებში თავისი მეასე გოლი გაიტანა სრულიად კანონზომიერი მოვლენა გახლდათ.

დროდადრო მიწვეულ თუ ადგილობრივი სკოლის აღზრდილ ახალბედა ფეხბურთელებსაც აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას ყიფიანი. „ტორპედოს" სათადარიგოთა სკამი აღარ იყო ისეთი მოკლე, როგორც მეათე ეროვნულის მეორე წრეში. შემადგენლობაში მოსახვედრად კონკურენციამაც იმატა, თუმცა ის ძირითადი ბირთვი, რომელიც თითქმის სამი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, უცვლელი დარჩა.

მიმდინარე გათამაშების 12 ტური „ტორპედომ" მართლაც შთამბეჭდავი მაჩვენებლით განვლო: 11 მოგება და მხოლოდ ერთი შინაური ფრე გორის „დილასთან" — 2:2. ამ შეხვედრის თაობაზე ბევრი ითქვა. ქუთაისელები არ უარყოფდნენ იმას, რომ 2:0-ისას, თავს მოდუნების უფლება მისცეს და ამისთვის დაისაჯნენ. თუმცა არც მსაჯ მალაღურაძის მოქმედება დაუტოვებიათ კრიტიკის გარეშე: 2:0-ზე ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნაო, აცხადებდნენ ისინი. ისე, ერთი საგულისხმო დეტალი უნდა აღინიშნოს — „ტორპედოს" მონაწილეობით ჩატარებულ 14 მატჩში მსაჯებს საჯარიმოში წესების დარღვევა არც ერთხელ არ დაუფიქსირებიათ. ასე რომ, გატანილი 33 და მიღებული 5 ბურთიდან პენალტის ანგარიშზე არც ერთი მოდის. სამაგიეროდ, დავით ყიფიანის შეგირდები ვარგოდნენ სხვა სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებისას. მათ მიერ საჯარიმოდან დარტყმული თუ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთები უმეტესად სახიფათო იყო და ხშირად მიზანსაც აღწევდა.

„ხობთან" შინ რომ მოგვეგო, ფოთში საშინელ პირობებში (კლიმატური) ნათამაშევ ფრეს ჩვეულებრივ ამბად ჩავთვლიდითო — ამბობენ „ტორპედოს" ბანაკში. კაცმა რომ თქვას, მათი მსჯელობა ლოგიკას მოკლებული არაა. ბოლოს და ბოლოს, ქუთაისელები სტუმრად შვიდივე შეხვედრის მოგებას თუ ვერ შეძლებდნენ, ამას ტრაგედიად არავინ აღიქვამდა, მაგრამ ხობელებთან 2 ქულის დაკარგვა უპატიებელ შეცდომად ჩაითვალა. მერე რა, რომ სტუმართა ორივე მეკარემ — ბაბუაძემ და ნიქაბერიძემ ბრწყინვალედ ითამაშეს. მერე რა, რომ ტორპედოელებმა უამრავი ხელსაყრელი მომენტი გააცუდეს და მთელი 90 წუთი მეტოქის ნახევარზე გაატარეს. ეს ვერანაირად ვერ ამართლებს იმ გუნდის საქციელს, რომელსაც რეალობაზე დაფუძნებული საჩემპიონო ამბიცია აწუხებს. ასე რომ, დავით ყიფიანმა და კომპანიამ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ იმ მიზნის მისაღწევად, რაც არც ისე შორსაა.

მავანი იტყვის, ქუთაისელებს გაუმართლათ, შედარებით სუსტ „ბ" ზონაში რომ მოხვდნენო. უმართებულო შენიშვნა არაა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და არავინ იცის, რა და როგორ იქნებოდა, „ტორპედო" „ა" ზონაში რომ მოხვედრილიყო. აქ ანგარიში უნდა გაეწიოს „ბათუმის" იტალიელის მწვრთნელის ჯანი კარნევალეს შეხედულებასაც. უცხოელმა სპეციალისტმა ცალხაზად განუცხადა „სარბიელს", ქუთაისელთა გუნდს ყველაზე წინ დავაყენებდიო. კარნევალეს სამჯერ ჰქონდა შესაძლებლობა, „ტორპედოს" თამაშისთვის ეცქირა. ქუთაისელებმა ორჯერ ამხანაგურ შეხვედრებში პირწმინდად მოუგეს „ბათუმს". ერთხელ კი კარნევალე უეფას თასის გათამაშების მატჩსაც დაესწრო „ტორპედოსა" და ბერძნული აეკ-ის მონაწილეობით. ვის-ვის და ჯანი კარნევალეს ნამდვილად დაეჯერება.

პირველ ეტაპზე დაუმარცხებელმა „ტორპედომ" ზედიზედ ბოლო რვა შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა. ამას ორი სათასო მატჩიც დაუმატეთ და 900 წუთი უგოლოდ. არც მეტი, არც ნაკლები, ბრწყინვალე მაჩვენებელია.

საჩემპიონო ბილიკზე შემდგარ „ტორპედოს" თითქმის ყველა მონაცემი გააჩნია მიზნის მისაღწევად. თუმცა საამისოდ ქუთაისელებმა ფეხბურთელთა არსებული კონტიგენტი მთლიანად უნდა შეინარჩუნონ და რამდენიმე ახალწვეულით კიდევ უფრო გაძლიერდნენ. წესით, კლუბის მეპატრონეებს ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეთ. პრეზიდენტი მიხეილ ქორქია და ფირმა „არგომარ იოლი" მოთამაშეთა გაყიდვის ხარჯზე ფულის საშოვნელად რომ არ მოსულან ქართულ ფეხბურთში, ეს ამ ერთ წელიწადში მათმა საქმიანობამაც დაადასტურა.

კატის წელიწადმა ბევრ სიკეთესთან ერთად ტკივილიანი წუთებიც განაცდევინა ქუთაისს. უეფას თასის გათამაშების მორიგი შეხვედრის მომლოდინე ქალაქს სტადიონი დაეწვა, ხანძარმა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა უპრეცენდენტო შემთხვევის მოწმენი გაგვხადეს მაშინ „ტორპედოს" მესვეურებმა. ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა ნახანძრალ „გივი კილაძეს" და არაორაზროვნად თქვეს — აეკ-ს ამ სტადიონზე დავუხვდებით! სიტყვა და საქმე ერთი გამოდგა. სულ რაღაც 10 დღეში აღადგინეს ყველაფერი. დიდ ფეხბურთს დანატრებულმა საფეხბურთო ქალაქმა პატარა სასწაული შვა და მშობლიურ გუნდს შინაურ კედლებში ქომაგობა არ მოაკლო.

„ტორპედოს" გულშემატკივართა უზარმაზარი არმია უმაგრებს ზურგს. მეთერმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე ქუთაისელ ფეხბურთელებს შინ თუ სტუმრად თამაშისას ქომაგთა მხარდაჭერა არ მოჰკლებიათ.

მაშ, ასე. „ტორპედოს" აქვს თითქმის თანაბარძალოვანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ყველა სათამაშო რგოლი, ჰყავს ქართველ მწვრთნელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი თავკაცი, სპონსორებისგან უზრუნველყოფილია ფინანსური სტაბილურობით, ქომაგობს ერთგულ გულშემატკივართა ამქარი, აქვს ნორმალური ბაზა და სტადიონი. რაც მთავარია, გუნდი პირველ ადგილზეა და მარტო ამბიციით არ ცხოვრობს...

**ხვიჩა სანიკიძე**



გაგა [illegible] ფოტო

დავით ყიფიანი



მამუკა დარჩიას ფოტო

„ტორპედოს" ლიდერი ზურაბ იონანიძე (№2) და ფოთელი მამუკა ჭელაძე

**პირველი ეტაპის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 გორდა | 2:0 ს | გოგიაშვილი, მეგრელაძე |
| 2 დილა | 2:2 შ | გოგიაშვილი, იმედაძე |
| 3 იბერია | 0:3 ს | იმედაძე, ჯანაშია, მ. ბობოხიძე |
| 4 მერანი | 3:1 შ | იონანიძე, ხვადაგიანი, მეგრელაძე, |
| 5 ხობი | 2:1 ს | იონანიძე 2 |
| 6 კოლხეთი | 4:1 შ | მეგრელაძე 2, იონანიძე 2 |
| 7 თსუ | 2:0 ს | ჯანაშია, ხვადაგიანი |
| 8 გორდა | 1:0 შ | მეგრელაძე |
| 9 დილა | 5:0 ს | მეგრელაძე 2, იონანიძე, კვეტენაძე, ვაჩიბერაძე |
| 10 იბერია | 5:0 შ | იონანიძე 3, ჯანაშია 2 |
| 11 მერანი | 1:0 ს | იონანიძე |
| 14 თსუ | 3:0 შ | კვეტენაძე, ახვლედიანი, იონანიძე |
| 12 ხობი | 0:0 შ | |
| 13 კოლხეთი | 0:0 ს | |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ზურაბ იონანიძე | 14 | 11 | 1 | 0 |
| დავით ჯანაშია | 14 | 4 | 2 | 0 |
| კახა კვეტენაძე | 14 | 2 | 1 | 0 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | 14 | 2 | 4 | 0 |
| ალეკო შეყრილაძე | 14 | 0 | 1 | 0 |
| კახა ჩხეტიანი | 13 | 0 | 0 | 0 |
| გია მეგრელაძე | 12 | 7 | 2 | 0 |
| გიორგი გოგიაშვილი | 12 | 2 | 2 | 0 |
| ვახტანგ თურმანიძე | 12 | 0 | 1 | 0 |
| გია ჭანტურია | 11 | -3 | 0 | 1 |
| გია იმედაძე | 10 | 2 | 0 | 0 |
| ზაზა ვაჩიბერაძე | 10 | 1 | 0 | 0 |
| ირაკლი მაღლაკელიძე | 10 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | 8 | 1 | 0 | 0 |
| მიხეილ ბობოხიძე | 5 | 1 | 0 | 0 |
| ვასილ მაისურაძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| ალექსი ამისულაშვილი | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ მახვილაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად სტურუა | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი სომხიშვილი | 2 | -2 | 0 | 0 |
| მალხაზ ასათიანი | 1 | 0 | 0 | 0 |




თ - თამაში; გ- გოლი;
ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 14 | 11 | 3 | 0 | 33:5 | 28 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 14 | 19 |
| 2 | კოლხეთი | 14 | 8 | 1 | 5 | 19:15 | 4 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 14 | 6 | 2 | 6 | 19:24 | -5 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | იბერია | 14 | 5 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 5 |
| 5 | გორდა | 14 | 5 | 1 | 8 | 17:18 | -1 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 13 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 6 | თსუ | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | -5 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | -5 | 6 |
| 7 | მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 8 | ხობი | 14 | 2 | 4 | 8 | 15:24 | -9 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | .5 |

**მეორე ეტაპი**

I-VIII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| 2 დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| 3 კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 4 ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 5 ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| 6 სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| 7 დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| 8 იბერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გრძელი დანების უიქენდი

## ინგლისი

XVII ტური

### დერბი ქაუნთი 0:1 ლიდსი

0:1 ჰარტი (90პ)
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი (პრიორი 64), კარბონარი, ელიოტი, დელაპი, ბარლი, პაუელი, ქინქლაძე (დორიგო 75), ჯონსონი, სტარიჯი, დ. ბარტონი (კრისტი 81)
ლიდსი: მარტინი, კელი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ბაკე, მაკფაილი (ჯონსი 83), ბოუერი, კიუელი, ბრიჯესი, ჰაკერბი (ა. სმიტი 77)
გაფრთხილება: ჯონსონი, ლაურსენი, პრიორი, ბაკე, კელი, სმიტი
მსაჯი: ალკოკი

### ასტონ ვილა 0:1 ნიუკასლი

0:1 ფერგიუსონი (65)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, კალდერვუდი, საუთგეიტი, ბერი, დილანი, ბოატენგი, ტეილორი, ჰენდრი (ტომპსონი 9, მერსონი 73), ა. რაიტი, დაბლინი (კარბონე 52), ჯოაკიმი
ნიუკასლი: ჰარპერი, ჰელდერი, დუმა, დაბიზასი, სოლანო (უ. ბარტონი 86), ლი, სპიდი, პისტონე, ძეცბაია (ჰიუზი 84), მარიჩი (დ. ფერგიუსონი 51), შირერი
გაფრთხილება: დილანი, ბოატენგი, ტომპსონი, რაიტი, ჰელდერი, სპიდი, დაბიზასი
მსაჯი: რილი

### ბრედფორდი 1:1 მიდლსბრო

0:1 რიკარდი (13), 1:1 მილსი (60)
ბრედფორდი: კლარკი, ლოურენსი, ვეზეროლი, ობრაიენი, მიერსი, უინდასი (ჰალე 25), მაკკოლი, რედფერნი, ბიგრი (შარპი 85), მილსი, ბლეიქი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი (მედისონი 50), ვიკერსი, ფესტა, სტამპი, გესქოინი (სამერბელი 74), მასტო, ჟუნინიო, ციგე, რიკარდი, დინი
გაფრთხილება: რედფერნი, დინი, სტამპი
მსაჯი: ჰარისი

### მანჩესტერი 5:1 ევერტონი

0:1 ჯეფერსი (7), 1:1 ირვინი (27პ), 2:1, 3:1, 4:1, 5:1 სოლსკიაერი (29, 43, 52, 58)
მანჩესტერი: ბოსნიჩი (ვან დერ გოუ 8), გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი (ფ. ნევილი 64), ირვინი, სქოულზი, ბათი, როი კინი, გიგზი (ე. კოული 64), შერინგემი, სოლსკიაერი
ევერტონი: ჟერარდი, დანი (ბოლი 63), ვეირი, გუგი, ანსუორთი, ბარმბი (კლილენდი 63), შავიერი, კოლინზი, პემბრიჯი (გრანტი 80), ჯეფერსი, კ. კემპბელი
გაფრთხილება: ბათი, ვეირი
მსაჯი: პოლი

### ლივერპული 4:1 უენსდი

0:1 ალექსანდერსონი (18), 1:1 ჰიიპია (21), 2:1 მერფი (41), 3:1 გერარდი (69), 4:1 ტომპსონი (79)
ლივერპული: ვესტერველდი, ენჩოსი, სონგი (კარაგერი 73), ჰიიპია, მატეო, გერარდი, ჰამანი, მერფი (სტონტონი 77), ტომპსონი, კამარა, ოუენი (ფაულერი 81)
შეფილდ უენსდი: პრესმენი, აზერტონი, იონკი, ტომი, უოკერი, ბუტი, რუდი (ქუინი 89), ალექსანდერსონი, ნოლანი, ბრისკო (სიბონი 81), დე ბილდე (კროსველი 81)
გაფრთხილება: ტომპსონი, ენჩოსი, ტომი, რუდი
მსაჯი: დარკინი

### საუთჰემპტონი 0:0 ქოვენთრი

საუთჰემპტონი: ჯონსი, ტესემი, რიჩარდსი, ბენალი, კოლეტერი, რიპლი, დოდი, ოუკლი, კაჩლული, პახარსი (დევისი 64), ბიტი
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, ბრინი, უილიამსი, ფროგატი, ჩიპო, პალმერი, მაკალისტერი, ჰაჯი, რობი კინი, რუსელი (ვილანი 64)
გაფრთხილება: ჩიპო, ვილანი
მსაჯი: უინტერი

### ლესტერი 0:3 არსენალი

0:1 გრიმანდი (23), 0:2 დიქსონი (53), 0:3 ოვერმარსი (75)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ტაგარტი, ელიოტი, იმპი (მარშალი 67), იზეტი, ლენონი, სევიჯი (ოუქსი 76), გაპი, ჰესკი, კოტი (ზაგორაკისი 82)
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ადამსი, აპსონი (ვივასი 12), უინტერბერნი, სილვინიო (ჰიუზი 65), გრიმანდი, პეტი, ოვერმარსი, კანუ, ანრი (ბარეტი 89)
გაფრთხილება: გრიმანდი
მსაჯი: გალაჰერი

### ტოტენჰემი 0:0 ვესტ ჰემი

ტოტენჰემი: უოლკერი, ტარიკო, ფროინდი, კემპბელი, პერი, შერვუდი (ნილსენი 73), ივერსენი, ჟინოლა, ლეონარდსენი, დომინგესი (არმსტრონგი 80), იანგი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, ფერდინანდი, მარგასი (პოტსი 63), ფოე, ლამპარდი, ლომასი, კოული, კიტსონი (მინტო 46), სინკლერი, დი კანიო (ვანჩოპე 82)
გაფრთხილება: პერი, ფროინდი, რადოკი
გაძევება: ლომასი (25)
მსაჯი: ჯოუნსი

### სანდერლენდი 4:1 ჩელსი

1:0 ქუინი (1), 2:0, 3:0 ფილიპსი (23, 36), 4:0 ქუინი (38), 4:1 მორისი (81)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, კრადოკი, უილიამსი, გრეი, სამერბი (ჰოლოვეი 84), ტირველი, რუა, შვარცი, ნ. ქუინი, ფილიპსი
ჩელსი: დე გუი, ლამბური, ბაბაიარო, დესაი (ტერი 46), ჰოგი, პოიეტი, უაიზი (უოლესტონი 77), მორისი, ჰარლი (გოლდბეკი 46), ძოლა, ფლო
გაფრთხილება: ბაბაიარო, ჰარლი
მსაჯი: დანი

### უიმბლდონი 5:0 უოტფორდი

1:0 კორტი (15), 2:0 ერლი (32), 3:0 ჰართსონი (61), 4:0 იუელი (67), 5:0 გეილი (78)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი (ანდრესენი 69), ტეტჩერი (რობერტსი 46), ჰრეიდარსონი, ანდერსენი, კორტი (ჰიუზი 79), ერლი, იუელი, ჰართსონი, გეილი
უოტფორდი: ჩემბერლენი, პეიჯი, პალმერი, რობინსონი, ნგონგე, ჰიდი, ჯონსონი, ვუტერი, გრაველენი, ბარტ-უილიამსი, კოქსი
გაფრთხილება: ტეტჩერი, ერლი, ბარტ-უილიამსი, კოქსი
მსაჯი: უილი

თუ რატომ გრძელი დანებისა, ადვილი მისახვედრია, ვინაიდან გასულ შაბათ-კვირას, პრემიერლიგელ მასპინძელთა უმრავლესობამ იმგვარი დაუნდობლობითა და თავზეხელაღებულობით დაბომბა სტუმრები, რომ სალამიც არ დაამთავრებინა. ორ შემთხვევაში სტუმრებმაც იმარჯვეს, ორიც ფრე გამოვიდა, მაგრამ გოლების ქარიშხალი იმგვარი სისწრაფით ქროდა, რომ თვით „უიმბლდონმაც“ ხუთი უპასუხო ბურთი შეუგდო „უოტფორდს“.

მაგრამ მოვყვეთ იქიდან, რომ „ოლდ ტრეფორდს“ სტუმრობდა „ევერტონი“, ამ სეზონის ნაღდი რეკორდსმენი ანგარიშის გახსნაში და როდესაც ფრენსის ჯეფერსმა შეხვედრის დასაწყისშივე გაუტანა ბოსნიჩს, ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. უოლტერ სმიტის ხელში „ევერტონს“ გოლის გატანა აღარ უჭირს, თუმც უპირატესობის შენარჩუნებითაც ვერ დაიკვეხნის. ოციოდ წუთში დენის ირვინმა პენალტით გაათანაბრა ანგარიში და ყველაფერიც აქ დაიწყო. „მანჩესტერის“ ძირითადში გამოჩენილმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა უახლოეს ნახევარ საათში რამდენიც მოიქნია, იმდენი გაიტანა და 58-ე წუთისთვის პირად ანგარიშზე პოკერი ჩაწერა, სტადიონის შუქფარზე კი 5:1.

იმავდროულად დიდი მეხთატეხა იყო ლესტერის „ფილბერტ სტრიტზე“. იქაურ ლურჯ მელიებს ამ სეზონში შინ არ წაეგოთ და „არსენალის“ წინააღმდეგაც ჯიგრითა და იმედით იყვნენ გამოსულნი, თუმც კი, ჯამში მაინც სამი ბურთი გაუშვეს, გატანით კი ვერ გაიტანეს. მასპინძლებს ძალზე გაუფუჭა გუნება მეთოფეთა პირველმა გოლმა — ჟილ გრიმანდიმ იდაყვით ჩამოიშორა მცველი და თავით შეეგება კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს. წესის დარღვევა არ დაფიქსირებულა, გოლი კი ჩაითვალა. „ლესტერმა“ პირველად წააგო შინ, მოლონიერებულმა „ნიუკასლმა“ კი პირველად მოიგო სტუმრად. თანაც სქოთმა ვეტერანმა დანკან ფერგიუსონმა სეზონში პირველად გაიტანა. ბობი რობსონის ხელში მკვდარიც გამოიღვიძებსო, ხუმრობენ ინგლისში, აი, ნიუკასლელთა მასპინძელი „ასტონ ვილას“ თავკაცი ჯონ გრეგორი კი შესაძლოა, უმუშევარი დარჩეს. შარშან ამ დროს ვილა პრემიერლიგის ლიდერი იყო, ახლა კი უკვე მეცხრე ტურია, არ მოუგია.




მანჩესტერი — ევერტონი 5:1. მანჩესტერელი ოლე გუნარ სოლსკიაერი და ევერტონელი რიჩარდ დანი ბურთისთვის იბრძვიან

რახან უმუშევრობაზე მიდგა საქმე, არ იქნება არ ვახსენოთ ლონდონური ვარსკვლავთკრებულის, „ჩელსის“ მენეჯერიც. ორი კვირა ლაპარაკია, რომ თავმჯდომარე კენ ბეიტსი ვიალის გადაყენებაზე ფიქრობს. წინა ტურში „ბრედფორდის“ ძლევამ და ჩემპიონთა ლიგაში კარგმა თამაშმა ეს ლაპარაკი მიაწყნარა. თანაც, აშკარად ჩანს, რომ ვიალი ჩემპიონთა ლიგისკენ უფრო იხრება, ვიდრე შიდა თამაშებისკენ. ფრანკ ლებეფის აღიარებით, ორი ფრონტი ძალიან დამღლელია. მაგრამ აბა, თქვით, ვინ გაპატიებს, „ჩელსი“ გერქვას და პრემიერლიგის ლიდერს 14(!) ქულით ჩამორჩებოდე? ის კი, რაც „სანდერლენდმა“ მოუწყო „ჩელსის“ გასულ შაბათს, კარგა ხანია აღარავის მოუწყვია: 38-ე წუთზე ვიალი 0:4-ს აგებდა. ლიგის ყველაზე ერთგული ფანობა, „სანდერლენდის“ ხალხი დამამცირებელი სიმღერებით აყრუებდა იქაურობას. ახმახი ირლანდიელის, ნეილ ქუინისა და კევინ ფილიპსის თითო დუბლმა, მაღალმა ტემპმა, სწრაფმა გათამაშებამ და იმან, რომ ყოველ სანდერლენდელს შეუძლია კარში დარტყმა, „ჩელსი“ თავიდანვე წააქცია. ფილიპსი უკვე 16 ბურთით ლიდერობს მეგოლეთა სიას, გუსტავო პოიეტის გვიანმა საპასუხომ კი არაფერი შეცვალა. დღეს „ჩელსი“ რომში სტუმრობს „ლაციოს“ და ვიალის ბედიც ამ თამაშზე ჰკიდია.

კვირას კიდევ ერთი ფოიერვერკი იყო — „ენფილდ როუდზე“. ამ ჯერზე მაიკლ ოუენს არ გაუტანია, არც შეცვლაზე შესულ რობი ფაულერს. ბედკრულმა „შეფილდმა“ ანგარიში კი გახსნა, მაგრამ „ლივერპული“ იმდენად კარგი იყო შეტევაში, რომ დენი უილსონის ბუებს იქედან ქულასაც არავინ გამოატანდა. ჯამში 4:1 და სტივენ გერარდისა და დევიდ ტომპსონის ულამაზესი გოლები შეხვედრის ბოლო ოცდაერთ წუთში.

ახლა კი მივადგეთ დერბის „პრაიდ პარკს“, სადაც ლიგის ლიდერი „ლიდსი“ ცხრილის ბოლო სამეულში დამკვიდრებულ „დერბი ქაუნთის“ ეთამაშებოდა. გიორგი ქინქლაძე პირველად თამაშობდა „პრაიდ პარკზე“ და იქაურები კარგადაც მიესალმნენ. როგორც გადმოგვცემენ, მან ორი რეიდი დაამახსოვრა თავი მაყურებელს, თუმც კი სრულ მზადყოფნამდე მაინც საკმაოდ უკლიაო. მაგრამ ამ თამაშში ეს არ იყო მთავარი — აშკარად ჩანდა, რომ პრემიერლიგის ბობოლა გუნდებთან ზედიზედი მარცხების შემდეგ „დერბი“ ქულის მონადირებას ცდილობდა, „ლიდსი“ კი უტევდა. ალან სმიტმა გაიტანა კიდეც, მაგრამ ბურთი არ ჩაითვალა, რახან ალანმა ხელიდან გამოაცალა ბურთი მასპინძელთა მეკარე პოომს. „დერბი“, რომელსაც ცხრა საშინაო თამაშში ოდენ შვიდჯერ გაუტანია, ნულოვან ანგარიშზეც ყაბულს იყო და თითქმის იშოვნა კიდეც ქულა, მაგრამ აბა გაიხსენეთ, მერამდენე მატჩია, რაც „ლიდსი“ შეხვედრის ბოლო წამებზე ატრიალებს თამაშის ბედს? ამჯერად ეს პენალტი იყო. საჯარიმოში დატრიალებულ ჰარი კიუელს არგენტინელმა ორასიო კარბონარიმ გამოჰკრა ფეხი და მსაჯმა პოლ ალკოკმა პენალტი დანიშნა. იან ჰარტმა კი ამ სეზონში მეხუთედ გაიტანა 11-მეტრიანი ნიშნულიდან. კიუელი კარს არ ემუქრებოდა, ამიტომ კარბონარის უხეშობა სულელურად გამოჩნდა.

„არც კი მიკარებია“ — აღშფოთდა „დერბის“ მენეჯერი ჯიმ სმიტი — „ეს ვიდეოზე ჩანს. მსაჯი შეცდა. „ლიდსი“ ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ მოგებას არ იმსახურებდა“.

„ლიდსი“ კი კვლავ ლიდერია, მას მოსდევს თამაშნაკლული „მანჩესტერი“, რომელიც პოტენციური ლიდერის სტატუსს ინარჩუნებს. იორკშირელთა მენეჯერი დევიდ ოლირი კი აცხადებს: „ბოლო დროს თითო გოლით ვიგებთ. მაგრამ სანამ ვიგებთ, მოდით, შევირგოთ გამარჯვება და ვიფიქროთ, როგორ დავამარცხოთ მოსკოვის „სპარტაკი“. მით უმეტეს, რომ დევიდ ბეტი არ გვეყოლება“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლიდსი | 17 | 12 | 2 | 3 | 30:19 | 11 | 38 | 9 | 7 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 22 | 8 | 5 | 1 | 2 | 16:13 | 3 | 16 |
| 2 მანჩესტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 40:21 | 19 | 36 | 9 | 7 | 2 | 0 | 29:7 | 22 | 23 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:14 | -3 | 13 |
| 3 არსენალი | 17 | 11 | 2 | 4 | 31:16 | 15 | 35 | 9 | 7 | 1 | 1 | 20:7 | 13 | 22 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 2 | 13 |
| 4 სანდერლენდი | 17 | 10 | 4 | 3 | 31:17 | 14 | 34 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:11 | 6 | 14 |
| 5 ლივერპული | 17 | 9 | 3 | 5 | 24:14 | 10 | 30 | 9 | 6 | 0 | 3 | 15:7 | 8 | 18 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 |
| 6 ლესტერი | 17 | 9 | 2 | 6 | 26:23 | 3 | 29 | 9 | 6 | 2 | 1 | 16:10 | 6 | 20 | 8 | 3 | 0 | 5 | 10:13 | -3 | 9 |
| 7 ტოტენჰემი | 16 | 8 | 3 | 5 | 25:20 | 5 | 27 | 8 | 5 | 1 | 2 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 0 | 11 |
| 8 ვესტ ჰემი | 16 | 7 | 4 | 5 | 17:14 | 3 | 25 | 7 | 6 | 1 | 0 | 12:6 | 6 | 19 | 9 | 1 | 3 | 5 | 5:8 | -3 | 6 |
| 9 ჩელსი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:15 | 6 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:3 | 11 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 8 |
| 10 მიდლსბრო | 17 | 7 | 3 | 7 | 21:24 | -3 | 24 | 9 | 4 | 2 | 3 | 9:9 | 0 | 14 | 8 | 3 | 1 | 4 | 12:15 | -3 | 10 |
| 11 ქოვენთრი | 17 | 5 | 6 | 6 | 23:18 | 5 | 21 | 9 | 5 | 0 | 4 | 17:10 | 7 | 15 | 8 | 0 | 6 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 12 ევერტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 25:27 | -2 | 21 | 8 | 3 | 5 | 0 | 16:8 | 8 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:19 | -10 | 7 |
| 13 უიმბლდონი | 17 | 4 | 8 | 5 | 27:29 | -2 | 20 | 9 | 3 | 4 | 2 | 17:11 | 6 | 13 | 8 | 1 | 4 | 3 | 10:18 | -8 | 7 |
| 14 ნიუკასლი | 17 | 5 | 4 | 8 | 28:30 | -2 | 19 | 8 | 4 | 2 | 2 | 19:9 | 10 | 14 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:21 | -12 | 5 |
| 15 ასტონ ვილა | 17 | 5 | 4 | 8 | 14:19 | -5 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 3 | 12 | 9 | 2 | 1 | 6 | 6:14 | -8 | 7 |
| 16 საუთჰემპტონი | 16 | 4 | 5 | 7 | 20:25 | -5 | 17 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 9 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | -4 | 8 |
| 17 ბრედფორდი | 16 | 3 | 4 | 9 | 13:25 | -12 | 13 | 7 | 1 | 4 | 2 | 7:12 | -5 | 7 | 9 | 2 | 0 | 7 | 6:13 | -7 | 6 |
| 18 დერბი ქაუნთი | 17 | 3 | 3 | 11 | 15:29 | -14 | 12 | 9 | 2 | 0 | 7 | 7:16 | -9 | 6 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:13 | -5 | 6 |
| 19 უოტფორდი | 17 | 3 | 2 | 12 | 13:33 | -20 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:13 | -4 | 7 | 9 | 1 | 1 | 7 | 4:20 | -16 | 4 |
| 20 შეფილდ უენსდი | 16 | 1 | 3 | 12 | 14:40 | -26 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 5 | 9 | 0 | 1 | 8 | 5:29 | -24 | 1 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 16 |
| შირერი (ნიუკასლი) | 12 |
| კოული (მანჩესტერი) | 12 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 10 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 9 |

XVIII ტური

18 დეკემბერი

არსენალი — უიმბლდონი
ასტონ ვილა — უეფილდი
ბრედფორდი — ნიუკასლი
ლესტერი — დერბი
ლივერპული — ქოვენთრი
მიდლსბრო — ტოტენჰემი
სანდერლენდი — საუთჰემპტონი
უოტფორდი — ევერტონი
ვესტ ჰემი — მანჩესტერი

19 დეკემბერი

ჩელსი — ლიდსი

## პირველი დივიზიონი

XXII ტური

### ბარნსლი 1:1 ჩარლტონი

1:0 ჩეტლი (2), 1:1 ჯონსი (42)

### ბოლტონი 2:3 ტრანმერი

0:1 პარკინსონი (18), 0:2 ჩალინორი (63), 1:2 გუდიონსენი (64), 2:2 ბ. ტეილორი (77), 2:3 ს. ტეილორი (79)

### ქრიუ 2:0 კრ. პალასი

1:0 ტაიტი (12), 2:0 მაკოული (34)

### ფულემი 0:0 ბირმინგემი

### ჰადერსფილდი 1:0 ქუინზ პარკი

1:0 უინჰარდი (31)

### ნორვიჩი 2:1 ვესტ ბრომვიჩი

0:1 კილბეინი (28), 1:1 რობერტსი (45), 2:1 რუსელი (87)

### პორტვეილი 0:0 ბლექბერნი

### შეფილდ იუნ. 1:0 პორტსმუთი

1:0 დევლინი (20)

### სტოკპორტი 2:1 გრიმსბი

1:0 დინინგი (34პ), 2:0 კუპერი (58), 2:1 ჰამილტონი (88)

### სუინდონი 1:1 უოლსოლი

0:1 ვრაკი (34), 1:1 კარიკი (38)

### ნოტინგემი 0:1 იფსვიჩი

0:1 ჰოლანდი (78)

### ვულვზი 4:1 მანჩესტერ სიტი

1:0 აკინბი (5), 2:0 ბრენჩი (18), 2:1 გოტერი (30), 3:1 ბრენჩი (40), 4:1 მუსკატი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 22 | 13 | 4 | 5 | 39:22 | 43 |
| სიტი | 21 | 13 | 3 | 5 | 31:17 | 42 |
| ჩარლტონი | 21 | 12 | 4 | 5 | 38:24 | 40 |
| იფსვიჩი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:23 | 38 |
| ბარნსლი | 21 | 11 | 3 | 7 | 39:33 | 36 |
| ფულემი | 21 | 8 | 9 | 4 | 24:18 | 33 |
| ბირმინგემი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:23 | 32 |
| ქუინზ პარკი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:28 | 32 |
| ბოლტონი | 21 | 8 | 7 | 6 | 31:23 | 31 |
| სტოკპორტი | 21 | 8 | 7 | 6 | 25:29 | 31 |
| ვულვზი | 20 | 7 | 8 | 5 | 23:19 | 29 |
| ტრანმერი | 22 | 8 | 5 | 9 | 31:32 | 29 |
| ნორვიჩი | 21 | 7 | 7 | 7 | 19:19 | 28 |
| ბლექბერნი | 20 | 6 | 9 | 5 | 23:19 | 27 |
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 5 | 10 | 5 | 21:21 | 25 |
| გრიმსბი | 21 | 7 | 4 | 10 | 22:34 | 25 |
| კრ. პალასი | 21 | 6 | 6 | 9 | 28:34 | 24 |
| პორტვეილი | 22 | 5 | 7 | 10 | 26:31 | 22 |
| ნოტინგემი | 21 | 5 | 6 | 10 | 23:27 | 21 |
| პორტსმუთი | 22 | 5 | 6 | 11 | 25:36 | 21 |
| შეფილდ იუნ. | 22 | 5 | 6 | 11 | 25:38 | 21 |
| ქრიუ | 20 | 5 | 5 | 10 | 23:30 | 20 |
| უოლსოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 19:34 | 19 |
| სუინდონი | 22 | 3 | 8 | 11 | 16:34 | 17 |

## მეორე დივიზიონი

XX ტური. კოლჩესტერი — ჩესტერფილდი 1:0; ბრენტფორდი — როვერსი 0:3; ბრისტოლი — რედინგი 3:1; ბარნლი — უიკომბი 1:0; კემბრიჯი — ბორნმუთი 0:2; ჯილინგემი — ბერი 1:0; ლუთონი — ნოტსი 2:2; მილუოლი — კარდიფი 2:0; ოქსფორდი — სტოკი 1:1; პრესტონი — ოლდემი 2:0; სკანთორპი — უიგანი 1:2; რექსჰემი — ბლექპული 1:1

## მესამე დივიზიონი

XX ტური. ბარნეტი — ჩესტერი 2:0; დარლინგტონი — ჰალიფაქსი 5:0; ჰარტლპული — პიტერბრო 1:0; ჰალი — ექსეტერი 4:0; ლეიტონი — კარლაისლი 0:1; ნორთჰემპტონი — მაკლსფილდი 2:0; პლიმუთი — საუთენდი 3:1; როჩდეილი — ჩელტენემი 0:0; როტერჰემი — ლინკოლნი 1:1; სუონსი — იორკი 1:0; ტორკი — შრიუსბერი 3:1
მენსფილდი — ბრაიტონი გადაიდო

# ბასლერი ფრაიბურგს ემუქრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XIV ტური

### შალკე 2:2 ფრაიბურგი

0:1 სელიმი (34პ), 1:1 ასამოა (38), 2:1 ვილმოტსი (83პ), 2:2 ბრუნსი (87)
შალკე: შობერი, ვალდოხი, ნემეცი, ვან კერკჰოვენი, ბუსკენსი, ალპუგანი (ჰაინალი 72), კმეტჩი (გუსენსი 88), კამპუისი, ვილმოტსი, ასამოა, სანდი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი (დიარა 9), კორელი (რამდანე 85), მიულერი, ცაიერი, ვილი (კოლი 52), კობიაშვილი, ვაისჰაუპტი, ბაია, სელიმი, ბრუნსი
გაფრთხილება: ბუსკენსი, კამპუისი, ნემეცი, ვან კერკჰოვენი, დიარა, კორელი
მსაჯი: შტრამპე

### ბაიერნი 1:1 დორტმუნდი

1:0 იერემისი (23), 1:1 კოლერი (50)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, კუფური, ტარნატი, ფინკი, იერემისი (ვისინგერი 87), შოლი (სალიჰამიჯიჩი 58), პაულო სერჟიო, იანკერი, ციკლერი (სანტა კრუზი 72)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ვიორნსი, ნიეგუსი, კოლერი (კ. ბაუმანი 73), სტევიჩი, ნერლინგერი (ბობიჩი 46), ევანილსონი, რიკენი (ვ. ბუტი 80), ადო, ჰერლიხი
გაფრთხილება: ბაბელი, იანკერი, კუფური, ციკლერი, ლემანი, ნერლინგერი, რიკენი, ვიორნსი
მსაჯი: ფანდელი

### ლევერკუზენი 3:2 ვერდერი

1:0 ჟივკოვიჩი (5), 1:1 პიზარო (20), 2:1 კირსტენი (47პ), 2:2 აილტონი (54), 3:2 ემერსონი (66)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჟივკოვიჩი, გრეშკო (ჰოფმანი 73), რამელო (ბ. შნაიდერი 58), ემერსონი, ბალაკი (მამიჩი 76), ზე რობერტო, ნოივილი, კირსტენი
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, აილტსი, ფ. ბაუმანი, ბოდე, ვიკი (ა. ჰერცოგი 55), დაბროვსკი (ვიდნერი 46), ფრინგსი, მაქსიმოვი (ტრარესი 68), პიზარო, აილტონი
გაფრთხილება: ბალაკი, ემერსონი, კირსტენი, კოვაჩი, აილტონი, ფრინგსი, ჰერცოგი, ვიდნერი
მსაჯი: ბერგი

### ჰამბურგი 1:0 აინტრახტი

1:0 იებოა (77)
ჰამბურგი: პ. ბუტი, გრავესენი, ჰოოგმა, ჰირში, ნ. კოვაჩი, გრამოცისი, ჰოლერბახი (დოლი 69), კარდოზო, მაჰდავიკია, იებოა (ჰაშემიანი 90), პრეგერი (სიმუნიჩი 80)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, შური, კრახტი, კუჩერა, რასიევსკი, ფალკი (დომბი 79), გებჰარდტი (ჰელდტი 46), გუიე მიენი, სალუ, ფიორტოფტი (ჩენ იანგი 63)
გაფრთხილება: ჰოლერბახი, კოვაჩი, იანსენი, რასიევსკი, ჩენ იანგი
მსაჯი: ცერი

### ლაუტერნი 2:2 ვოლფსბურგი

1:0 ხრისტოვი (33), 1:1 აკონორი (57პ), 1:2 ბალვანცი (65), 2:2 ჯორკაეფი (67პ)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, კოხი, შონბერგი, რატინიო, შტრასერი, ვაგნერი (რაიხი 46), ბასლერი, სფორცა, ჯორკაეფი, ხრისტოვი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, ბალვანცი, კრიგერი, გრაინერი, ნოვაკი, დამაიერი, მალტრიცი, აკონორი, იუსკოვიაკი, ფელდჰოფი (ვიუკი 84)
გაფრთხილება: ხრისტოვი, ბალვანცი, დამაიერი, გრაინერი, კრიგერი
მსაჯი: ვაკი

### შტუტგარტი 1:3 მიუნხენი

0:1 შროტი (33), 0:2 ზელიჩი (54), 1:2 ტიამი (64), 1:3 ბორიმიროვი (83)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ენდრესი, კარნელი, სოლდო, კატიზონე (ჯორჯევიჩი 46), ლისტეში (ჰოსნი 63), ბალაკოვი, დანდი, განეა
მიუნხენი: ჰოფმანი, გრაილიხი, ზელიჩი, შტრანცლი, რიდლი (პასლაკი 67), ტაპალოვიჩი, ტაისი, ჩერნი, ჰესლერი (ბორიმიროვი 82), შროტი, ვინკლერი (აგოსტინო 77)
გაფრთხილება: ბერთოლდი, განეა, რიდლი, შროტი, ტაპალოვიჩი
მსაჯი: შტაინბორნი

### დუისბურგი 2:2 ჰანზა

1:0 ბაიერლე (24), 1:1 ბაუმგარტი (37), 1:2 არვიდსონი (55), 2:2 ბაიერლე (67)
დუისბურგი: სტაუჩე, კოვაჩევიჩი (ჰაიტო 63), მ. შნაიდერი, ვოლერტი (დრსეკი 82), ვოსი (ჰირში 46), ჰოერსენი, ბუგერა, ტოფტინგი, ცაიერი, ბაიერლე, რაისი
ჰანზა: ბროიტიგამი, ბენკენი (ვაილანდტი 70), ჰოლეჩეკი, ელერსი, იასერი, ემარა, ვიბრანი, ლანცი, ბრანდი (ბრაიტკროიცი 88), არვიდსონი (მაიაკი 75), ბაუმგარტი
გაფრთხილება: ვოლერტი, ცაიერი, ბრანდი
მსაჯი: ფლაიშერი

### ჰერტა 3:0 ულმი

1:0 ვოში (2), 2:0 სვერისონი (66), 3:0 პრეეცი (74)
ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, ვან ბურიკი, სვერისონი, შმიდტი, ნოიენდორფი (ტომი 79), კოვიჩი (სანე 76), როი (ვაიტი 46), ვოში, დაეი, პრეეცი
ულმი: ლაუქსი, უნსოლდი (ზდრილიჩი 66), მარკესი, შტადლერი, რადოკი, ოტო, გორა, როსლერი (ვაისი 61), მაიერი, ლეანდრო, ტრკულია (ვან დერ ჰაარი 37)
გაფრთხილება: კოვიჩი, დაეი, კირალი, ნოიენდორფი, რადოკი
მსაჯი: ბუხარტი

### უნტერჰახინგი 2:0 არმინია

1:0 შტრემელი (18), 2:0 ბრაიტენრაიტერი (83პ)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, შტრემელი, ბუგერი, გრასოვი, ჰაბერი (ზაიფერტი 60), მატიას ციმერმანი, შვარცი, შტრაუბე, ობერლაიტნერი (ზაილერი 80), რაკლი (ბრაიტენრაიტერი 66), ზაიცი
არმინია: კოხი, ვატერინკი, ალდერი, კლიცპერა, მაისნერი, რიდლევიჩი (ბაგერი 46), ჰოფშნაიდერი, ვაისენბერგერი, მაული (ბომე 46), ლაბადია, ვიშნიარეკი (გიოქთანი 61)
გაფრთხილება: ციმერმანი, შტრემელი, ბომე, მაისნერი
მსაჯი: მერკი

„ფრაიბურგმა" შაბათს გელზენკირხენში „შალკესთან" ფრედ 2:2 ითამაშა და წლეულს ყველაზე დაბლა, მეთოთხმეტე ადგილზე დაეშვა.

„შალკესთან" ფრაიბურგელებს ალექსანდრე იაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის გარდა ლარს ჰერმელი და ალი გიუნეშიც აკლდათ. ამიტომ სტუმრად მოპოვებული ქულა ფინკეს შეგირდებს აქტივში ეთვლებათ, თუმცა, სიმართლე ითქვას, მათ ეს შედეგი არ დაუმსახურებიათ. მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ეს ტაბლოზე ვერ ასახეს. „ფრაიბურგმა" „შალკეს" ორჯერ შეუტია და ორჯერვე შედეგიანად. 34-ე წუთზე ბაია საჯარიმოში წაიქცა და სელიმიმაც პენალტით ანგარიში გახსნა. 87-ე წუთზე კი გუნდის ახალწვეულმა ფლორიან ბრუნსმა იმარჯვა და წონასწორობა აღადგინა. სტუმართა ორ გოლს შორის მასპინძლებმაც ორჯერ გაიტანეს. პირველად, ტაიმის 38-ე, მეორედ კი მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე. „შალკეს" კიდევ რამდენჯერმე შეეძლო გატანა, მაგრამ ვერ შეძლო და მატჩის მიწურულს ბრუნსმა დასაჯა კიდეც.

ამ ტურის შემდეგ გერმანიაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. „ლევერკუზენმა" „ბაიერნის" მორიგი წაფორხილებით ისარგებლა და ახლა მას ბურთების სხვაობით ჩამორჩება.

„ბაიერნმა" შინ ერთ-ერთ კონკურენტ „დორტმუნდთან" დაკარგა ორი ქულა.



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — დორტმუნდი 1:1. მასპინძელი მიხაელ ტარნატი და სტუმარი კრისტიან ვიორნსი (№2) ბრძოლას თოვლშიც არ ერიდებოდნენ

მატჩის წინ მიუნხენში გათოვდა და „ოლიმპიაშტადიონის" მწვანე მინდორიც გადათეთრდა. ამინდმა თამაშს თავისი დაღი დაასვა — იგი ძალიან უინტერესო გამოდგა. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის, მიუხედავად იმისა, რომ თოვლმა იკლო და მინდორმაც ჩვეული ფერი დაიბრუნა.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა — რიკენის დარტყმული ბურთი კანმა მოიგერია, ისევე როგორც მოგვიანებით კოლერისა. „ბაიერნის" პირველივე ორგანიზებული შეტევა კი გოლით დასრულდა. მისი ავტორი იერემისი გახდა. ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისშივე გათანაბრდა. კოლერმა ზუსტი თავურით კანს შანსი არ დაუტოვა. ამის შემდეგ თამაში ნელ ტემპში წარიმართა. საგოლე მომენტი სულ ერთხელ შეიქმნა. 82-ე წუთზე კარსტენ იანკერი მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა უჩვეულოდ დაიბნა.

მატჩის შემდეგ „ბაიერნის" თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ბიჭებისადმი სასაყვედურო არაფერი მაქვს, თავი არ დაზოგესო. „დორტმუნდის" მთავარმა მწვრთნელმა მიხაელ სკიბემ კი ეს განაცხადა: „მორალური თვალსაზრისით ეს შეხვედრა ძალიან წაგვადგება. დავამტკიცეთ, რომ მოწინავეთა შორის ტყუილად არ ვართ".

„ლევერკუზენმა" „ვერდერს" უმასპინძლა და გამარჯვება დიდი ოფლის ღვრის ფასად მოიპოვა. სტუმრებმა ორჯერ შეძლეს წონასწორობის აღდგენა. შეხვედრის დებიუტშივე ჟივკოვიჩის მიერ გატანილი გოლი მე-20 წუთზე პიზარომ გაქვითა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ულფ კირსტენმა პენალტი გაიტანა და თავისი 34-ე დაბადების დღე გოლით აღნიშნა. „ვერდერმა" კირსტენის გოლსაც მალე უპასუხა. თავი ბრაზილიელმა აილტონმა გამოიჩინა. მატჩის ბედი 66-ე წუთზე ემერსონის ზუსტმა თავურმა გადაწყვიტა.

„კაიზერსლაუტერნმა" ოთხმატჩიანი მოგებების სერია შეწყვიტა, თუმცა ნამდვილად ღირსი იყო, იგი ხუთამდე გაეზარდა. ბურთი რომ მრგვალია, „ლაუტერნი" — „ვოლფსბურგის" მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა. მასპინძლებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ მაინც ვერ მოიგეს. ძალიან მალე შეეწყო გუნდს მარიო ბასლერი, რომელმაც შეხვედრა აქტიურად ჩაატარა. პირველ ტაიმში ოტო რეჰაგელის შეგირდებს 3-4 გოლი მაინც უნდა გაეტანათ, თუმცა ეს მხოლოდ ერთხელ შეძლეს. ბასლერი — სფორცას კომბინაცია ხრისტოვმა ზუსტი, ლამაზი დარტყმით დააგვირგვინა. თანაფარდობა 57-ე წუთზე აღდგა. მსაჯმა მასპინძელთა კარში ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა. „ლაუტერნის" პროტესტმა, ბუნებრივია, არ გაჭრა, აკონორმა კი უნაკლოდ დაარტყა — 1:1. გაშვებულმა გოლმა მასპინძლები დააბნია. შედეგად 65-ე წუთზე ბალვანცმა სტუმრები დააწინაურა, თუმცა დროებით, ორიოდ წუთში ჯორკაეფმა პენალტითვე გაათანაბრა. მატჩის მიწურულმა „კაიზერსლაუტერნის" უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ გოლი აღარ გასულა.

„დიდი ხანია, არ მითამაშია. ამიტომ ძველი ფორმის ალსადგენად ცოტა დრო კიდევ მჭირდება. ვფიქრობ, ორი კვირის შემდეგ „ფრაიბურგთან" მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები და მეტოქესაც კარგ დღეს არ დავაყენებთ" — განუცხადა ჟურნალისტებს მარიო ბასლერმა.

„ბაიერნსა" და „ლევერკუზენს" კვალში „ჰამბურგი" უდგას, რომელმაც პარასკევს „აინტრახტს" შინ 1:0 მოუგო. მასპინძლებმა გოლი საკმაოდ გვიან გაიტანეს. 77-ე წუთზე იებოამ კლუბის ხელმძღვანელობასა და ქომაგებს ნერვები დაუწყნარა.

ნელ-ნელა გონს მოდის ბერლინის „ჰერტა". ბერლინელებმა აუტსაიდერ „ულმს" უმასპინძლეს და დაარწმუნეს, რომ პირველ ბუნდესლიგაში მათი ყოფნა დროებითი და შემთხვევითია.

**ვანო ოქროპირიძე**

|  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 14 | 8 | 3 | 3 | 26:12 | 14 | 27 | 7 | 4 | 2 | 1 | 18:6 | 12 | 14 | 7 | 4 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 13 |
| 2 ლევერკუზენი | 14 | 7 | 6 | 1 | 23:14 | 9 | 27 | 7 | 5 | 2 | 0 | 17:8 | 9 | 17 | 7 | 2 | 4 | 1 | 6:6 | 0 | 10 |
| 3 ჰამბურგი | 14 | 7 | 5 | 2 | 30:15 | 15 | 26 | 7 | 5 | 2 | 0 | 19:4 | 15 | 17 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 0 | 9 |
| 4 მიუნხენი | 14 | 7 | 3 | 4 | 22:16 | 6 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:5 | 9 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 8 |
| 5 დორტმუნდი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:12 | 7 | 23 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 12 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:4 | 4 | 11 |
| 6 ლაუტერნი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:23 | -4 | 23 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 2 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:14 | -6 | 10 |
| 7 ვერდერი | 14 | 6 | 4 | 4 | 31:20 | 11 | 22 | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 6 | 13 | 7 | 2 | 3 | 2 | 16:11 | 5 | 9 |
| 8 შტუტგარტი | 14 | 6 | 2 | 6 | 15:16 | -1 | 20 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | -2 | 7 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 13 |
| 9 შალკე | 14 | 4 | 7 | 3 | 18:16 | 2 | 19 | 7 | 1 | 5 | 1 | 8:9 | -1 | 8 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 3 | 11 |
| 10 უნტერჰახინგი | 14 | 5 | 3 | 6 | 14:15 | -1 | 18 | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 8 | 17 | 7 | 0 | 1 | 6 | 4:13 | -9 | 1 |
| 11 ჰერტა | 14 | 4 | 6 | 4 | 20:23 | -3 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 12 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:17 | -9 | 6 |
| 12 ჰანზა | 14 | 4 | 5 | 5 | 21:29 | -8 | 17 | 7 | 4 | 3 | 0 | 15:9 | 6 | 15 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:20 | -14 | 2 |
| 13 ვოლფსბურგი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:27 | -8 | 17 | 7 | 4 | 0 | 3 | 12:14 | -2 | 12 | 7 | 0 | 5 | 2 | 7:13 | -6 | 5 |
| 14 ფრაიბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 21:21 | 0 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 15:6 | 9 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 6:15 | -9 | 3 |
| 15 აინტრახტი | 14 | 3 | 2 | 9 | 16:21 | -5 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 10:8 | 2 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:13 | -7 | 4 |
| 16 არმინია | 14 | 2 | 5 | 7 | 11:26 | -15 | 11 | 7 | 1 | 4 | 2 | 7:9 | -2 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:17 | -13 | 4 |
| 17 დუისბურგი | 14 | 1 | 7 | 6 | 16:23 | -7 | 10 | 7 | 1 | 5 | 1 | 9:7 | 2 | 8 | 7 | 0 | 2 | 5 | 7:16 | -9 | 2 |
| 18 ულმი | 14 | 2 | 4 | 8 | 11:23 | -12 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:6 | 0 | 8 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:17 | -12 | 2 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ბოდე (ვერდერი) | 8 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 8 |

XV ტური

10 დეკემბერი
ვერდერი - უნტერჰახინგი
არმინია - დუისბურგი

11 დეკემბერი
მიუნხენი - შალკე
ფრაიბურგი - ჰერტა
დორტმუნდი - შტუტგარტი
ჰანზა - ბაიერნი

12 დეკემბერი
ულმი - ლაუტერნი
ვოლფსბურგი - აინტრახტი
ლევერკუზენი - ჰამბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

XIV ტური

### ჰანოვერი 1:1 ობერჰაუზენი

1:0 კროიცი (18), 1:1 ლიპინსკი (57პ)

### ქემნიცი 5:0 ფიურტი

1:0 ბიტერმანი (3), 2:0 დიტგენი (27), 3:0 შკელა (30), 4:0 იორგ ვებერი (62), 5:0 კიონიგი (65)

### ოფენბახი 1:1 გლადბახი

1:0 ბინცი (85), 1:1 კორზინიცი (86)

### ვალდჰოფი 2:1 კოტბუსი

1:0 ნინგ ზუ (29), 2:0 კლაუში (60), 2:1 ლატუნდილი (87)

### ალემანია 3:1 ზანქტ პაული

1:0, 2:0 ლამერმანი (33, 42), 2:1 კლასნიჩი (58), 3:1 ბერთოლდი (73)

### მაინცი 0:1 ბოხუმი

0:1 ბაკლი (43)

### ნიურნბერგი 3:2 კიკერსი

1:0, 2:0 ბელიაკოვი (24, 44), 2:1 კიუმერლი (51), 3:1 კრჟინოვეკი (53), 3:2 იოზქანი (68)

### ფორტუნა 0:0 ბერლინი

### კარლსრუე — კიოლნი

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 13 | 9 | 3 | 1 | 29:10 | 30 |
| კოტბუსი | 14 | 9 | 1 | 4 | 31:16 | 28 |
| ნიურნბერგი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:25 | 24 |
| ბერლინი | 14 | 5 | 7 | 2 | 22:16 | 22 |
| ალემანია | 14 | 6 | 4 | 4 | 25:26 | 22 |
| ქემნიცი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:17 | 21 |
| მაინცი | 14 | 5 | 6 | 3 | 18:17 | 21 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 2 | 6 | 23:21 | 20 |
| ჰანოვერი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:20 | 18 |
| ფიურტი | 14 | 4 | 6 | 4 | 10:14 | 18 |
| გლადბახი | 14 | 4 | 4 | 6 | 19:21 | 16 |
| ვალდჰოფი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:22 | 16 |
| კიკერსი | 14 | 4 | 4 | 6 | 21:27 | 16 |
| ზტ. პაული | 14 | 3 | 6 | 5 | 15:19 | 15 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:18 | 14 |
| ფორტუნა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:19 | 14 |
| კარლსრუე | 13 | 2 | 5 | 6 | 20:24 | 11 |
| ოფენბახი | 14 | 2 | 5 | 7 | 10:19 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

XII ტური

### ფიორენტინა 2:1 მილანი

0:1 ბირჰოფი (1), 1:1 ბატისტუტა (21), 2:1 ჰაინრიხი (41)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ფირიკანო, პიერინი, ტორიჩელი, დი ლივიო, კოისი (ბრესანი 83), ჰაინრიხი, რუი კოშტა, ბატისტუტა, კიეზა (კ. ამორუზო 78)
მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი (გულიელმინპიეტრო 63), ალბერტინი (დე აშენტისი 71), გატუზო, სერჟინიო, ბობანი, შევჩენკო, ბირჰოფი
გაფრთხილება: მალდინი, ბობანი, ალბერტინი, ჰაინრიხი, კოსტაკურტა
მსაჯი: ბორიელო

### იუვენტუსი 2:0 ბოლონია

1:0, 2:0 ინძაგი (55, 70)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო, ძამბროტა (ბირინდელი 88), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი (ოლისე 87), ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 75), დელ პიერო
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პაგანინი, პარამატი, ტარანტინო, ნერვო, ინგესონი, პიაჩენტინი, ზე ელიასი (ფონტოლანი 70), სინიორი (ვენტოლა 83), კ. ანდერსონი
გაფრთხილება: დავიდსი, ინგესონი, ნერვო, ზე ელიასი, ფერარა, პაგანინი, დელ პიერო
მსაჯი: ჩეზარი

### პერუჯა 0:2 ლაციო

0:1 სალასი (37), 0:2 სერჟიო კონსეისაო (62)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო, რიპა, კალორი, მილანეზე, ბა, ტედესკო, ოლივე (ბიზოლი 71), რაპაიჩი, ნაკატა, ნ. ამორუზო (მელი 71)
ლაციო: მარკეჯანი, ფერნანდო კოუტუ (ლომბარდო 56), ნესტა, მიხაილოვიჩი, გოტარდი, სერჟიო კონსეისაო (სიმეონე 69), დ. სტანკოვიჩი, სენსინი, ვერონი, ბოკშიჩი (მანჩინი 80), სალასი
გაფრთხილება: ვერონი, ნაკატა, სტანკოვიჩი, რიპა, სალასი, რაპაიჩი
მსაჯი: მესინა

### რომა 3:2 ლეჩე

1:0 ტოტი (41), 1:1 სესა (50), 2:1 კანდელა (63), 2:2 პივოტო (69), 3:2 კანდელა (86)
რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, მანგონე, კაფუ, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო (ტომაზი 87), კანდელა, ტოტი, მონტელა (ალენიჩევი 89), დელვეკიო
ლეჩე: კიმენტი, პივოტო, პიანჯერელი, ვიალი, ხუარესი, ბალერი (კოლონელო 80), ბონომი, ლიმა, ტრავერსა, სესა (ბილოტი 78), ლუკარელი
გაფრთხილება: ტრავერსა, ლუკარელი, მონტელა, პივოტო, ხუარესი, პიანჯერელი, ბონომი
მსაჯი: პრესკერნი

### პარმა 4:1 ტორინო

1:0 კრესპო (5), 2:0 ორტეგა (45), 3:0 კრესპო (58), 4:0 ანდრე კრუზი (75 ს.კ.), 4:1 ანდრე კრუზი (90)
პარმა: გუარდალბენი, ტურამი, ტორიზი, კანავარო, ფუზერი (ვანოლი 46), დ. ბაჯო (ბოლანო 60), ვალემი, ბრედა (საკანი 78), სერენა, ორტეგა, კრესპო
ტორინო: ბუჩი, ბონომი, ანდრე კრუზი, კუდინი (პინგა 49), ასტა, დიავარა, ბრამბილა, მენდესი (ფიკადენტი 63), კოკო (ლენტინი 63), არტისტიკო, ივიჩი
გაფრთხილება: კუდინი, ანდრე კრუზი, ბონომი, არტისტიკო, ორტეგა, ფიკადენტი, დიავარა
მსაჯი: დე სანტისი

### ინტერი 3:0 უდინეზე

1:0 რეკობა (20), 2:0 ვიერი (57), 3:0 რუსო (90)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, ფრეზი, ხ. ძანეტი, იუგოვიჩი (კოლონეზე 87), კოე, გეორგატოსი, დი ბიაჯო (დაბო 79), ვიერი, რეკობა (რუსო 75)
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, გარგო, ძანკი, ჟენო, ფიორე, ბისგაარდი (მანფრედინი 54, პოჯი 58), იორგენსენი, ლოკატელი, სოსა, მუცი
გაფრთხილება: ვიერი, მანფრედინი
მსაჯი: როსი

### ბარი 3:2 პიაჩენცა

0:1 რიციტელი (30), 1:1 მარკოლინი (40), 2:1 ნექროიზი (53), 2:2 დიონიჯი (65), 3:2 ნექროიზი (75)
ბარი: მანჩინი, დე როსა, გარსია, ნექროიზი, დელ გროსო, მ. მარკოლინი, კოლაუტო, ოლივარესი (სპინეზი 48), მარკიჩი (ფერარი 61), მასინგა (ბელავისტა 82), ოსმანოვსკი
პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, პოლონია, მანიგეტი, დელი კარი, საკეტი (ლამაკი 46), მაცოლა, კრისტალინი (სტროპა 59), გაუტიერი, პიოვანი, რიციტელი (დიონიჯი 48)
გაფრთხილება: მასინგა, პოლონია
მსაჯი: ფარინა

### ვენეცია 2:0 რეჯინა

1:0, 2:0 მანიერო (56, 67)
ვენეცია: კონსელი, კარდონე, პავანი, ლუპი, ბეტარინი, ვალტოლინა, იაკინი (ბერგი 91), ნანამი, პედონე, მანიერო (ბორგობელო 86), პეტკოვიჩი (კარნაშალი 79)
რეჯინა: ორლანდონი, ჩირილო, სტოვინი, ჯაკეტა, ბერნინი (დე მინსიე 85), ბარონიო, ბრევი, პირლო, მორაბიტო (რეგი 75), პოსანცინი, კალონი
გაფრთხილება: პავანი, ბერნინი, ბრევი, ჯაკეტა, პოსანცინი, მანიერო, ბარონიო
მსაჯი: ტრეოსი

### ვერონა 2:0 კალიარი

1:0 ალიეტი (34), 2:0 ადაილტონი (36)
ვერონა: ფრეი, ფილიპინი (ლაურსენი 62), ფრანჩესკეტი, აპოლონი, ფალსინი, ჯანდებიაჯი, ბროკი, მარასკო, მელისი, ალიეტი (სალვეტი 73), ადაილტონი
კალიარი: სკარპი, დილიზო (სულჩისი 52), ლოპესი, ვილა, გრასადონია (მოდესტო 52), ბერეტა, დე პატრე, მაჩელარი, მაიელე, მბომა, ოლივეირა
გაფრთხილება: ფრანჩესკეტი, მარასკო, ალიეტი, მაიელე, ოლივეირა, ლოპესი, ჯანდებიაჯი
მსაჯი: სერენა



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ბოლონია 2:0. ტურინელთა სათვალიანმა ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა ბოლონიელები კლას ინგესონი (მარცხნივ) და კარლო ნერვო უკან ჩამოიტოვა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რომა | 12 | 7 | 4 | 1 | 26:11 | 15 | 25 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 5 | 11 | 6 | 4 | 2 | 0 | 14:4 | 10 | 14 |
| 2 | ლაციო | 12 | 7 | 4 | 1 | 26:13 | 13 | 25 | 6 | 4 | 2 | 0 | 17:7 | 10 | 14 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 11 |
| 3 | იუვენტუსი | 12 | 7 | 4 | 1 | 15:6 | 9 | 25 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:3 | 9 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 9 |
| 4 | ინტერი | 12 | 7 | 2 | 3 | 23:9 | 14 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 | 16 | 5 | 2 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 7 |
| 5 | პარმა | 12 | 6 | 3 | 3 | 23:17 | 6 | 21 | 6 | 4 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:11 | -2 | 8 |
| 6 | მილანი | 12 | 5 | 5 | 2 | 25:17 | 8 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:4 | 10 | 13 | 7 | 1 | 4 | 2 | 11:13 | -2 | 7 |
| 7 | ბარი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:15 | 0 | 17 | 6 | 1 | 5 | 0 | 7:6 | 1 | 8 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | -1 | 9 |
| 8 | ფიორენტინა | 12 | 4 | 5 | 3 | 14:14 | 0 | 17 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 5 | 0 | 4 | 1 | 4:6 | -2 | 4 |
| 9 | პერუჯა | 12 | 5 | 1 | 6 | 13:16 | -3 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 6 |
| 10 | უდინეზე | 12 | 4 | 3 | 5 | 15:19 | -4 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 |
| 11 | ბოლონია | 12 | 3 | 5 | 4 | 8:10 | -2 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:1 | 4 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 5 |
| 12 | ტორინო | 12 | 3 | 5 | 4 | 10:14 | -4 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 8 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:9 | -5 | 6 |
| 13 | ლეჩე | 12 | 4 | 2 | 6 | 14:23 | -9 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 13 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:18 | -13 | 1 |
| 14 | ვერონა | 12 | 3 | 2 | 7 | 7:17 | -10 | 11 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:2 | 4 | 10 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:15 | -14 | 1 |
| 15 | პიაჩენცა | 12 | 2 | 4 | 6 | 9:14 | -5 | 10 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 1 |
| 16 | რეჯინა | 12 | 2 | 4 | 6 | 12:20 | -8 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | -4 | 5 |
| 17 | ვენეცია | 12 | 2 | 3 | 7 | 9:16 | -7 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 8 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 1 |
| 18 | კალიარი | 12 | 0 | 5 | 7 | 11:24 | -13 | 5 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 3 | 6 | 0 | 2 | 4 | 6:14 | -8 | 2 |

# 15 [illegible]

რომის ოლიმპიურ სტადიონზე კინალამ 1986 წელი დაბრუნდა. ყოველ შემთხვევაში, ხალხს ნამდვილად გაახსენდებოდა ცამეტი წლის წინანდელი კოშმარი, როდესაც სწორედ „ლეჩემ", სწორედ იქ, დედაქალაქის მთავარ სარბიელზე „რომას" 3:2 მოუგო და ჩემპიონის ტიტული დააკარგინა.

ანგარიში ახლაც 3:2 გამოდგა, ოღონდ უკვე მასპინძელთა სასარგებლოდ. მართალია, ამჯერად „სკუდეტოს" ბედი არ წყდებოდა, ვინაიდან ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ თავისთავად ფაქტი, რომ რომაელთა გოლებს „ლეჩე" დაჟინებით, გოლებითვე პასუხობდა, უნებურად გაახსენებდა კაცს იმ მივიწყებულ ამბავს.

ანგარიში 41-ე წუთზე ფრანჩესკო ტოტიმ გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში შვეიცარიელმა დავიდ სესამ 20 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით აღადგინა წონასწორობა.

მასპინძლები 63-ე წუთზე ფრანგმა ვინსენ კანდელამ ხელმეორედ დააწინაურა, ოღონდ მხოლოდ ექვსი წუთით. 69-ზე „რომას" ყოფილმა მოთამაშემ, მატეო პივოტომ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავურით შეაგდო ძველ თანაგუნდელთა კარში.

სტუმართა წინააღმდეგობა საბოლოოდ 86-ე წუთზე გატყდა და ამაში მონაწილეობა წინა აბზაცში ხსენებულმა ორმა ადამიანმა მიიღო — კანდელას დარტყმული პივოტომ აისხლიტა და ბადეში შევარდა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ" — განაცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — „ასეთი მებრძოლი სულისკვეთებით ჩვენ შორს წავალთ".

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ ცხრილს „რომა" უდგას სათავეში, ოღონდ გატანილ-გაშვებულთა უკეთესი ფარდობის წყალობით. რაც შეეხება ქულებს, ზუსტად იმდენივე აქვთ „იუვენტუსსა" და „ლაციოს", რომელთაც ერთნაირი ანგარიშით, 2:0 დაამარცხეს „ბოლონია" და „პერუჯა".

„იუვენტუსის" გოლები ფილიპო ინძაგიმ გაიტანა და ამ სეზონში, ყველა რანგის ტურნირში შეგდებულთა რაოდენობა 11-მდე გაზარდა. ინძაგის გოლები, გარკვეულწილად, ბედის ნაწყალობევი გახლდათ და ორივეში ალესანდრო დელ პიერო მონაწილეობდა.

„ლაციომ" იტალიის პირველობის სამ ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა. თავიდან ალენ ბოკშიჩის პასით მარსელო სალასმა შეაგდო თავური გოლი, მერე კი ინდივიდუალური ოსტატობით სერჟიო კონსეისაომ გაიბრწყინა. მანამდე მილან რაპაიჩმა ორჯერ ძელს გაარტყა ბურთი.

მეოთხე ადგილზე ავიდა „ინტერი", რომელმაც რონალდოს არყოფნაში 3:0 სძლია „უდინეზეს". ამ შეხვედრაში ერთი გოლი კრისტიან ვიერიმ შეაგდო, რაც მას სექტემბრის მერე არ გაუკეთებია. ვიერი, საერთოდ, ოქტომბრიდან არ გამოჩენილა მოედანზე.

შავ-ლურჯთაგან ანგარიში რონალდოს ფუნქციის შემსრულებელმა, ურუგვაელმა ყმაწვილკაცმა, ალვარო რეკობამ გახსნა. მან „უდინეზეს" მცველებს დრიბლინგით აჯობა და, სხვათა შორის, მესამე მატჩში მესამე გოლი შეაგდო. მეორე გოლი ვიერისა იყო, [illegible] სით — 18 წლის დებიუტანტმა, ნელო რუსომ გაიტანა.

„ინტერის" მწვრთნელი, მარჩელო ლიპი: „ყველაფერზე მნიშვნელოვანი ლიდერების წრეში ტრიალი გახლავთ. ახლა დაწინაურებულთ სულ ორი ქულით ჩამოვრჩებით".

აღსანიშნავია, რომ ლიპი შემდგომ ტურში ინტერელებს თავისი ყოფილი, იუვენტუსელი შეგირდების წინააღმდეგ დარაზმავს.

„პარმამ" მეხუთე ადგილზე დასამკვიდრებლად „ტორინო" დაჯაბნა — 4:1, ხოლო მეექვსემ, „მილანმა" მერვესთან, „ფიორენტინასთან" 1:2 წააგო. საგულისხმოა, რომ ფლორენციელთა პირველი გოლი მათმა ვარსკვლავმა, გაბრიელ ბატისტუტამ გაიტანა და ეს გახლდათ არგენტინელის 151-ე შედეგიანი დარტყმა „ფიორენტინას" შემადგენლობაში, ანუ „ბატიგოლი" ლეგენდარელ შვედს, კურტ ჰამრინს გაუტოლდა.

ამ შეხვედრაში ანგარიში „მილანმა" გახსნა — პირველსავე წუთზე ოლივერ ბირჰოფმა გამოიჩინა თავი — მერე კი მასპინძლების ჯერი დადგა. 21-ზე ალესანდრო კოსტაკურტას შეცდომით ბატისტუტამ ისარგებლა და ზემოხსენებული გოლი გაიტანა, შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე კი ანჯელო დი ლივიოს 30 მეტრიდან დარტყმული მეკარე სებასტიანო როსიმ ვერ შეიმაგრა, ხოლო იორგ ჰაინრიხმა მილანელი მცველების სიზანტე დასაჯა. მოგვიანებით ბირჰოფმა უმარტივესი მდგომარეობიდან ძელს გაარტყა ბურთი.

**ბაბუნა ბედია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კრესპო (პარმა) | 9 |
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 6 |
| ვიერი (ინტერი) | 6 |
| სალასი (ლაციო) | 6 |
| მუცი (უდინეზე) | 6 |
| დელვეკიო (რომა) | 6 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 6 |

XIII ტური

11 დეკემბერი
ლეჩე — ბარი
მილანი — ტორინო

12 დეკემბერი
ბოლონია — რომა
იუვენტუსი — ინტერი
ლაციო — ფიორენტინა
პიაჩენცა — პერუჯა
რეჯინა — კალიარი
უდინეზე — ვერონა
ვენეცია — პარმა

## სერია B

XIV ტური

**ატალანტა 0:1 კიევო**
0:1 მარაძინა (25)

**ვიჩენცა 2:1 სამპდორია**
0:1 კასალე (18), 1:1 კომანდინი (643), 2:1 ლუიზო (92)

**პესკარა 1:2 რავენა**
0:1 ჩენტოფანტი (49), 0:2 ვეკიოლა (51), 1:2 ჯამპაოლო (63)

**ნაპოლი 1:0 ემპოლი**
1:0 შვოხი (12)

**მონცა 1:0 სავოია**
1:0 ბრნჩიჩი (9)

**ჯენოა 1:1 ფერმანა**
1:0 ფრანკიოზო (553), 1:1 მეძანოტი (74)

**კოზენცა 0:0 სალერნიტანა**

**ჩეზენა 2:2 ბრეშა**
1:0 სკიენცა (10), 1:1 ბონაცოლი (16), 1:2 ფილიპინი (47), 2:2 სუპერბი (52)

**ტერნანა — პისტოიეზე**
გადაიდო

**ტრევიზო — ალძანო**
იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 14 | 9 | 2 | 3 | 28:14 | 29 |
| ბრეშა | 14 | 7 | 7 | 0 | 21:8 | 28 |
| ატალანტა | 14 | 8 | 2 | 4 | 21:14 | 26 |
| ნაპოლი | 14 | 6 | 5 | 3 | 18:15 | 23 |
| ალძანო | 13 | 6 | 4 | 3 | 17:14 | 22 |
| სამპდორია | 14 | 5 | 6 | 3 | 14:11 | 21 |
| ჩეზენა | 14 | 4 | 7 | 3 | 17:13 | 19 |
| რავენა | 14 | 4 | 7 | 3 | 15:12 | 19 |
| მონცა | 14 | 4 | 7 | 3 | 12:12 | 19 |
| ტრევიზო | 13 | 5 | 3 | 5 | 20:16 | 18 |
| კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 16:17 | 18 |
| პესკარა | 14 | 3 | 7 | 4 | 19:20 | 16 |
| კოზენცა | 14 | 3 | 7 | 4 | 10:12 | 16 |
| სალერნიტანა | 14 | 3 | 6 | 5 | 16:20 | 15 |
| ტერნანა | 13 | 3 | 6 | 4 | 13:18 | 15 |
| ემპოლი | 14 | 4 | 3 | 7 | 8:20 | 15 |
| ჯენოა | 14 | 3 | 4 | 7 | 15:16 | 13 |
| სავოია | 14 | 2 | 6 | 6 | 12:21 | 12 |
| პისტოიეზე* | 13 | 4 | 3 | 6 | 12:17 | 11 |
| ფერმანა | 14 | 1 | 3 | 10 | 10:24 | 6 |

** „პისტოიეზეს" დაკლებული აქვს 4 ქულა*

## სერია C1/A

XIII ტური. ბრეშელო — მონტევარკი 0:0; ჩიტადელა — კარარეზე 2:0; კომო — ლივორნო 0:0; კრემონეზე — სანდონა 2:2; ლუკეზე — რეჯანა 1:0; მოდენა — ლუმეცანე 1:0; პიზა — ალბინოლეფე 1:1; სიენა — ლეკო 3:1; ვარეზე — სპალ 2:1

## სერია C1/B

XIII ტური. ანკონა — ასკოლი 1:1; ატლეტიკო — ბენევენტო 0:0; დი სანგრო — ჯულიანოვა 1:2; ფ. ანდრია — მარსალა 2:2; გუალდო — ლოდიჯანი 0:0; სტაბია — ავილინო 1:0; ნოჩერინა — კროტონე 0:1; პალერმო — კატანია 1:1; ვიტერბეზე — არეცო 4:1

## ესპანეთი

XIV ტური

**რეალი 1:5 სარაგოსა**

0:1 მილოშევიჩი (29), 0:2, 0:3 ხუანელე (39, 44), 1:3 რაული (54), 1:4 გარიტანო (55), 1:5 მილოშევიჩი (68)
რეალი: ბიზარი, რობერტო კარლოსი, ჟულიო სეზარი (ოგნიენოვიჩი 46), კარანკა, გუტი, სავიო, ივან ელგუერა, ზეედორფი, კარემბუ, მორიენტესი, რაული
სარაგოსა: ხუანმი, კუარტერო, აგუადო, პაკო-ხემესი (სოლანა 21), პაბლო სანსი, აკუნია, არაგონი, გარიტანო, ხუანელე, მილოშევიჩი, ველისკა
გაფრთხილება: სოლანა, კარანკა, გარიტანო, გუტი, პაბლო სანსი
მსაჯი: კარმონა მენდესი

**ბარსელონა 3:2 ოვიედო**

1:0, 2:0 კოკუ (17, 26), 3:0 კლუივერტი (28), 3:1 ლოსადა (73), 3:2 გონსალესი (90)
ბარსელონა: არნაუ, ფ. დე ბური, დეუ, რაიციგერი, კოკუ (სერხი 67), ხავი, ზენდენი, ლუის ენრიკე (რ. დე ბური 74), რივალდო, კლუივერტი (სიმაო 85), ფიგუ
ოვიედო: ესტებანი, დანჟუ, ონოპკო, ბორისი, პაულო ბენტუ, პომპეი, კეიტა, ივანი (გონსალესი 57), დუბოვსკი (ბანგო 85), დელი ვალდესი (ესკურსა 71), ლოსადა
გაფრთხილება: ონოპკო, ლოსადა
მსაჯი: პუენტეს ლეირა

**ვალენსია 2:0 სევილია**

1:0 ხუან სანჩესი (6), 2:0 კლაუდიო ლოპესი (69)
ვალენსია: პალოპი, კარბონი, ჯუკიჩი, პელეგრინო, ანგლომა, მენდიეტა, ანგულო (ალბელდა 10), ხერარდი, ფარინოსი (ოსკარი 60), კლაუდიო ლოპესი, ხუან სანჩესი
სევილია: ვალენსია, ნანდო, პრიეტო, ჰიბიჩი, ტაბარე, ვიქტორ ფერნანდესი, ცარტასი (ხუან კარლოსი 60), ლორენი, ანხელი, პაკო მიიე (ექტორი 66), მარსელო ოტერო (ხესული 46)
გაფრთხილება: ალბელდა, პაკო მიიე, პელეგრინო, ტაბარე, ანგლომა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი

**ნუმანსია 3:1 სელტა**

1:0 კასერესი (35ს.კ.), 2:0 რუბენ ნავარო (52), 3:0 ოქტავიო (53), 3:1 მოსტოვოი (54)
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, ივან როჩა, მუნისი, ბელსუე, ბარბუ (რივერა 68), პაჩეტა, ნაგორე, კასტანიო, ოხედა (მორალესი 83), რუბენ ნავარო (ფაბრისი 91)
სელტა: დუტრუელი, ჯოროვიჩი (კავიედესი 67), სერხიო, კასერესი, ველასკო, მოსტოვოი, სელადესი, ჯოვანელა (ტომასი 45), მაკელელე, ბენი მაკკარტი, გუსტავო ლოპესი
გაფრთხილება: ოხედა, მაკელელე, ნაგორე, ჯოროვიჩი, პაჩეტა, გუსტავო ლოპესი, მოსტოვოი, სელადესი
მსაჯი: პერეს ბურული

**დეპორტივო 3:2 რაიო ვალეკანო**

1:0 მაკაი (6), 2:0 ტურუ ფლორესი (8), 3:0 პაულეტა (14), 3:1 ბოლო (43), 3:2 პელდერი (49)
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, მაურო სილვა (ხაიმე 62), ფლავიო კონსეისაო, დონატო, პაულეტა (ფრანი 54), მაკაი, ტურუ ფლორესი (ფერნანდო 81), ვიქტორ სანჩესი
რაიო ვალეკანო: კელერი, პაბლო სანსი (მიჩელი 45), ფერონი (კანაბალი 82), ლორენსი, ალკასარი, კლოტე, კოტა, ესტიბარისი, ჟილმარი (პელდერი 45), სემბრანოსი, ბოლო
გაფრთხილება: ვიქტორ სანჩესი, სემბრანოსი, ფლავიო კონსეისაო, პელდერი, ბოლო, ალკასარი
მსაჯი: პერეს ლასა

**მალაგა 2:3 ატლეტიკო**

0:1 ჰასელბაინკი (5), 1:1 ლუკე (23), 1:2 ჰასელბაინკი (43), 1:3 ხოსე მარი (49), 2:3 ლუკე (66)
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ბრავო, ფერნანდო სანსი, როხასი, აგოსტინო, მოვილია (სანდრო 65), დე ლოს სანტოსი, რუფეტი (დარიო სილვა 60), ლუკე, ედგარი (ბასტი 85)
ატლეტიკო: მოლინა, გუსტავო, აგილერა (სოლარი 68), შამოტი, გამარა, გასპარი, ბარახა, ვალერონი (უგო ლეალი 85), ბეიბლი, ჰასელბაინკი, ხოსე მარი (სანტი 73)
გაფრთხილება: ედგარი, ბარახა, ფერნანდო სანსი, ბეიბლი, ხოსე მარი, გამარა, შამოტი
მსაჯი: ლონჩი ანდრეუ

**ბილბაო 1:1 სოსიედადი**

1:0 ხ. ეჩებერია (26), 1:1 არამბურუ (65)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე (ედუ ალონსო 88), კარლოს გარსია, ალკორტა, ლაკრუსი, ი. გერერო (ხავი გონსალესი 84), ალკისა (ლარასაბალი 80), ურუტია, ხ. ეჩებერია, ესკერო, ურსაისი
სოსიედადი: ალბერტო, პიკაბეა, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ლორენი, ადოპოეუ (ბონილია 46), გომესი, კუპბაუერი, დე პაულა (არამბურუ 58), სა პინტუ, იდიაკესი (პაკო ლორენტე 64)
გაფრთხილება: ურუტია, დე პაულა, ლოპეს რეკარტე, ფელიპე, გომესი, იდიაკესი, ლორენი, ლარასაბალი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

**ბეტისი 2:5 ესპანიოლი**

1:0, 2:0 ალფონსო (18, 64), 2:1 ტამუდო (67), 2:2 ველამასანი (78), 2:3 გალკა (85პ), 2:4 დე ლუკასი (87პ), 2:5 გალკა (90)
ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო (ალექსისი 87), რივასი, კარპანი, ფილიპესკუ, ბენჟამინი (რომერო 87), ფინიდი, დენილსონი, იტო, კროსა, ალფონსო
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო (ტამუდო 40), ლოპო, კრისტობალი, სერხიო, გალკა, არტეაგა, როხერი (ნანდო 87), ველამასანი, მაურო ნავასი, ბენიტესი (დე ლუკასი 82)
გაფრთხილება: ტონი პრატსი, ველამასანი, ალფონსო, ლოპო, პოჩეტინიო
გაძევება: რივასი (85), დენილსონი (87)
მსაჯი: ბრიტო არსეო

**ვალიადოლიდი 1:0 რასინგი**

1:0 როდრიგო (24)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, სანტამარია, პენია, ტურიელი, აროლდ ლოზანო, ვისკაინო (ეუსებიო 74), როდრიგო (პეტერნაკი 76), ვიქტორი (ჩემა 88)
რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, არსენო (ტაისი 45, ნერუ 73), ჩემა (მანხარინი 60), მელბერგი, ვივარ დორადო, ისმაელი, ესპინია, სალვა, ამავისკა, მუნიტისი
გაფრთხილება: მუნიტისი, სანტამარია, არსენო, ჩემა, ისმაელი
მსაჯი: გარსია არანდა

**ალავესი 2:2 მალიორკა**

1:0 კოდრო (14), 1:1, 1:2 დიეგო ტრისტანი (55, 64), 2:2 ხავი მორენო (86)
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, ტელიესი, კარმონა, კონტრა, მორალესი (მაგნო 76), პაბლო (ნან რივერა 81), დესიო, ასტუდილიო, ხავი მორენო, კოდრო (ხულიო სალინასი 69)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ნადალი, სივიერო, ოლაიზოლა, კარერასი, ჩიჩი სოლერი, ენგონგა, ლორენი, ლეო ბიაჯინი (ჯოკაი 70), დიეგო ტრისტანი
გაფრთხილება: ასტუდილიო, ლორენი, ტელიესი, ლეო ფრანკო, კონტრა
მსაჯი: ესკინას ტორესი

# ქომაგები შოკში, პრეზიდენტი საავადმყოფოში



REUTERS მასალებიდან

რეალი — სარაგოსა 1:5. სარაგოსელთა სერბმა ლეგიონერმა სავო მილოშევიჩმა „რეალს" დუბლიც შეუსრულა და ბომბარდირებშიც დაწინაურდა

ალბათ, მიხვდით, ეს ფრაზა მადრიდის „რეალს" ეხება. „სამეფო გუნდი" რომ კრიზისშია, ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ ასეთ შედეგს ვერავინ წარმოიდგენდა. „სარაგოსამ" „რეალს" 5:1 მოუგო. თანაც ეს ყველაფერი „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოხდა. შინ, მადრიდელებს ასეთი ანგარიშით 25 წელი არ წაეგოთ. მაშინ კრუიფის „ბარსელონამ" დედაქალაქელები 5:0 გაანადგურა.

„სამეფო გუნდის" პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა თავისი ლოჟა პირველი ტაიმის დასრულებისთანავე დატოვა. სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა მატჩის ცქერას თავი ანებეს (იქ მათთვის სახეირო არაფერი ხდებოდა) და სანსის სიტყვიერ დამუშავებას შეუდგნენ.

იმ დროს, როდესაც მეორე ტაიმში „სარაგოსა" მასპინძლების განადგურებას აგრძელებდა, მადრიდელთა პრეზიდენტს ექიმები სინჯავდნენ. უმძიმესმა სტრესმა სანსის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ახლა მას დასვენება და მკურნალობის კურსის ჩატარება სჭირდება.

ერთი თვეც არ არის გასული, რაც სანსმა „განტევების ვაცად" ჯონ ტოშაკი აქცია. როგორც ჩანს, დღეს თავად მისი ჯერი დადგა. წლეულს ახალი ფეხბურთელების შეძენით კლუბის სალარო 78 მილიონი დოლარით შეთხელდა. ვერც ერთი მათგანი, 35 მილიონიანი ნიკოლა ანელკას ჩათვლით, მასზე დახარჯულ თანხას ვერ ამართლებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლორენცო სანსისგან პოსტის დატოვებას მოითხოვენ.

სანსი „რეალის" პრეზიდენტი 1995 წელს გახდა და პრეზიდენტობის საკმაოდ მოკლე პერიოდში შვიდი მწვრთნელი გააგდო.

14 ტურის შემდეგ სამად სამი მოგებით „რეალი" მხოლოდ მეჩვიდმეტე ადგილზეა. მსოფლიოში უმდიდრესი და უტიტულოვანესი კლუბისთვის ეს კატასტროფაა.

შაბათს მადრიდელთა განადგურება სარაგოსელმა სავო მილოშევიჩმა დაიწყო. უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა იუგოსლავიელმა 29-ე წუთზე ალბანო ბიზარის პირველი გოლი შეუგდო. პირველივე ტაიმში ხუანელემ კიდევ ორჯერ დალაშქრა მასპინძელთა კარი. შესვენების შემდეგ რაულმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა. მადრიდელთა კაპიტნის დარტყმული სტუმართა მეკარე ხუანმიმ უხერხულად მოიგერია, შემდეგ ფეხიც მიარტყა და საკუთარ კარში შეაგდო. ეს იყო და ეს, „რეალს" მეტი არაფერი გაუკეთებია. მეოთხე ანდერს გარიტანომ შეაგდო. საბოლოო წერტილი პირველი გოლის ავტორმა, მილოშევიჩმა დასვა. იუგოსლაველს სეზონში უკვე 15 გოლი აქვს გატანილი.

მატჩის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკემ თქვა: „ფეხბურთელები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ. ფეხბურთი რომ კოლექტიური თამაშია, მათ ეს დაავიწყდათ".

გუშინდელი ინფორმაციის თანახმად კი, უახლოეს ხანში დელ ბოსკე, შესაძლოა, ოდინდელმა რეალელმა ხორხე ვალდანომ შეცვალოს.

ამასობაში „დეპორტივომ" ლიდერობა განიმტკიცა. ლაკორუნიელებმა ყოფილი ლიდერი, „რაიო ვალეკანო" დაამარცხეს. მასპინძლები მე-14 წუთისთვის უკვე 3:0 იგებდნენ. მათ საქმე მოთავებულად ჩათვალეს და კინაღამ დაისაჯნენ. მადრიდელებმა ორი ბურთის გაქვითვა შეძლეს — მესამესთვის ძალა აღარ ეყოთ.

„დეპორტივოს" ერთპიროვნული ლიდერობის მოპოვებაში „სელტა" დაეხმარა. წინა ტურში „რეალის" მძლეველმა გუნდმა მოკრძალებულ „ნუმანსიას" ვერაფერი მოუხერხა. ჯერ ვიგოელმა კასერესმა საკუთარ კარში ჩაჭრა, შემდეგ რუბენ ნავარომ და ოქტავიო ვინალსმა უპირატესობა სამამდე გაზარდეს. რუსმა მოსტოვოიმ პრესტიჟის გოლიღა გაიტანა.

ბილბაოში ბასკური დერბი გაიმართა. გერეროს კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი სტუმართა მეკარე ალბერტო ლოპესმა მოიგერია. იქ კი ყველას ხოსება ეჩებერიამ დაასწრო და მასპინძლები დააწინაურა. „სოსიედადმა" ანგარიში 65-ე წუთზე გაათანაბრა. არამბურუმ ბილბაოელთა საჯარიმოს მისადგომებიდან უძლიერესი დარტყმით [illegible]. აღსანიშნავია, რომ „ატლეტიკს" ორი გოლი არ ჩაუთვალეს — [illegible].

„მალაგამ" შინ 2:3 წააგო მადრიდის „ატლეტიკოსთან". მატჩის გმირი მადრიდელი ჰასელბაინკი გახდა. მან დუბლი შეასრულა და თანაგუნდელ ხოსე მარის საგოლე პასიც გაუკეთა. მასპინძელთაგან ორივე ბურთი ახალგაზრდა თავდამსხმელის, ლუკეს ანგარიშზეა. მან დისკვალიფიცირებული კატანია შეცვალა.

ვალენსიაში ქართველებისთვის კარგად ნაცნობი რამ მოხდა. გახურებული ბურთაობის დროს სტადიონზე შუქი ჩაქრა. პროჟექტორების შეკეთებას 20 წუთი დასჭირდა. მასპინძლებს გაუმართლათ, რომ მსაჯმა თამაში გააგრძელა. მათ „სევილიას" 2:0 მოუგეს. გოლები ხუან სანჩესმა და კლაუდიო ლოპესმა გაიტანეს.

იმარჯვეს კატალონიურმა კლუბებმაც. „ბეტისი" „ესპანიოლს" 78-ე წუთამდე 2:1 უგებდა, მაგრამ ალფონსო პერესის გოლებმა მასპინძლებს ვერ უშველა. რაულ ტამუდოს ბოლო 22 წუთში სხვებმაც აუბეს მხარი და სტუმრებმა 5:2 მოიგეს. „ესპანიოლმა" ორჯერ პენალტებით გაიტანა. „ბეტისმა" მატჩი 9 კაცით დაასრულა. ბოლო წუთებში დევიდ რივასი და დენილსონი მიაბრძანეს მოედნიდან, თერთმეტმეტრიანებიც მათ გაძევებას მოჰყვა.

კატალონიელთა უპირველესმა გუნდმა „კამპ ნოუზე" „ოვიედოს" 3:2 მოუგო. ორი გოლი ფილიპ კოკუმ შეაგდო. მას ასისტენტობა ორჯერვე რივალდომ გაუწია. თავად ბრაზილიელსაც რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა. მესამე გოლი პატრიკ კლუივერტმა გაიტანა. მასპინძელთა სამს სტუმრებმა მხოლოდ რობერტო ლოსადასა და ხუან გონსალესის ორი გოლით უპასუხეს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 14 | 9 | 3 | 2 | 30:17 | 13 | 30 | 7 | 6 | 0 | 1 | 20:9 | 11 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 2 | 12 |
| 2 | სელტა | 14 | 9 | 0 | 5 | 21:15 | 6 | 27 | 7 | 6 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 18 | 7 | 3 | 0 | 4 | 8:10 | -2 | 9 |
| 3 | სარაგოსა | 14 | 7 | 4 | 3 | 25:12 | 13 | 25 | 7 | 5 | 2 | 0 | 17:4 | 13 | 17 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 0 | 8 |
| 4 | ბარსელონა | 14 | 7 | 2 | 5 | 31:21 | 10 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 19:7 | 12 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 12:14 | -2 | 7 |
| 5 | რაიო ვალეკანო | 14 | 7 | 1 | 6 | 20:20 | 0 | 22 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:12 | -2 | 9 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 |
| 6 | მალიორკა | 14 | 6 | 3 | 5 | 21:20 | 1 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:8 | 6 | 16 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 5 |
| 7 | ბილბაო | 14 | 5 | 5 | 4 | 20:21 | -1 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:9 | 3 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | -4 | 8 |
| 8 | ბეტისი | 14 | 6 | 2 | 6 | 15:24 | -9 | 20 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 16 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:18 | -12 | 4 |
| 9 | ნუმანსია | 14 | 5 | 4 | 5 | 20:23 | -3 | 19 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:7 | 7 | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:16 | -10 | 4 |
| 10 | ვალენსია | 14 | 5 | 3 | 6 | 18:14 | 4 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | -3 | 5 |
| 11 | ესპანიოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 23:23 | 0 | 18 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 | 2 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 11:13 | -2 | 7 |
| 12 | ალავესი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:16 | -1 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 |
| 13 | რასინგი | 13 | 4 | 5 | 4 | 21:20 | 1 | 17 | 7 | 1 | 5 | 1 | 11:9 | 2 | 8 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:11 | -1 | 9 |
| 14 | სოსიედადი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:20 | -1 | 17 | 7 | 4 | 1 | 2 | 14:11 | 3 | 13 | 7 | 0 | 4 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 15 | ატლეტიკო | 14 | 5 | 2 | 7 | 22:27 | -5 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 0 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 12:17 | -5 | 7 |
| 16 | მალაგა | 14 | 4 | 4 | 6 | 23:23 | 0 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 15:9 | 6 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 5 |
| 17 | რეალი | 14 | 3 | 7 | 4 | 23:26 | -3 | 16 | 7 | 1 | 3 | 3 | 12:16 | -4 | 6 | 7 | 2 | 4 | 1 | 11:10 | 1 | 10 |
| 18 | ვალიადოლიდი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:21 | -8 | 15 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:10 | 0 | 12 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:11 | -8 | 3 |
| 19 | ოვიედო | 14 | 3 | 4 | 7 | 11:21 | -10 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 5:4 | 1 | 11 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:17 | -11 | 2 |
| 20 | სევილია | 14 | 1 | 7 | 6 | 13:20 | -7 | 10 | 7 | 1 | 5 | 1 | 7:5 | 2 | 8 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 15 |
| სალვა (რასინგი) | 14 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 11 |

### XV ტური

2 დეკემბერი

ალავესი — ბეტისი
ესპანიოლი — ვალიადოლიდი
რასინგი — რეალი
სარაგოსა — ნუმანსია
სელტა — ბილბაო
სოსიედადი — დეპორტივო
რაიო — მალაგა
ატლეტიკო — ვალენსია
სევილია — ბარსელონა
მალიორკა — ოვიედო

## მეორე დივიზიონი

XVII ტური

**ტენერიფე 2:1 ატლეტიკო B**
1:0 პინილია (20), 1:1 პაბლო გარსია (61), 2:1 სიმუტენკოვი (85)

**ალბასეტე 2:2 ლეიდა**
0:1 ხოსემი (73), 1:1 ლეანდრო (57), 1:2 ხოსემი (59), 2:2 ხ. გერერო (72)

**ხეტაფე 2:1 ლას პალმასი**
0:1 ელოი (46), 1:1 კაიკუ (50), 2:1 პარადო (60)

**ესტრემადურა 1:0 სალამანკა**
1:0 ხუანიტო (19)

**ვილიარეალი 1:0 ოსასუნა**
1:0 გაიტანი (56)

**სპორტინგი 1:2 მერიდა**
0:1 ტალი (53), 1:1 მანოლო (86), 1:2 სენა (90)

**ლევანტე 5:2 ლეგანესი**
0:1 ოსკარი (13), 1:1, 2:1 სალილიასი (35, 40), 3:1 ვისენტე (58), 4:1 სალილიასი (65), 5:1 ხესუსი (82), 5:2 პაჩონი (84)

**უელვა 3:0 ტოლედო**
1:0 გალანი (44), 2:0 ბოდიპო (56), 3:0 პუენტასი (73)

**ელჩე 1:1 კომპოსტელა**
1:0 არმენტანო (44), 1:1 ლეკუმბერი (73)

**ეიბარი 1:1 კორდობა**
0:1 რიბერა (40პ), 1:1 ლენისი (82)

**ბადახოსი 2:1 ლოგრონიესი**
1:0 ბრაკამონტე (8), 1:1 სუარესი (26), 2:1 საბინო (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 17 | 11 | 4 | 2 | 29:13 | 37 |
| ლევანტე | 17 | 10 | 4 | 3 | 34:24 | 34 |
| ესტრემადურა | 17 | 9 | 4 | 4 | 19:15 | 31 |
| ლას პალმასი | 17 | 8 | 3 | 6 | 26:19 | 27 |
| ტენერიფე | 17 | 8 | 3 | 6 | 25:20 | 27 |
| სპორტინგი | 17 | 8 | 2 | 7 | 25:21 | 26 |
| ბადახოსი | 17 | 5 | 10 | 2 | 15:12 | 25 |
| ხეტაფე | 17 | 7 | 4 | 6 | 18:17 | 25 |
| ეიბარი | 17 | 6 | 6 | 5 | 27:24 | 24 |
| მერიდა | 17 | 6 | 6 | 5 | 20:17 | 24 |
| ალბასეტე | 17 | 6 | 6 | 5 | 19:22 | 24 |
| ვილიარეალი | 17 | 6 | 5 | 6 | 24:19 | 23 |
| ლეიდა | 17 | 6 | 4 | 7 | 27:23 | 22 |
| ელჩე | 17 | 5 | 7 | 5 | 19:21 | 22 |
| უელვა | 17 | 6 | 3 | 8 | 16:23 | 21 |
| კომპოსტელა | 17 | 5 | 5 | 7 | 25:27 | 20 |
| ოსასუნა | 17 | 6 | 1 | 10 | 15:20 | 19 |
| ლოგრონიესი | 17 | 4 | 6 | 7 | 24:26 | 18 |
| კორდობა | 17 | 4 | 6 | 7 | 17:22 | 18 |
| ლეგანესი | 17 | 4 | 6 | 7 | 16:27 | 18 |
| ატლეტიკო B | 17 | 4 | 3 | 10 | 19:28 | 15 |
| ტოლედო | 17 | 2 | 4 | 11 | 9:28 | 10 |

## საფრანგეთი

XVIII ტური

**ოსერი 1:1 მეცი**
0:1 სკაჩენკო (40), 1:1 კაპო (73)

**მონაკო 2:0 ლანსი**
1:0, 2:0 ტრეზეგე (15, 40)

**პსჟ 1:0 რენი**
1:0 სისე (2)

**სტრასბური 2:0 ბასტია**
1:0 ლუინდულა (17), 2:0 მარსილია (28)

**ლიონი 1:3 ტრუა**
0:1 ბუტალი (20), 1:1 დელმოტი (37), 1:2, 1:3 ს. ჯუკიჩი (69, 80)

**ბორდო 2:0 მონპელიე**
1:0 ალიკარტე (60), 2:0 ვილტორდი (78)

**მარსელი 2:0 ლე ავრი**
1:0 მორისი (55), 2:0 დიუგარი (56)

**ნანტი 0:1 სენტ ეტიენი**
0:1 ალოიზიო (35)

**ნანსი 0:2 სედანი**
0:1, 0:2 კუინტი (46, 83)

დავიდ ტრეზეგეს ორი გოლით „მონაკომ" „ლანსი" დაამარცხა. მე-15 წუთზე ტრეზეგემ, რომელიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მარკო სიმონეს მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ შეაგდო. მან მეორედაც ანალოგიური სიტუაციიდან გაიტანა. ამჯერად მას პარტნიორობა მარსელო გალიარდომ გაუწია. შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ. ფილიპ ბრუნელი და დანიელ მორეირა მეტად სახიფათოდ ურტყამდნენ, მაგრამ ფაბიენ ბარტეზი ბრწყინვალედ თამაშობდა. „ლანსთან" მოგება „მონაკოსთვის" მერვე წაუგებელი მატჩი იყო, ხოლო ტრეზეგემ სეზონში მეთერთმეტე და მეთორმეტე გოლები გაიტანა, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელმა შეხვედრის შემდეგ თქვა: „ჩემი დღევანდელი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. აქამდე მთელი ხუთი კვირის განმავლობაში არ გამეტანა, ამიტომ ეს ორი გოლი ძალიან მნიშვნელოვანია. თანაგუნდელებს კვლავ შეუძლიათ ჩემი იმედი ჰქონდეთ." მონაკოელთა მწვრთნელი კლოდ პუელიც კმაყოფილი დარჩა: „ჩვენს კართან რამდენიმე უსიამოვნო მომენტი შეიქმნა, თუმცა დამსახურებულად მოვიგეთ. ვიცი, რომ ფეხბურთელები ცოტათი გადაღლილნი არიან, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება. ზამთარში ბიჭები დასვენებას შეძლებენ. ცხადია, იმაზეც ვიზრუნებთ, რომ მეორე წრის წინ ფორმიდან არ ამოვვარდეთ."

„მონაკოს" ახლა 39 ქულა აქვს და ექვსი ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „პარი სენ ჟერმენს". პარიზელებმა თავის მხრივ „პარკ დე პრენსზე" მინიმალური ანგარიშით „რენს" მოუგეს. ამბიციური „რენისთვის" უკანასკნელ ცხრა მატჩში ეს პირველი დამარცხება იყო. გოლი შეხვედრის მეორე წუთზე გავიდა. დაახლოებით ოცი მეტრის მანძილიდან ლორან რობერმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა. ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა. დამატებაზე კი ალუ სისემ იმარჯვა. მასპინძლებს უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ 45-ე წუთზე ბრაზილიელმა თავდამსხმელმა კრისტიანმა პენალტი გააფუჭა.

პსჟ-ს მეორე ადგილზე აღზევებაში „ლიონმაც" შეუწყო ხელი. ლიონელები შინ „ტრუასთან" 1:3 დამარცხდნენ. ანგარიში მეოცე წუთზე სამუელ ბუტალმა გახსნა. მასპინძელთაგან კრისტოფ დელმოტმა პირველივე ტაიმში აღადგინა წონასწორობა. ჩემპიონატის ექს-ლიდერმა მეტი ვერაფერი შეძლო. 69-ე წუთზე სლადან ჯუკიჩმა უძლიერესი საჯარიმო დარტყმით „ტრუა" წინ გაიყვანა. შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მანვე მესამე გოლი შეაგდო. გათამაშების ცხრილში „ლიონი" მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა და ლიდერს რვა ქულით ჩამორჩება.

„ოსერმა" „მეცთან" ფრედ, 1:1 ითამაშა და მეოთხეა. სტუმრები უკრაინელმა სერგეი სკაჩენკომ დააწინაურა. ამის შემდეგ „ოსერი" სრულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მხოლოდ ფრეს დასჯერდა. 73-ე წუთზე წონასწორობა ყმაწვილმა ნახევარმცველმა ნარცის კაპომ აღადგინა.

„სტრასბურმა" 2:0 მოუგო „ბასტიას". გოლები პირველივე ტაიმში გი ლუინდულამ და მიშელ მარსილიამ შეაგდეს. ორივე მათგანს მიმდინარე სეზონში აქამდე არ გაეტანათ. კორსიკელები კი ტრადიციას არ ღალატობენ. წლეულს მათ სტუმრად მატჩი არ მოუგიათ.

„ბორდო" „მონპელიესთან" შეხვედრაში ჟერვის ალიკარტეს საჯარიმო დარტყმით დაწინაურდა. მეორე გოლი 78-ე წუთზე სილვენ ვილტორდმა გაიტანა...

როლან კურბისის მოხსნამ მარსელელი ფეხბურთელები გამოაფხიზლა. მათ „ლე ავრი" დაამარცხეს. 55-ე წუთზე, რობერ პირესის ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ, ფლორიან მორისმა გაიტანა. მასპინძლებმა „ლე ავრის" ფეხბურთელებს გონზე მოსვლა არ აცალეს. უკვე ერთი წუთის შემდეგ კრისტოფ დიუგარიმ მეორეც შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 18 | 12 | 3 | 3 | 40:16 | 39 |
| პსჟ | 18 | 10 | 3 | 5 | 27:20 | 33 |
| ლიონი | 18 | 9 | 4 | 5 | 21:17 | 31 |
| ოსერი | 18 | 9 | 3 | 6 | 24:22 | 30 |
| ბორდო | 18 | 7 | 6 | 5 | 30:27 | 27 |
| სედანი | 18 | 8 | 3 | 7 | 26:27 | 27 |
| მარსელი | 18 | 6 | 8 | 4 | 25:18 | 26 |
| რენი | 18 | 7 | 5 | 6 | 25:23 | 26 |
| სენტ ეტიენი | 18 | 7 | 5 | 6 | 25:26 | 26 |
| მეცი | 18 | 4 | 11 | 3 | 21:16 | 23 |
| ტრუა | 18 | 7 | 2 | 9 | 20:28 | 23 |
| ბასტია | 18 | 5 | 7 | 6 | 23:22 | 22 |
| სტრასბური | 18 | 6 | 4 | 8 | 18:26 | 22 |
| ნანტი | 18 | 6 | 2 | 10 | 19:22 | 20 |
| ლანსი | 18 | 5 | 5 | 8 | 15:23 | 20 |
| ლე ავრი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:30 | 19 |
| ნანსი | 18 | 4 | 5 | 9 | 24:28 | 17 |
| მონპელიე | 18 | 3 | 4 | 11 | 19:30 | 13 |



REUTERS მონაცემებიდან

მონაკო — ლანსი 2:0. ამ არეულობას „ლანსის" კართან გოლი არ მოჰყოლია

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანდერსონი (ლიონი) | 12 |
| სიმონე (მონაკო) | 12 |
| ტრეზეგე (მონაკო) | 12 |

### მეორე დივიზიონი

XXI ტური. ლილი — ნიცა 1:0; გენგამი — ლავალი 2:2; კაენი — ნიორი 2:1; ამიენი — ნიმი 0:0; სოშო — აიაჩო 1:2; გენიონი — შატორუ 1:1; ლორიანი — ლუანი 5:1; ვალანსი — ტულუზი 0:2; კანი — ვასკეალი 0:0; ლე მანი — კრეტეი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 21 | 15 | 3 | 3 | 31:12 | 48 |
| ტულუზი | 21 | 11 | 5 | 5 | 31:15 | 38 |
| გენგამი | 21 | 10 | 7 | 4 | 37:27 | 37 |
| კაენი | 21 | 9 | 9 | 3 | 29:15 | 36 |
| ლე მანი | 21 | 9 | 8 | 4 | 27:23 | 35 |
| ლავალი | 21 | 8 | 8 | 5 | 24:19 | 32 |
| გენიონი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:20 | 30 |
| ნიმი | 21 | 8 | 6 | 7 | 25:23 | 30 |
| ლორიანი | 21 | 8 | 4 | 9 | 21:20 | 28 |
| სოშო | 21 | 8 | 4 | 9 | 24:24 | 28 |
| აიაჩო | 21 | 8 | 4 | 9 | 22:25 | 28 |
| ნიცა | 21 | 5 | 12 | 4 | 15:14 | 27 |
| შატორუ | 21 | 6 | 7 | 8 | 19:26 | 25 |
| კანი | 21 | 6 | 6 | 9 | 15:20 | 24 |
| კრეტეი | 21 | 6 | 6 | 9 | 18:25 | 24 |
| ამიენი | 21 | 4 | 10 | 7 | 19:24 | 22 |
| ნიორი | 21 | 4 | 9 | 8 | 18:26 | 21 |
| ვასკეალი | 21 | 3 | 9 | 9 | 12:21 | 18 |
| ლუანი | 21 | 4 | 4 | 13 | 17:38 | 16 |
| ვალანსი | 21 | 2 | 8 | 11 | 18:31 | 14 |

## შვეიცარია

ბიბლიოთეკა

XXI ტური

**არაუ 0:2 ლუგანო**
0:1 ხიმენესი (77), 0:2 ბასტიდა (90)

**ლუცერნი 4:1 ივერდონი**
1:0 ფრაი (36), 2:0 თურქილმაზი (51), 3:0, 4:0 ფრაი (60, 77), 4:1 ადაოზინიო (90)

**სერვეტი 2:1 გრასჰოპერი**
1:0 ლონფატი (45), 2:0 რეი (58), 2:1 ეკოკუ (75)

**დელემონი 0:3 სენტ გალენი**
0:1 ამოა (2), 0:2 კონტინი (15), 0:3 ამოა (17)

**ლოზანა 0:2 ქსამაქსი**
0:1 კამარა (57), 0:2 ბიელი (88)

**ციურიხი 0:1 ბაზელი**
0:1 კუმანტარაკისი (27)
ციურიხი: პასკოლო, გასპოზი, შტოკლასა, ფიშერი, კვენტინი (ნდლოვუ 70), დუგლასი (ფრიკი 46), ეიდელი, კებე, სანტანა (კასტილიო 46), ბარტლეტი, ჯამარაული

„ციურიხი" შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურში შინ „ბაზელთან" დამარცხდა და მდგომარეობა გაირთულა. ახლა ციურიხელებს ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბოლო მატჩში „ქსამაქსთან" მხოლოდ მოგება სჭირდებათ.

„ბაზელმა" რვა საუკეთესოს შორის ადგილი წინა ტურშივე დაიბევა. ამიტომ „ციურიხთან" შეხვედრაში ფავორიტად ყველა მასპინძლებს თვლიდა, თუმცა პროგნოზის მოყვარულები გაწბილდნენ. „ბაზელმა" თავი არ დაზოგა და კუმანტარაკისის მიერ შეხვედრის 27-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 მოიგო.

გოჩა ჯამარაულმა, მართალია, მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა, მაგრამ თავის გუნდს დიდად ვერ დაეხმარა. მიხეილ ყაველაშვილმა კი შასოს, ოპანგოსა და ჯორჯევიჩის მსგავსად ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

კვლავ მოიგო „შემოდგომის ჩემპიონმა" „სენტ გალენმა", რომელმაც სტუმრად აუტსაიდერ „დელემონთან" პირველი ტაიმის საწყის 17 წუთში გაარკვია ყველაფერი. ორჯერ ამოასა და ერთხელ კონტინის ზუსტმა დარტყმებმა სტუმრებს სოლიდური უპირატესობა მოაპოვებინა და „სენტ გალენმაც" დარჩენილი დრო ბურთის გორებაში გალია.

ნოიშატილის „ქსამაქსი" ორი ტურის წინ პრაქტიკულად უშანსოდ იყო დარჩენილი, თუმცა ზედიზედ ორმა მოგებამ გუნდს ფინალურ ეტაპზე გასვლის შესაძლებლობა მისცა. საამისოდ ქსამაქსელებმა საკუთარ მინდორზე „ციურიხს" უნდა სძლიონ. კვირას კი ნოიშატელებმა „ლოზანას" სტუმრად მოუგეს 2:0.

შინ „გრასჰოპერის" დამარცხებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა ჟენევის „სერვეტმა". ჟენეველები ჩემპიონატის ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა გვარიანად აურიეს საქმე. „კალიებთან" „სერვეტს" მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და მიზანსაც მიაღწია.

ბოლო ტურში 12 დეკემბერს ერთმანეთს ხვდებიან: „ქსამაქსი" — „ციურიხი", „ბაზელი" — „არაუ", „გრასჰოპერი" — „ლუცერნი", „ლუგანო" — „დელემონი", „სენტ გალენი" — „სერვეტი", „ივერდონი" — „ლოზანა".

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ყურადღება უპირველესად ბურთების სხვაობას მიექცევა, შემდეგ გატანილ გოლებს, მერე პირად შეხვედრებს, ბოლოს პირად შეხვედრებში სტუმრად გატანილ გოლებს. თუ გუნდებს ყველა ეს მაჩვენებელი ერთნაირი ექნებათ, მაშინ ადგილები კენჭისყრით განაწილდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 21 | 12 | 6 | 3 | 40:25 | 42 |
| ლოზანა | 21 | 9 | 8 | 4 | 35:25 | 35 |
| ბაზელი | 21 | 8 | 10 | 3 | 29:20 | 34 |
| გრასჰოპერი | 21 | 8 | 7 | 6 | 38:25 | 31 |
| ივერდონი | 21 | 7 | 8 | 6 | 28:25 | 29 |
| ლუცერნი | 21 | 8 | 4 | 9 | 28:27 | 28 |
| სერვეტი | 21 | 8 | 4 | 9 | 32:34 | 28 |
| ციურიხი | 21 | 6 | 8 | 7 | 21:26 | 26 |
| არაუ | 21 | 7 | 5 | 9 | 29:40 | 26 |
| ქსამაქსი | 21 | 6 | 7 | 8 | 31:33 | 25 |
| ლუგანო | 21 | 5 | 6 | 10 | 26:32 | 21 |
| დელემონი | 21 | 3 | 5 | 13 | 22:47 | 14 |

# მსოფლიოს ჩემპიონატი უბრაზილიოდ?

მსოფლიოს ფეხბურთში ახალი სკანდალი მომწიფდა. ბრაზილიის ნაკრები, ერთადერთი ვისაც უკლებლივ ყველა მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია, შესაძლოა ორი წლით საერთაშორისო სარბიელიდან მოიკვეთოს. ამის მიზეზი ბრაზილიის ერთ-ერთი პროვინციული გაზეთის რეპორტიორის აღმოჩენა გახდა.

სანდრო ხიროში „სან პაულუში" თამაშობს. სპორტული კარიერა მან პატარა ბრაზილიურ კლუბ „ტოკანტინოპოლისში" დაიწყო. ზემოთ ნახსენებმა მავანმა რეპორტიორმა „ტოკანტინოპოლოსის" და „სან პაულუს" განაცხადები შეადარა. ხიროშის დაბადების თარიღად ერთგან 1979 წლის ნოემბერი წერია, მეორეგან — იგივე თვე, ოღონდ 1980 წლის. გაცხადდა — ფეხბურთელს ასაკი გადაკეთებული აქვს. აღნიშნული ფაქტის გამოძიება ბრაზილიის ფარგლებს არ გასცდებოდა, ხიროში ნაკრების წევრი რომ არ ყოფილიყო. 1997 წელს პარაგვაიში გამართულ სამხრეთ ამერიკის 17-წლამდელ ფეხბურთელთა ჩემპიონატზე ხიროში თავის ქვეყნის ღირსებას იცავდა (ბრაზილია მაშინ კონტინენტის ჩემპიონი გახდა). ანალოგიური ფაქტის გამო მექსიკა 1990 წელს იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოიკვეთა. ამიტომაც პანიკას, რომელმაც მთელი ბრაზილია მოიცვა, რეალური საფუძველი აქვს. მხილებების სერია კი გრძელდება. არსებობს ეჭვი, რომ ხიროშის თანაგუნდელ ენრიკესაც გადაკეთებული აქვს დაბადების თარიღი. ახლახან დასრულებულ მსოფლიოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ენრიკეც ნაკრებში თამაშობდა.

ფიფას პრეს-მიდვანმა კეიტ კუპერმა შექმნილ სიტუაციას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „შევიტყვეთ, რომ ბრაზილიის მოზარდთა ნაკრებს ასაკობრივი ცენზი დაურღვევია. ამბობენ, ამგვარი მეორე შემთხვევაც ყოფილა. ამ საკითხს შევისწავლით. სანამ ფაქტები საბოლოოდ არ დაზუსტდება, გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, თუ ეს ფაქტები დადასტურდა, ვერდიქტი მეტად მკაცრი იქნება. ამის პრეცენდენტი უკვე არსებობს".

როგორც ვთქვით, ხიროშის დანაშაული დამტკიცებულია, ენრიკესი — ზუსტდება. შექმნილი მდგომარეობიდან ბრაზილიელებს ერთადერთი გამოსავალი აქვთ. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ეს ფეხბურთელები დამოუკიდებლად მოქმედებენ და კლუბებმა, ისევე როგორც ფეხბურთის ფედერაციამ, არაფერი იცოდნენ.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟის სიძე რიკარდო ტეიშეირა არის, ის ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც გახლავთ. ფედერაციის სხდომაზე, სადაც ხიროშის საკითხს განიხილავდნენ ტეიშეირამ მისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მოითხოვა, თუმც საბოლოოდ ხიროშის მხოლოდ ექვსი თვე აკმარეს. საქმის ფედერაციაში განხილვის შემდეგ მას პროკურატურაც განიხილავს — დოკუმენტების გაყალბება ხომ კანონით ისჯება. ტეიშეირას მცდელობას, ყველაფერი ფეხბურთელს დააბრალოს, პრესა არ ეთანხმება. როგორც ამბობენ, მოზარდებისთვის ასაკის გადაკეთება ბრაზილიაში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. გამოჩნდნენ ისეთებიც, ხიროშის რომ იცავენ. მისი თანაგუნდელი როჟერიო ამბობს: „ხიროშის ბრწყინვალე მომავალი აქვს. როდესაც ეს ჩაიდინა, პატარა ბიჭი იყო და თავის საქციელს ვერ აცნობიერებდა. თუ ჩვენ მას უმკაცრესად დავსჯით, ბრაზილია ამომავალ ვარსკვლავს დაკარგავს".

დღეს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის წილისყრაა. ბრაზილია მასში მონაწილეობას მიიღებს. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ფიფას აღმასკომი ერთი კვირის შემდეგ საგანგებო სხდომას გამართავს და საბოლოო სიტყვას იტყვის. ბრაზილიელები გაოგნებულნი არიან. მსოფლიოს ჩემპიონატი ოთხგზის ტრიუმფატორის გარეშე? მათ ეს ვერ წარმოუდგენიათ.

**გიორგი დარჯანია**

## ჰოლანდია

XV ტური

**აიაქსი 1:2 ვალვაიკი**

0:1 გოვედარიცა (44), 0:2 კორნელისე (52), 1:2 ვამბერტო (69)

**ტილბურგი 4:3 უტრეხტი**

1:0 ბომბარდა (4), 1:1 მარტელი (5პ), 1:2 რობიმონდი (18), 1:3 კაირო (25), 2:3 ბომბარდა (61), 3:3 გალაშეკი (71), 4:3 ბომბარდა (81)

**ნაიმეგენი 1:0 კამბური**

1:0 იანსენი (89პ)

**პსვ 2:0 როდა**

1:0 ნილისი (34), 2:0 ბოუმა (52)

**მაასტრიხტი 0:2 ტვენტე**

0:1 ვენეგოორ-ჰესელინკი (49), 0:2 ვან დერ ჰეიდი (84)

**სიტარდი 1:1 დენ ბოსხი**

0:1 ვან დერ ლაანი (63), 1:1 კოლი (89)

**ვიტესი 0:2 ალკმარი**

0:1 ბოსმანი (40), 0:2 ბუსატა (62)

**სპარტა 1:3 ფეიენოორდი**

1:0 ლანგერაკი (20), 1:1, 1:2 ხულიო კრუზი (53, 57), 1:3 კალუ (86)

ამსტერდამის „აიაქსმა" შინ „ამსტერდამ არენაზე" 1:2 დათმო შეხვედრა „ვალვაიკთან", რის შემდეგაც ლიდერობა, მართალია, შეინარჩუნა, მაგრამ ახლა უახლოეს მდევარ „პსვ ეინდჰოვენს" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს, თანაც შეხვედრით მეტი აქვს ჩატარებული. „აიაქსის" კარში პირველი გოლი ტაიმის მიწურულს, 44-ე წუთზე გავიდა, როდესაც ვალვაიკელმა დეიან გოვედარიცამ თავური დარტყმით თავისი გუნდი დააწინაურა და შეხვედრის ნახევარი სტუმართა უპირატესობით დასრულა. მეორე ტაიმში კი გუნდები მხოლოდ 7 წუთის გასულნი იყვნენ მინდორზე, როდესაც სხვაობა ორ ბურთამდე გაიზარდა. ეს მცველმა ტიმ კორნელისემ მოახერხა. ამან მასპინძლები გამოაფხიზლა და მათმა შეტევებმა შედეგიც მოიტანა — 69-ე წუთზე ამსტერდამელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ვამბერტომ ანგარიში შეამცირა. თუმც მეტის გაკეთება ვერც ერთმა გუნდმა შეძლო. შეხვედრის მიწურულს, მსაჯის მიერ დამატებულ დროში, იმავე ვამბერტომ ქულა ვერ იხსნა — მისი დარტყმული ძელს მოხვდა. საბოლოოდ 1:2.

ჩემპიონობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა პსვ-მ შინ, „ფილიპსის" სტადიონზე, 2:0 დაამარცხა კერკრადეს „როდა" და ლიდერობის შანსი გაუჩნდა. იგი „აიაქსს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება, თანაც ერთი შეხვედრა მარაგში აქვს. მასპინძელთა გამარჯვებას კი ლუკ ნილისმა ჩაუყარა საფუძველი. მან 34-ე წუთზე ამ შეხვედრაში პირველი, ხოლო ჰოლანდიის ჩემპიონატში თავისი მე-100 ბურთი გაიტანა. შემდეგ, 52-ეზე, პსვ-ს უპირატესობა კლუბის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელმა ვილფრედ ბოუმამ გაამყარა. როგორც შემდგომ გაირკვა, მისი გოლი ბოლო აღმოჩნდა მატჩში.

ჰოლანდიური საკლუბო ფეხბურთის კიდევ ერთმა ფლაგმანმა, როტერდამის „ფეიენოორდმა" ქალაქურ დერბიში სტუმრად სძლია „სპარტას", რის შედეგადაც ცხრილის შუაგულიდან ზევით, მე-5 პოზიციაზე აინაცვლა. აღსანიშნავია, რომ როტერდამელები 53-ე წუთამდე აგებდნენ, ვიდრე ხულიო კრუზმა ანგარიში არ გაათანაბრა. მანვე 4 წუთში სტუმრები დააწინაურა კიდეც, ხოლო 86-ე წუთზე ბონავენტურე კალუს გოლმა ყველაფერი ცხადყო — 1:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 15 | 11 | 2 | 2 | 45:20 | 35 |
| პსვ | 14 | 11 | 1 | 2 | 49:11 | 34 |
| ჰერენვენი | 15 | 10 | 1 | 4 | 29:16 | 31 |
| ტვენტე | 16 | 8 | 6 | 2 | 28:16 | 30 |
| ფეიენოორდი | 15 | 8 | 5 | 2 | 29:15 | 29 |
| როდა | 15 | 9 | 2 | 4 | 26:18 | 29 |
| ვალვაიკი | 16 | 9 | 2 | 5 | 29:27 | 29 |
| ტილბურგი | 15 | 9 | 2 | 4 | 29:29 | 29 |
| ვიტესი | 15 | 8 | 4 | 3 | 28:21 | 28 |
| ალკმარი | 16 | 9 | 1 | 6 | 33:27 | 28 |
| უტრეხტი | 16 | 7 | 0 | 9 | 24:30 | 21 |
| სპარტა | 15 | 4 | 0 | 11 | 22:36 | 12 |
| ნაიმეგენი | 15 | 3 | 2 | 10 | 19:34 | 11 |
| სიტარდი | 16 | 2 | 4 | 10 | 17:28 | 10 |
| გრააფსხაპი | 15 | 1 | 6 | 8 | 14:25 | 9 |
| მაასტრიხტი | 15 | 2 | 3 | 10 | 21:40 | 9 |
| კამბური | 16 | 2 | 3 | 11 | 15:35 | 9 |
| დენ ბოსხი | 16 | 1 | 4 | 11 | 14:43 | 7 |

## ბელგია

XVI ტური

**სტანდარდი 0:0 ანდერლეხტი**

**გენკი 4:3 ჰარელბეკე**

0:1 პაასი (25), 1:1 გუდიონსონი (44), 2:1 ჰენდრიქსი (51), 3:1 ჰორვატი (63), 4:1 იანსონი (66), 4:2 პაასი (67), 4:3 სილა (86)

**გენტი 6:1 მეხელენი**

1:0 კარიფი (5), 2:0, 3:0 აარსტი (32, 52), 4:0 კარიფი (59), 4:1 კალუვე (76პ), 5:1 იოლი (83), 6:1 აარსტი (91)

**ბევერენი 2:1 ლოკერენი**

0:1 ვონასეკი (30), 1:1 ვლამინკი (35), 2:1 სელსი (58)

**ლიერსი 0:0 სენტ ტრუიდენი**

**ლომელი 0:0 ბრიუგე**

**გეელი 2:3 ვესტერლო**

1:0 სმიტსი (18), 2:0 ზეფილო (26), 2:1 მ. ვერჰეინი (46), 2:2 მიტროვიჩი (74), 2:3 ბრონო (86)

**შარლერუა 0:1 აალსტი**

0:1 მაისენი (24)

**მუსკრონი 1:1 ბეერსხოტი**

0:1 ჰოფმანსი (18), 1:1 ჟევლიაკოვი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 15 | 11 | 3 | 1 | 42:19 | 36 |
| გენკი | 16 | 10 | 5 | 1 | 43:20 | 35 |
| ლიერსი | 16 | 9 | 4 | 3 | 29:15 | 31 |
| გენტი | 16 | 10 | 0 | 6 | 46:30 | 30 |
| ბრიუგე | 15 | 9 | 2 | 4 | 33:14 | 29 |
| ბეერსხოტი | 16 | 8 | 3 | 5 | 28:24 | 27 |
| ვესტერლო | 15 | 7 | 4 | 4 | 34:30 | 25 |
| აალსტი | 16 | 7 | 2 | 7 | 30:25 | 23 |
| სტანდარდი | 16 | 7 | 2 | 7 | 24:28 | 23 |
| მუსკრონი | 16 | 6 | 4 | 6 | 29:24 | 22 |
| მეხელენი | 16 | 5 | 3 | 8 | 22:40 | 18 |
| შარლერუა | 16 | 4 | 5 | 7 | 20:26 | 17 |
| ლოკერენი | 16 | 4 | 5 | 7 | 26:33 | 17 |
| ჰარელბეკე | 16 | 3 | 4 | 9 | 23:30 | 13 |
| ბევერენი | 15 | 2 | 5 | 8 | 17:33 | 11 |
| ლომელი | 16 | 1 | 8 | 7 | 14:30 | 11 |
| გეელი | 16 | 1 | 8 | 7 | 11:29 | 11 |
| სტ. ტრუიდენი | 16 | 2 | 5 | 9 | 16:37 | 11 |

## პორტუგალია

XIII ტური

**რიუ ავე 3:1 ჟილ ვისენტე**

1:0 პეუ სანტოსი (22), 2:0 მელო (28), 3:0 გამა (81), 3:1 პეტი ტეშეირა (89პ)

**ლეირია 0:1 მარიტიმუ**

0:1 რამონი (45)

**კამპომაიორენსე 0:1 სალგეირუში**

0:1 ბასილიუ ალმეიდა (78)

**ბრაგა 3:0 სეტუბალი**

1:0 ტონი დუარტე (3), 2:0 ბორგესი (70პ), 3:0 დიბო (80)

**ბოავიშტა 1:2 ამადორა**

0:1 გაუჩო გომეში (29), 1:1 რაულ ოლივეირა (56ს.კ.), 1:2 გაუჩო გომეში (57)

**ალვერკა 0:1 ფარენსე**

0:1 მარინესკუ (56პ)

**ბელენენსეში 0:0 ბენფიკა**

**გიმარაეში 1:2 სპორტინგი**

0:1 დუშერი (22), 0:2 ევალდო ლოპესი (76ს.კ.), 1:2 დალსოტო (90)

**პორტუ 1:0 სანტა კლარა**

1:0 ჟარდელი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 8 | 4 | 1 | 24:7 | 28 |
| ბენფიკა | 13 | 8 | 3 | 2 | 19:8 | 27 |
| სპორტინგი | 13 | 8 | 3 | 2 | 20:11 | 27 |
| მარიტიმუ | 13 | 7 | 3 | 3 | 17:9 | 24 |
| ბოავიშტა | 13 | 7 | 3 | 3 | 13:9 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 13 | 7 | 2 | 4 | 19:11 | 23 |
| გიმარაეში | 13 | 6 | 3 | 4 | 21:16 | 21 |
| ამადორა | 13 | 4 | 6 | 3 | 14:14 | 18 |
| ბელენენსეში | 13 | 4 | 5 | 4 | 14:12 | 17 |
| ალვერკა | 13 | 5 | 2 | 6 | 13:15 | 17 |
| რიუ ავე | 13 | 3 | 5 | 5 | 15:20 | 14 |
| სანტა კლარა | 13 | 3 | 4 | 6 | 15:18 | 13 |
| ბრაგა | 13 | 4 | 1 | 8 | 17:21 | 13 |
| კამპომაიორენსე | 13 | 4 | 1 | 8 | 10:19 | 13 |
| სალგეირუში | 13 | 4 | 1 | 8 | 9:19 | 13 |
| ფარენსე | 13 | 2 | 5 | 6 | 8:22 | 11 |
| ლეირია | 13 | 2 | 4 | 7 | 9:15 | 10 |
| სეტუბალი | 13 | 2 | 3 | 8 | 11:22 | 9 |

## ჩეხეთი

XVI ტური. სლავია — ბოჰემიანსი 2:0; ვიქტორია — სპარტა 2:3; დუკლა — იაბლონეცი 2:1; ოპავა — ტეპლიცე 1:1; ბლშანი — ბანიკი 1:0; ლიბერეცი — ჰ. კრალოვე 1:0; დრნოვიცე — ბუდეიოვიცე 2:0; სიგმა — ბრნო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 16 | 12 | 4 | 0 | 26:7 | 40 |
| სპარტა | 16 | 10 | 4 | 2 | 39:15 | 34 |
| დრნოვიცე | 16 | 8 | 3 | 5 | 20:14 | 27 |
| ბოჰემიანსი | 16 | 6 | 7 | 3 | 16:11 | 25 |
| ბანიკი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:19 | 21 |
| ლიბერეცი | 16 | 5 | 6 | 5 | 12:13 | 21 |
| ტეპლიცე | 16 | 5 | 6 | 5 | 21:23 | 21 |
| ბუდეიოვიცე | 16 | 6 | 3 | 7 | 20:22 | 21 |
| დუკლა | 16 | 5 | 5 | 6 | 16:22 | 20 |
| ბრნო | 16 | 5 | 4 | 7 | 18:19 | 19 |
| ბლშანი | 16 | 5 | 3 | 8 | 16:29 | 18 |
| ოპავა | 16 | 4 | 5 | 7 | 21:19 | 17 |
| იაბლონეცი | 16 | 4 | 4 | 8 | 15:25 | 16 |
| სიგმა | 16 | 2 | 9 | 5 | 16:24 | 15 |
| ვიქტორია | 16 | 3 | 6 | 7 | 24:33 | 15 |
| ჰ. კრალოვე | 16 | 3 | 5 | 8 | 16:23 | 14 |

## უკრაინა

**დღეს** უკრაინის ჩემპიონ კიევის „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა ელის გერმანულ მიუნხენის „ბაიერნთან". ვალერი ლობანოვსკიმ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ამიტომაც დაასვენა, „დინამოს" „პრიკარპატიას" განადგურება მაინც არ გასჭირვებია — 6:0. ახლა კიეველები უკრაინის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობენ და უახლოეს მდევარ „კრივბასს" 10 ქულით უსწრებენ. „პრიკარპატიასთან" მატჩში დინამოელთა ლიდერმა სერგეი რებროვმა ჰეთ თრიქი შეასრულა. მას მიმდინარე სეზონში 15 შეხვედრაში 12 გოლი აქვს გატანილი. ორი ბურთი თავის ანგარიშზე ბელარუსმა ვალენტინ ბელკევიჩმაც მიითვალა, ხოლო ერთიც უზბეკ მაქსიმ შაცკიხის ანგარიშზეა. ამჟამად უკრაინის ჩემპიონატში ზამთრის შესვენებაა და გუნდებს არდადეგები აქვთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 13 | 2 | 0 | 37:6 | 41 |
| კრივბასი | 15 | 9 | 4 | 2 | 26:14 | 31 |
| ვორსკლა | 15 | 8 | 3 | 4 | 31:18 | 27 |
| შახტარი | 15 | 8 | 2 | 5 | 20:9 | 26 |
| კარპატი | 15 | 8 | 0 | 7 | 27:21 | 24 |
| მეტალისტი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:19 | 24 |
| ზაპოროჟიე | 15 | 6 | 5 | 4 | 19:16 | 23 |
| მეტალურგი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:18 | 20 |
| მარიუპოლი | 15 | 6 | 1 | 8 | 26:24 | 19 |
| ცსკა | 15 | 4 | 6 | 5 | 17:16 | 18 |
| ტავრია | 15 | 4 | 4 | 7 | 19:24 | 16 |
| დნიპრო | 15 | 4 | 4 | 7 | 13:29 | 16 |
| ჩორნომორეცი | 15 | 4 | 3 | 8 | 8:26 | 15 |
| პრიკარპატია | 15 | 2 | 6 | 7 | 11:23 | 12 |
| ნივა | 15 | 2 | 5 | 8 | 20:32 | 11 |
| ზირკა | 15 | 0 | 7 | 8 | 8:28 | 7 |

REUTERS კიევიდან



დინამო — პრიკარპატია 6:0. კიეველი მაქსიმ შაცკიხის დარტყმული მეკარე სერგეი პოლიშჩუკის კარში გავიდა

## საბერძნეთი

X ტური. ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 3:4; პანილიაკოსი — კალამატა 3:1; პანიონიოსი — აპოლონი 3:1; პრუდეფტიკი — კავალა 1:1; პანაჰაიკი — ტრიკალა 3:0; პანათინაიკოსი — არისი 3:0; ქსანტი — აეკ 2:2; ოფი — პაოკ 2:0; ეთნიკოსი — იონიკოსი იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 10 | 9 | 0 | 1 | 32:7 | 27 |
| პანათინაიკოსი | 10 | 8 | 2 | 0 | 23:5 | 26 |
| ოფი | 10 | 8 | 1 | 1 | 19:9 | 25 |
| არისი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:9 | 18 |
| პანილიაკოსი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:11 | 17 |
| აეკ | 10 | 4 | 3 | 3 | 18:16 | 15 |
| ირაკლისი | 10 | 5 | 0 | 5 | 21:20 | 15 |
| ქსანტი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:6 | 14 |
| პანაჰაიკი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:10 | 12 |
| პაოკ | 10 | 3 | 3 | 4 | 16:17 | 12 |
| ეთნიკოსი | 9 | 4 | 0 | 5 | 10:16 | 12 |
| პანიონიოსი | 10 | 4 | 0 | 6 | 13:25 | 12 |
| იონიკოსი | 9 | 2 | 5 | 2 | 9:11 | 11 |
| პრუდეფტიკი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:15 | 8 |
| აპოლონი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:13 | 6 |
| კავალა | 10 | 1 | 3 | 6 | 4:13 | 6 |
| კალამატა | 10 | 1 | 3 | 6 | 8:20 | 6 |
| ტრიკალა | 10 | 1 | 2 | 7 | 8:21 | 5 |

## თურქეთი

XI ტური. გაზიანთეფი — ქოჯაელი 1:0; ვანი — ტრაბზონი 2:2; სამსუნი — გიოზთეფე 4:0; გენჩლერბირლიგი — გალათასარაი 1:1; ერზურუმი — ანთალია 4:0; ფენერბაჰჩე — ბურსა 2:2; ალთაი — ისთანბული 0:0; დენიზლი — ანკარაგიუჯიუ 1:1; ბეშიქთაში — ადანა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 10 | 7 | 2 | 1 | 22:8 | 23 |
| დენიზლი | 11 | 6 | 4 | 1 | 17:10 | 22 |
| გაზიანთეფი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:8 | 20 |
| ბეშიქთაში | 11 | 5 | 4 | 2 | 21:8 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 10 | 5 | 4 | 1 | 20:13 | 19 |
| ანთალია | 11 | 5 | 2 | 4 | 14:17 | 17 |
| ალთაი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:10 | 16 |
| ტრაბზონი | 11 | 4 | 4 | 3 | 16:12 | 16 |
| სამსუნი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:14 | 16 |
| გენჩლერბირ. | 11 | 4 | 3 | 4 | 12:15 | 15 |
| ერზურუმი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:20 | 14 |
| ისთანბული | 11 | 3 | 4 | 4 | 11:14 | 13 |
| გიოზთეფე | 11 | 3 | 3 | 5 | 9:14 | 12 |
| ვანი | 11 | 2 | 4 | 5 | 14:19 | 10 |
| ადანა | 11 | 2 | 3 | 6 | 13:20 | 9 |
| ქოჯაელი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:23 | 9 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 2 | 3 | 6 | 10:21 | 9 |
| ბურსა | 11 | 1 | 4 | 6 | 9:16 | 7 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## შოტლანდია

XVII ტური

**სელტიკი 4:0 ჰიბერნიანი**

1:0 ვიდუკა (18პ), 2:0, 3:0 მორავჩიკი (29, 58), 4:0 ვიგჰორსტი (84)

**ჰარტსი 3:0 დანდი იუნ.**

1:0 პერესი (4), 2:0 ჯექსონი (69), 3:0 ადამი (88)

**აბერდინი — მოზერუელი**

**დანდი — კილმარნოკი**

**სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი**

გადაიდო

ჩემპიონატის მორიგ ტურში მხოლოდ ორი შეხვედრა ჩატარდა. შაბათს პირველობის ერთ-ერთმა ლიდერმა — გლაზგოს „სელტიკმა" 4:0 სძლია გათამაშების ცხრილის შუაგულში მყოფ „ჰიბერნიანს" და მუდმივ მეტოქე, თანაქალაქელ „რეინჯერსთან" სხვაობა ქულამდე შეამცირა. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ „სელტიკს" „რეინჯერსზე" ორი მატჩით მეტი აქვს ნათამაშევი. თავის მხრივ გათამაშების ლიდერს შაბათს დაგეგმილი მორიგი ტურის შეხვედრა ერთ-ერთ აუტსაიდერ „სენტ ჯონსტონთან" არ ჩაუტარებია, მატჩი დილთოვლობის გამო გადაიდო.

„სელტიკის" მიერ „ჰიბერნიანის" განადგურება კი მე-18 წუთზე დაიწყო, როცა სტუმართა მცველმა შონ დენისმა საკუთარ საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერა „სელტიკისა" და შოტლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ავსტრალიელი მარკ ვიდუკა. ამანაც დამსახურებული თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა და მიმდინარე სეზონში მე-14 ბურთი გაიტანა. 29-ე წუთზე უკვე გლაზგოური კლუბის სლოვაკმა ლეგიონერმა ლიუბომირ მორავჩიკმა იმარჯვა, რომელმაც დაახლოებით 15 მეტრიდან დაურტყა „ჰიბერნიანის" მეკარე ნიკ კოლგანს და მეორედ გამოატანინა ბურთი თავისი კარიდან. თუმცა „სელტიკი" და მორავჩიკი მიღწეულით არ დაკმაყოფილებულან, სლოვაკმა ვიდუკასგან 58-ე წუთზე მიღებული პასი მშვენიერი თავურით დააგვირგვინა, რითაც სტადიონზე შეკრებილი 60 ათასი გულშემატკივარი აღაფრთოვანა. მაყურებლის სიხარული ამით არ დასრულებულა. 84-ე წუთზე დანიელმა ლეგიონერმა მორტენ ვიგჰორსტმა დაახლოებით 18 მეტრიდან ყუმბარისებულად გაისროლა და საბოლოოდ დაუსვა წერტილი შეხვედრას.

წარმატებამ, ცხადია, გაახარა „სელტიკის" მთავარი მწვრთნელი ჯონ ბარნსი, რომელსაც წინა ტურში წაგებული მატჩის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს.

ტურის კიდევ ერთ შეხვედრაში მესამეადგილოსანმა „დანდი იუნაიტედმა" სტუმრად „ჰართსთან" 0:3 წააგო. ეს პირველი მატჩი იყო, რომელიც გუნდმა ბილი დოდსის გარეშე ჩაატარა. ფორვარდი შაბათს 1,2 მილიონ გირვანქად (დაახლოებით 1,92 მილიონ დოლარად) გლაზგოს „რეინჯერსს" შეუერთდა. „ჰართსმა" მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და მე-5 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო „დანდი იუნაიტედმა" ლიდერებთან — „სელტიკსა" და „რეინჯერთან" მიახლების მშვენიერი შანსი დაკარგა. ამ უკანასკნელს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „სენტ ჯონსტონთან" ჯერ არ უთამაშია. ცუდი ამინდის გამო გადაიდო კიდევ ორი შეხვედრა: „დანდი" — „კილმარნოკი" და „აბერდინი" — „მოზერუელი".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 13 | 11 | 1 | 1 | 37:12 | 34 |
| სელტიკი | 15 | 11 | 0 | 4 | 42:14 | 33 |
| დანდი იუნ. | 16 | 8 | 3 | 5 | 22:22 | 27 |
| მოზერუელი | 15 | 7 | 5 | 3 | 25:23 | 26 |
| ჰართსი | 15 | 5 | 5 | 5 | 25:21 | 20 |
| ჰიბერნიანი | 17 | 5 | 5 | 7 | 25:31 | 20 |
| დანდი | 15 | 6 | 0 | 9 | 20:26 | 18 |
| სტ. ჯონსტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 15:21 | 16 |
| კილმარნოკი | 15 | 2 | 6 | 7 | 15:23 | 12 |
| აბერდინი | 15 | 1 | 3 | 11 | 14:47 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიდუკა (სელტიკი) | 14 |
| მოლსი (რეინჯერსი) | 11 |
| დოდსი (დანდი იუნ.) | 11 |
| მაკსვიგანი (ჰართსი) | 11 |

### ლიგის თასი

ნახევარფინალის წილისყრა

აბერდინი — დანდი იუნაიტედი; სელტიკი — კილმარნოკი ან ჰართსი

მატჩები გაიმართება 2000 წლის 13 და 16 თებერვალს

სხვადასხვა საშინაო ჩემპიონატებით გართულ გულშემატკივარს შეუმჩნევლად მოეპარა წლის უკანასკნელი და ჯგუფური ეტაპის მეორე ტური ჩემპიონთა ლიგაში. დღეს ევროპის ოთხ ქალაქში — რომში, მიუნხენში, როტერდამსა და მადრიდში C და D ჯგუფების მატჩები გაიმართება. რა გასაკვირია, რომ ამ ოთხ ქალაქში შეკრებული რვავე გუნდის მთავარი მწვრთნელი მიზნად მხოლოდ მაქსიმალური შედეგის (ანუ მოგების) მიღწევას ისახავს, რათა მომავალ შობა-ახალ წელს ამაღლებული განწყობით შეხვდეს, თუმცა საკითხავი ის გახლავთ, რომელს უფრო გაუმართლებენ შეგირდები...

# წლის უკანასკნელი ტური

CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. მეორე ტური

### ჰიცფელდს თუ ლობანოვსკის?

ერთი შეხედვით კაცმა შეიძლება თქვას, კიევის „დინამო" იმის ნახევარი გუნდი აღარ არის, რაც ადრე (თუნდაც ერთი წლის წინ) იყო. ისიც ცხადია, რომ შევჩენკოს წასვლის შემდეგ უჭირს ეულად დარჩენილ სერგეი რებროვს, ჩემპიონთა ლიგის ჭაპანს მარტო ვერ ეწევა... მაგრამ ლობანოვსკი რისი ლობანოვსკი იქნებოდა, ეს ყველაფერი არ გაეთვალისწინებინა... თანაც სულ რომ არაფერი, „დინამოს" „ბაიერნთან" შარშანდელი ანგარიში აქვს გასასწორებელი — მიუნხენურმა კლუბმა ხომ ნახევარფინალიდან გამოაგდო. მაშინ გამარჯვების გოლი აწ უკვე „კაიზერსლაუტერნში" გაძევებულმა მარიო ბასლერმა გაიტანა. ქომაგიც ლამაზ სანახაობას ელის.

დანაკლისებს რაც შეეხება, ჰიცფელდის გუნდს ნამდვილად დააკლდება ნახევარმცველი იენს იერემისი. მას დისკვალიფიკაცია აქვს, ხოლო ფრანგი ბიქსენტ ლიზარაზუ და ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი ტრავმირებულნი არიან და მათი ასპარეზობა საეჭვოა. კვირის ვარჯიში შტეფან ეფენბერგმაც გამოტოვა, თუმცა იმედოვნებენ, რომ თამაშს შეძლებს. კიეველთა ბანაკში კი სრული მობილიზაციაა. გუნდს სასჯელმოხდილი ქართველი ლეგიონერი კახა კალაძე დაუბრუნდა, რომელმაც წინა ტურის მატჩი მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ ორი ყვითელი ბარათის გამო გამოტოვა.

### დელ ბოსკეს თუ ეგენს?

მადრიდული კლუბი მართლაც რომ ღრმა კრიზისშია. ერთ დროს მისი დიადი და ლაღი თამაში სადღაც გაქრა და ახლა გუნდი ნებისმიერ მეტოქესთან მარცხდება (პრიმერადივიზიონში ბოლო ტურის მარცხი გავიხსენოთ „სარაგოსასთან" — 1:5). ამის გამო რამდენიმე კვირის წინ მთავარი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი გაათავისუფლეს, ახლა კი თავად კლუბის პრეზიდენტ ლორენცო სანსს შეუდგა წყალი. მოკლედ, ჩემპიონთა შვიდგზის თასის მფლობელის საქმეები არცთუ ისე სახარბიელოდაა. ამ ყველაფერს წამყვანი ფეხბურთელების — ფერნანდო იეროსა და ფერნანდო რედონდოს ტრავმებიც დაუმატეთ და დასკვნებს თავადაც გამოიტანთ. ფრანგი ნიკოლა ანელკა გუნდში კი ირიცხება, მაგრამ შეიძლება ითქვას, ფორმალურად. ახლა ინგლისელი სტივ მაკმანამანიც შეუძლოდ ყოფილა. მოკლედ, „რეალი" განახევრდა.

„რუსენბორგსაც" აწუხებს პრობლემები, მუხლის ტრავმის გამო მატჩს, ალბათ, ოტო ბრაგსტადი გამოტოვებს. მას, სავარაუდოდ, ბენტ ორნი იონსენი შეცვლის. „რეალთან" მატჩის სამზადისი „რუსენბორგმა" ესპანეთის ქალაქ ლამანგაში გაიარა. სპარინგ შეხვედრაში მათ ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბი „ელჩე" დაამარცხეს 4:1. მართალია, ამ თამაშში მეკარე იორნ იამტფალი არ მონაწილეობდა ტრავმის გამო, მაგრამ იმედოვნებენ, რომ სამშაბათის შეხვედრაში მოედანზე მაინც გამოჩნდება.

### ერიკსონს თუ ვიალის?

ერთადერთი გუნდი, რომელიც ლიგის წლევანდელ გათამაშებაში არ დამარცხებულა, რომის „ლაციო" გახლავთ. ისე, „ჩელსისა" და „ლაციოს", გარდა იმისა, რომ ვარსკვლავური გუნდების სახელი აქვთ, ერთი საინტერესო ფაქტი აკავშირებთ. „ლაციომ" სერია A-ში სამი ტურის წინ „რომასთან" წააგო 1:4, ხოლო „ჩელსი" იმავე ანგარიშით, პრემიერლიგის გასულ ტურში „სანდერლენდთან" განადგურდა. განსხვავება



ჯანლუკა ვიალი

კი ის გახლავთ, რომ „ლაციო" სერია A-ს ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო „ჩელსი" ინგლისის ჩემპიონატში შუა პოზიციებზეა და ლიდერობამდე ჯერ მთელი 14 ქულა უკლია.

ვიალის ესპანელ ალბერტ ფერერის, რუმინელ დან პეტრესკუსა და ინგლისელ დენის უაიზის ჯანმრთელობა აღარდებს, თუმცა იმედოვნებს, რომ სამივე შეძლებს თამაშს.

ხოლო ერიკსონს უფრო სერიოზულად აქვს საქმე. დისკვალიფიკაცია აქვთ მცველებს — სინიშა მიხაილოვიჩს, ჯუზეპე პანკაროსა და თავდამსხმელ დეიან სტანკოვიჩს. ხოლო პაოლო ნეგროსა და არგენტინელ მატიას ალმეიდას ტრავმები აწუხებთ. წინასწარი ინფორმაციით, ყველა სხვა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

### ბეენჰაკერს თუ კაზონის?

„ფეიენოორდი" ტრავმებს ერთობ შეუწუხებია. წამყვანი ფეხბურთელების — ულრიხ ვან გობელის, იონ დალ ტომასონის, ჟან-პოლ ვან გასტელის დანაკლისი რომელ გუნდს არ დაეტყობა? სამივეს (პლუს სათადარიგო მეკარე ედვინ ზოტებერი) მცირე ტრავმები აქვთ და რომელიმე მათგანმა შესაძლოა ვერც იასპარეზოს. მცველები — ვან ვონდერენი და ბერტ კონტერმანიც არც ისე ჯანმრთელად ყოფილან. ასე რომ, ლეო ბეენჰაკერს თავსატეხი გაჩენია.

რომის „ლაციოსთან", წინა ტურში დამარცხებულ მარსელის „ოლიმპიკს", რომლის მთავარი მწვრთნელიც ამას შეეწირა, სულ ორი კვირაა, რაც ახალი თავკაცი, ბერნარ კაზონი დაუნიშნეს და ახლა კლუბმა სერიოზულად უნდა იფიქროს იმაზე, შეუძლია თუ არა მეოთხედფინალში თამაში. რადგან მის ჯგუფში გარდა „ფეიენოორდისა", რომის „ლაციო" და ლონდონის „ჩელსი" ასპარეზობენ... მარცხის შემთხვევაში კი მარსელელი გულშემატკივრები ალბათ კაზონისაც შეიწირავენ. ოფიციალური ინფორმაციით, „ოლიმპიკს" მხოლოდ ერთი დანაკლისი აქვს — დისკვალიფიკაციის გამო პატრიკ ბლონდო ვერ ითამაშებს, მის ადგილს კი, სავარაუდოდ, სებასტიან პერესი დაიკავებს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია CROCO

### ჩემპიონთა ლიგა. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **7 დეკემბერი** | | | |
| 501 | ბაიერნი (გერმანია) — დინამო (უკრაინა) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 502 | რეალი (ესპანეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 503 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — მარსელი (საფრანგეთი) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 504 | ლაციო (იტალია) — ჩელსი (ინგლისი) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 505 | პორტუ (პორტუგალია) — ჰერტა (გერმანია) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 506 | ბარსელონა (ესპანეთი) — სპარტა (ჩეხეთი) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 507 | ბორდო (საფრანგეთი) — ფიორენტინა (იტალია) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 508 | მანჩესტერი (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი. II მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **7 დეკემბერი** | | | | |
| 509 | დორტმუნდი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (2,5-1,35) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 510 | იუვენტუსი (იტალია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | (—-50,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 511 | ვერდერი (გერმანია) — ლიონი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | **9 დეკემბერი** | | | | |
| 512 | ლევერკუზენი (გერმანია) — უდინეზე (იტალია) | (1,1-5,0) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 513 | ატლეტიკო (ესპანეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია) | (1,1-5,0) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 514 | მონაკო (საფრანგეთი) — აეკ (საბერძნეთი) | (1,05-7,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 515 | გალათასარაი (თურქეთი) — ბოლონია (იტალია) | (1,5-2,0) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 516 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ლანსი (საფრანგეთი) | (1,05-7,5) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 517 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 518 | შტურმი (ავსტრია) — პარმა (იტალია) | (4,0-1,15) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 519 | ლიდსი (ინგლისი) — სპარტაკი (რუსეთი) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 520 | მალიორკა (ესპანეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) | (1,1-5,0) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 521 | ნიუკასლი (ინგლისი) — რომა (იტალია) | (2,5-1,35) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 522 | ბენფიკა (პორტუგალია) — სელტა (ესპანეთი) | (50,0-—) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 523 | ნანტი (საფრანგეთი) — არსენალი (ინგლისი) | (15,0-1,01) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 524 | სტიაუა (რუმინეთი) — სლავია (ჩეხეთი) | (5,0-1,1) | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **7 დეკემბერი** | | | |
| 001 | მანჩესტერ სიტი — სტოკპორტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 002 | ბლექბერნი — ბოლტონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 003 | ქრიუ — ვესტ ბრომვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 004 | კრისტალ პალასი — იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### ინგლისი. II დივიზიონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **7 დეკემბერი** | | | |
| 005 | ჩესტერფილდი — ბრისტოლი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 006 | ალავესი — რასინგი | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### ბელგია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 007 | ბევერენი — ვესტერლო | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### შოტლანდია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 008 | მოზერუელი — კილმარნოკი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 009 | აბერდინი — ჰართსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### პორტუგალია. თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 010 | ალვერკა — ბოავიშტა | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **7 დეკემბერი** | | | |
| 801 | ნიუ იორკი — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 802 | ტორონტო — კლივლენდი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 803 | ინდიანა — სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 804 | მილუოკი — დეტროიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 805 | დალასი — ვანკუვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 806 | ფინიქსი — ორლანდო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 807 | ლეიკერსი — ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 808 | პორტლენდი — მაიამი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 809 | ბოსტონი — დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 810 | ნიუ ჯერსი — მილუოკი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 811 | ფილადელფია — ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 812 | შარლოტი — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 813 | ატლანტა — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 814 | კლივლენდი — ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 815 | იუტა — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 816 | საკრამენტო — ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 817 | სიეტლი — მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | **9 დეკემბერი** | | | |
| 818 | სან ანტონიო — ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 819 | ფინიქსი — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 820 | პორტლენდი — მინესოტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **7 დეკემბერი** | | | |
| 833 | ვაშინგტონი — აილენდერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 834 | მონრეალი — კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 835 | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 836 | სენტ ლუისი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 837 | ბუფალო — ოტავა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 838 | რეინჯერსი — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 839 | დეტროიტი — ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 840 | დალასი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 841 | ფინიქსი — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 842 | ანაჰაიმი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 843 | ლოს ანჯელესი — ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 844 | სან ხოსე — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | **9 დეკემბერი** | | | |
| 845 | ბოსტონი — ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 846 | აილენდერსი — მონრეალი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 847 | ფილადელფია — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 848 | პიტსბურგი — ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 849 | ჩიკაგო — ნიუ ჯერსი | 2,7 | 4,4 | 1,6 |

### კალათბურთი. ევროლიგა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **8 დეკემბერი** | | | |
| 821 | შოლე (საფრანგეთი) — ცსკა (რუსეთი) | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 822 | ბარსელონა (ესპანეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 823 | ფორტიტუდო (იტალია) — ბუდუჩნოსტი (იტალია) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 824 | პაოკ (საბერძნეთი) — ბენეტონი (იტალია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 825 | პო ორტეზი (საფრანგეთი) — ეფესი (თურქეთი) | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | **9 დეკემბერი** | | | |
| 826 | ულქერი (თურქეთი) — მაკაბი (ისრაელი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 827 | ჟალგირისი (ლიტვა) — ალბა (გერმანია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 828 | კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ციბონა (ხორვატია) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 829 | თოფაში (თურქეთი) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 830 | რეალი (ესპანეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 831 | ვარეზე (იტალია) — ვილერბანი (საფრანგეთი) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 832 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,05 | 12,0 | 7,5 |

### ჰოკეი. ევროლიგა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **7 დეკემბერი** | | | |
| 850 | ჰელსინკი (ფინეთი) — მანჩესტერი (ინგლისი) | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| 851 | სპარტა (ჩეხეთი) — ბრიუნასი (შვედეთი) | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 852 | დინამო (რუსეთი) — ნიურნბერგი (გერმანია) | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 853 | ამიენი (საფრანგეთი) — ლუგანო (შვეიცარია) | 4,0 | 4,4 | 1,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ხელი ჩავყავ კალათასა

**მსოფლიოს** სამგზის ჩემპიონი იტალია და 1966 წლის გვირგვინოსანი ინგლისი, 2002 წლის პირველობის შესარჩევ ეტაპზე, სავარაუდოდ, სირთულეებს გადააწყდებიან. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ორი ქვეყანა ფიფას მიერ კვირას გამოქვეყნებულ განთესვაში, მეორე კალათაში მოხვდა.

მოგეხსენებათ, მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ საფუძვლად უეფას რეიტინგი დაიდო და ევროპის 51 ქვეყანა მის მიხედვით დაახარისხა. შესაბამისად, იტალია, რომლის ტიტულებიც ზემოთ ვთქვით და თან შევახსენებთ, რომ ორჯერ თავად მასპინძლობდა პლანეტის უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებას, როგორც რანგლისტში მე-13 ადგილზე მყოფი, ოთხი პოზიციით ჩამორჩა მათ, ვინც პირველ კალათაში დაიბევა ადგილი.

ინგლისი მე-17 ადგილზეა და, ბუნებრივია, პირველ კალათაში ვერაფრით მოხვდებოდა.

საფრანგეთი როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, პირდაპირ ფინალურ ეტაპზეა დაშვებული. მას შესარჩევი აურზაური არ ეხება. დარჩენილი 50 ქვეყანა კი საკვალიფიკაციო საფეხურს გაივლის.

პირველ კალათაში არიან ესპანეთი, რუმინეთი, ნორვეგია, შვედეთი, ჰოლანდია, ჩეხეთი, გერმანია, ბელგია და იუგოსლავია. ისინი ევროპის შესარჩევი შეჯიბრების ცხრა ჯგუფში პირველ ნომრებად განთავსდებიან. ამ ჯგუფების გამარჯვებულები შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე გავლენ.

მეორე ადგილზე გასულები აზიის მესამე ადგილოსანთან ერთად ხუთ პლეი-ოფურ წყვილს შეადგენენ და გაარკვევენ კიდევ ხუთ გუნდს, რომლებიც ფინალში ზემოხსენებულ ცხრასა და საფრანგეთს შეუერთდებიან.

განთესვისას 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისა და ევრო 2000-ის შესარჩევ ეტაპებზე ნაჩვენები შედეგები გაითვალისწინეს. სწორედ ამ შედეგების კომბინაციამ მოგვცა ის რეიტინგი, რომელმაც კალათები შეავსო.

უეფას პრეზიდენტმა, ლენარტ იუჰანსონმა, რომელიც იმავდროულად მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეც გახლავთ, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა:

„რეიტინგს საფუძვლად ბოლო შესარჩევი შეჯიბრებები უდევს და ევროპულ ფეხბურთში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას ასახავს".

ზემოთ პირველ კალათაში მოხვედრილი ცხრა ევროპული ქვეყანა ჩამოვთვალეთ. მათგან შვიდი, ესპანეთი, რუმინეთი, ნორვეგია, შვედეთი, ჩეხეთი, გერმანია და იუგოსლავია, ევრო 2000-ის შესარჩევი შეჯიბრების გამარჯვებულები გახლავან.

ევრო 2000-ის შესარჩევ ეტაპს კიდევ ორი გამარჯვებული ჰყავდა, რომლებიც პირველ ნომრებად სხვადასხვა მიზეზით არ განითესნენ. ერთი მათგანია საფრანგეთი. ის როგორც მოგახსენეთ, მსოფლიოს ჩემპიონია და ფინალურ ეტაპზე ავტომატურად არის დაშვებული, ხოლო მეორე გახლავთ იტალია, რომელსაც მსოფლიოს 1998 წლის შესარჩევ შეჯიბრებაში წაფორთხილებამაც შეუშალა ხელი და თან, ახლაც, მხოლოდ 15 ქულით გაიმარჯვა თავის ჯგუფში.

მეორე კალათაში განთესილებს შორისაც გახლავან ევრო 2000-ის შესარჩევი ჯგუფებიდან გასულები. ესენია: პორტუგალია, ინგლისი, თურქეთი და დანია.

ირლანდია, ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე კინაღამ გასული, მესამე კალათაში მოხვდა, ხოლო უნგრეთი, რომელსაც 50-იან წლებში დედამიწის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავდა, ისლანდიასთან, ბოსნიასა და ლატვიასთან ერთად მეოთხე კალათაშია.

ეს, რაც შეეხებოდა ევროპას, მაგრამ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ეტაპზე, მოგეხსენებათ, ეთვსივე კონტინენტის წარმომადგენლები გამოდიან. მათგან ყველაზე მარტივი სისტემა სამხრეთ ამერიკაში ანუ, კონფედერაციების მიხედვით თუ ვიტყვით, კონმებოლშია. აქაური 10 ქვეყანა (შეადარეთ ევროპის 51-ს) შინ და სტუმრად შეხვედრების და ქულათა დაგროვების პრინციპით გაარკვევს ოთხ საუკეთესოსა და კიდევ ერთ, მეხუთე ადგილზე გასულ გუნდს, რომელიც ოკეანიის ჩემპიონს პლეი-ოფში შეხვდება.

1998 წლის პირველობის შესარჩევ ციკლში, მოგეხსენებათ, ბრაზილია არ მონაწილეობდა, რადგან მაშინ მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსით იყო და პირდაპირ ფინალურ ეტაპზე გახლდათ დაშვებული. ამჯერად ბრაზილიაც საქმეშია, ამიტომ თითოეულ სამხრეთ ამერიკულ გუნდს მოუწევს არა 16, არამედ 18 მატჩის გამართვა.

ფიფას გენერალური მდივნის, მიშელ ზენ-რუფინენის აზრით, კონმებოლში გარკვეული სიძნელეებია მოსალოდნელი. კერძოდ, შესარჩევი შეჯიბრება ჯამში 90 შეხვედრას მოიცავს, ხოლო, ვინაიდან, სამხრეთ ამერიკელი წამყვანი მოთამაშეების უმეტესობა ევროპულ კლუბებში გამოდის, შესაძლოა მათი მიმოსვლის სირთულეები წარმოიშვას.

„შეჯიბრების დაწყებისთვის ჩვენ უკვე შეჯერებული კალენდარი გვექნება, მაგრამ პრობლემებს მაინც ველით". — ბრძანა მან.

ყველაზე ჩახლართული სისტემა კონკაკაფს აქვს. ამ კონფედერაციაში 35 ქვეყანაა გაერთიანებული, რომელთათვისაც მხოლოდ სამი ადგილი გახლავთ გამოყოფილი. ჯერ გაიმართება ჯგუფური ტურნირისა და პლეი-ოფის ერთობ რთულპრინციპიანი შეჯიბრება, ბოლოს კი შეიქმნება ექვსგუნდიანი ჯგუფი, რომელიც სამ საუკეთესოს გამოავლენს.

აზიის 40 წარმომადგენელი 10 ჯგუფში ოთხ-ოთხად განაწილდება. გამარჯვებულები შექმნიან ორ ხუთგუნდიან ჯგუფს, რომელთა შორის პირველები ფინალურ ეტაპზე იაპონიასა და კორეას შეუერთდებიან. რაც შეეხებათ მეორე ადგილზე გასულებს, ისინი ერთმანეთში გაარკვევენ ვინ უნდა შეხვდეს საბოლოო პლეი-ოფში ევროპის ერთ-ერთი ჯგუფის მეორეადგილოსანს.

აფრიკაში 50 გუნდი ჯერ პლეი-ოფს მოაწყობს, რის შედეგადაც დარჩება 25, რომლებსაც ხუთ ხუთგუნდიან ჯგუფში გაანაწილებენ. თითოეული ჯგუფის გამარჯვებული ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს.

ოკეანიის 10 ქვეყანა ორ ხუთგუნდიან ჯგუფად დაიყოფა. გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან, რათა გავიდნენ კიდევ ერთ პლეი-ოფში, სადაც მათ სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდი შეეჯიბრებათ.

**მაიკ კოლეტი,**
**როიტერი**



REUTERS ტოკიოდან

ისტორიაში უდიდეს კენჭისყრას ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი უხელმძღვანელებს

**I კალათა**
ესპანეთი
რუმინეთი
ნორვეგია
შვედეთი
ჰოლანდია
ჩეხეთი
გერმანია
ბელგია
იუგოსლავია

**II კალათა**
ავსტრია
პორტუგალია
იტალია
შოტლანდია
უკრაინა
რუსეთი
ინგლისი
თურქეთი
დანია

**III კალათა**
ირლანდია
ხორვატია
სლოვაკეთი
ისრაელი
ბულგარეთი
საბერძნეთი
შვეიცარია
პოლონეთი
ლიტვა

**IV კალათა**
კვიპროსი
უნგრეთი
ფინეთი
ისლანდია
მაკედონია
ლატვია
ბოსნია
სლოვენია
უელსი

**V კალათა**
საქართველო
სომხეთი
ესტონეთი
ჩრდ. ირლანდია
ალბანეთი
ფარერები
აზერბაიჯანი
ბელარუსი
მოლდოვა
ლიხტენშტაინი
ლუქსემბურგი
მალტა
სან მარინო
ანდორა

# ფორუმში სიხარულით

**2002 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრას შეჯიბრების 69-წლიან ისტორიაში უდიდესს — რომელშიც 195 ქვეყანა მონაწილეობს, დღეს მილიონობით ტელემაყურებელი იხილავს. იგი იაპონიის დედაქალაქის „საერთაშორისო ფორუმში" გაიმართება და ახალი საუკუნის პირველ უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებას დაუდებს სათავეს. ამასთანავე, იგი სათავეს დაუდებს პირველ ჩემპიონატს, რომელსაც ორი მასპინძელი ეყოლება.

ფიფას 203 წევრი ჰყავს. მათგან მხოლოდ ჩრდილო კორეა, ავღანეთი, ნიგერი, გვინეა ბისაუ და პაპუა ახალი გვინეა დარჩნენ განზე. მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი და მასპინძლები, იაპონია და კორეა შესარჩევ ეტაპში არ მონაწილეობენ. ისინი საქმეში პირდაპირ ფინალურ სტადიაზე ჩაერთვებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი, საათნახევრიან პროცედურაში 195 ქვეყანას ვიხილავთ.

შესარჩევ ეტაპზე 752 შეხვედრა გაიმართება — ცხადია, შეიძლება რალაც შეიცვალოს — რომელთა შედეგად გაირკვევა იმ 29 ნაკრების ვინაობა, საფრანგეთთან და მასპინძლებთან ერთად ფინალის მონაწილე 32 გუნდს რომ შეადგენს.

დღევანდელი კენჭისყრის შემდეგ, 2002 წლის 1 ივნისამდე, ანუ ფინალური ეტაპის დაწყებამდე, იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებული რაიმე ღონისძიება აღარ გაიმართება. საკუთრივ ფინალური ეტაპის კენჭისყრა 2001 წლის დეკემბერში, კორეაშია დანიშნული.



REUTERS ტოკიოდან

ფიფას ფინანსური დირექტორი ურს ლინსი (მარცხნივ) და მიშელ პლატინი კენჭისყრას ჩინებულ ხასიათზე ხვდებიან

საორგანიზაციო კომიტეტის იაპონელი თავმჯდომარე, შო ნასუ ბრძანებს: „გასულ ასწლეულში კაცობრიობამ უდიდესი პროგრესი განიცადა. ადამიანები ურიცხვი აღმოჩენებისა და გამოგონებების მოწმენი შევიქენით. იმავდროულად, ჩამოყალიბდა პლანეტის უპოპულარესი თამაში, ფეხბურთი. მოკლედ ახალი საუკუნის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი ნამდვილი საერთაშორისო ფესტივალი იქნება. იმიტომაც ვგრძნობთ თავს ბედნიერად, რომ ამ ზეიმის პირველი ნაბიჯი რეალურად უნდა გადაიდგას."

დღევანდელი კენჭისყრა თვალნათლივ ადასტურებს ფეხბურთის ზრდასა და განვითარებას. 1930 წელს, პირველ ჩემპიონატში, ურუგვაიში, მხოლოდ 13 ქვეყანა მონაწილეობდა. 100 მონაწილეს 1978 წლის პირველობის წინ გადავცდით — არგენტინაში ჩასვლის სურვილი 107-მა ეროვნულმა ნაკრებმა გამოთქვა, ხოლო 1990 წელს, იტალიისკენ გზის გაკაფვას 116 სახელმწიფოს გუნდი აპირებდა. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი ხუთით ნაკლები გახლდათ 1986 წლის — მექსიკის — ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველთა რიცხვთან შედარებით.

ბოლო 10 წელიწადში ამ მაჩვენებლის დიდი ზრდა შეინიშნებოდა. 1994 წელს, აშშ-ის მასპინძლობის დროს, ფიფაში განაცხადი 147-მა ქვეყანამ შეიტანა, ხოლო ბოლოს, 1998-ში — ჩემპიონატში მონაწილეობა — 174-მა.

დღეს, „საერთაშორისო ფორუმში" მრავალ იაპონელ თუ უცხოელ ცნობილ ადამიანს იხილავენ, მაგრამ პელემ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ტოკიოში არ ჩავა.

„1994-ში ფიფას პრეზიდენტს, ჟოაო აველანჟს, მის სიძეს, რიკარდო ტეიშეირასა და ჩემს შორის გარკვეული უსიამოვნება არსებობდა და ამიტომაც არ ჩავედი კენჭისყრაზე. ახლა კი ყველაფერი წესრიგშია, მე ფიფას საფეხბურთო კომიტეტის წევრი გახლავართ, პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან ვთანამშრომლობ, მასთან საუკეთესო ურთიერთობები მაკავშირებს და ამიტომაც გაგებით ვეკიდები მის სურვილს, კენჭისყრაში წარსულის ფეხბურთელებმა მონაწილეობა არ მიიღონ" — ბრძანა ლეგენდარულმა ბრაზილიელმა.

# სუპერფინალის დაბრუნება

**საქართველოს 9 ჩემპიონატი — 10 ტური**

ვერის ბაღი. 4 დეკემბერი

**სტუ 100:58 გორი**

I ტაიმი 62:33
სტუ: თორთლაძე (19), სულაძე (4), ორმოცაძე (9), ლოსაბერიძე (6), ოთიურიძე (22); ტულუში (12), მოისწრაფიშვილი (5), მინაშვილი (6), მიქაძე (6), ჩუბინიძე (9), მდივანი (2)
გორი: ლ. იაშვილი (4), ცაცუბაშვილი, არუთინიანი, ფსუტური (17), მანველიშვილი (15); გრძელიშვილი (14), ლოლიშვილი (2), აბრამაშვილი (6)
მსაჯები: ლაშა თოიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**საქართველოს 9 ჩემპიონატი — 10 ტური**

ვერის ბაღი. 4 დეკემბერი

**დინამო 79:63 ასკ**

I ტაიმი 40:36
დინამო: ნიკოლაძე (29), მეგრელიშვილი (11), ახვლედიანი (11), ზერეკიძე (3), ვ. აბულაძე (17); ორდენიძე, ენდელაძე (5), ყველაშვილი (3)
ასკ: ქართველიშვილი (14), მარხვაშვილი (24); ფანჯიკიძე (4), ღვინიაშვილი (8), მ. ფიცხელაური (11); ლაცაბიძე (2), ტაბატაძე, ჟვანია, ბერაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, როლანდ ხომერიკი
კომისარი: როლანდ გელოვანი

**საქართველოს 9 ჩემპიონატი — 10 ტური**

ვერის ბაღი. 4 დეკემბერი

**ვითა 87:77 აზოტი**

I ტაიმი 50:36
ვითა: უსტიაშვილი (3), ტურაშვილი (28), ბაქრაძე, კოკოლიშვილი (22), ახალკაცი (10); გ. გაგნიძე (10), ქევხიშვილი, შანიძე (14)
აზოტი: ა. ჟღენტი (17), გოგობერიშვილი (15), რ. ჩხეიძე (15), ბაბიაშვილი (13), მ. ბერუაშვილი (10); გაბისონია (1), ლ. ჩაჩუა, წიკლაური (6)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს 9 ჩემპიონატი — 10 ტური**

ვერის ბაღი. 5 დეკემბერი

**თსუ 79:116 ბასკო**

I ტაიმი 43:50
თსუ: ვეფხვაძე (5), ხეცურიანი (8), წოწელია (25), მარკოიშვილი (2), არსიაშვილი (23); მშვილდაძე, გელაშვილი, თაბუაშვილი (1), სანიკიძე (8), გ. ბერუაშვილი, მგალობლიშვილი (7)
ბასკო: აბრამიძე (18), კუშელავა (8), დავითულიანი (22), ქიაშვილი (6), ქარაბაკი (29); კვაჭაძე (2), ვ. კილაძე (29), გ. კილაძე (2), ბერია
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

როლანდ ლაბუჩიძე

ტურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პირველი წრის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მატჩის, „ვითა“ — „აზოტის“ მეორე ტაიმის დამთავრებამდე 55 წამით ადრე ქართველ მსაჯთაგან ყველაზე პრინციპული, ზაზა მაჩალაძე, პროტესტის ნიშნად მოედნიდან გავიდა. მართალია, შეხვედრის კომისარმა მურმან ქურიძემ იგი მალევე დააბრუნა სარბიელზე, მაგრამ მის მიმართ კალათბურთელთა მიერ ნათქვამ შეურაცხმყოფელ სიტყვებს უკან ხომ ვერ წაიღებდა? უკადრისად იქცეოდნენ ორივე გუნდის ძირითადი და სათადარიგო მოთამაშენი, ისინიც კი, ვისაც ყველაზე მეტი თავდაჭერა მოეთხოვება — მწვრთნელები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწვრთნელთა და კალათბურთელთა უმეტესობა მეტწილად მსაჯთან კამათით იყო დაკავებული და კალათბურთის სათამაშოდ ვერ მოიცალა. ერთადერთი, ვინც ყველაფერს ასწრებდა, „ვითას“ კაპიტანი მამუკა ტურაშვილი გახლდათ. მას ნამდვილად ვერ დავწამებდი, ბილწსიტყვაობდა და მეტოქეებსა და მსაჯებს მოედანზე მუშტი-კრივი გაუმართაო, მაგრამ სხვა მხრივ კი იპირველა — როგორც დაუსრულებელ პრეტენზიებსა და კამათში, ასევე თამაშშიც.

მოულოდნელად მშვიდი და აუღელვებელი იყო ტურაშვილივით მოურჯულებელი რუსთაველთა კაპიტანი რამაზ გოგობერიშვილი. აღელვება კი არა, როგორც ჭეშმარიტ წინამძღოლს შეეფერება, ისე აწყნარებდა თანაგუნდელებს და მუდამ ნერვებაშლილ ტურაშვილს.

სამაგიეროდ, ვერა და ვერ დააშოშმინეს აზოტელი აჩიკო ჟღენტი და მიხეილ ბერუაშვილი. შედეგად კი რა მოიმკეს — ბერუაშვილის ანგარიშზე პირველ ტაიმში ორად ორი ქულაა, ხოლო ჟღენტმა ქულების გაკეთების უამრავი შესაძლებლობა ქარს გაატანა.

ჩემპიონებმა და ვიცე-ჩემპიონებმაც კარგად იციან, რომ მაჩალაძესა და ბერეკაშვილს გამოცდილება ჯერ კიდევ აკლიათ, მაგრამ რომ არა ეს მსაჯები, ჩემპიონატის ჩატარება ეჭვქვეშ თუ არა, ურთულესი პრობლემის წინაშე დადგებოდა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არბიტრებს როცა მოესურვებათ, მაშინ უსტვინონ, მაგრამ იშვიათი და უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა მაჩალაძისა და ბერეკაშვილის მიმართ პრეტენზიების საბაბი გუნდებს ნამდვილად არ ჰქონიათ.

იდეალური მსაჯობა მართლაც რომ სასურველია, მაგრამ ეს არათუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის, არამედ უფრო გამოცდილი საკალათბურთო ქვეყნებისა და ფიბას შესაძლებლობებსაც კი აღემატება.

ახლა კი მივუბრუნდეთ მატჩს, რომელიც არაფრით ჰგავდა ოქროსთვის მებრძოლი გუნდების პაექრობას.

მართალია, „ვითამ“ პირველი შეტევა გააცუდა, მაგრამ მეტოქემ ამგვარადვე უპასუხა. მერე კი დიდებულად ითამაშა უსტიაშვილმა, რომელმაც კოკოლიშვილი ფარქვეშ დატოვა. ამასაც ისღა დარჩენოდა, ანგარიში გაეხსნა — 2:0. პირველად ბაბიაშვილმა გაათანაბრა 2:2. ტურაშვილის მიერ დაწინაურებულ „ვითას“ ამჯერად „აზოტი“ ჟღენტის სამქულიანით წამოეწია — 5:5. დაუსრულებელ კამათსა და ტექნიკურებს კი მიხეილ ბერუაშვილმა დაუდო სათავე, რომელმაც იმსაჯის გადაწყვეტილება ისე ემოციურად გააპროტესტა, რომ მაჩალაძეს უმალ ტექნიკური შენიშვნა დასტყუა. არც „ვითა“ იყო სახარბიელო მდგომარეობაში. მისმა მცველმა ირაკლი ბაქრაძემ უკვე მე-4 წუთისთვის 4 ჯარიმას მოუყარა თავი და ადგილი ახალგაზრდა შანიძეს დაუთმო. ნებსით თუ უნებლიეთ, „შანოს“ მოედანზე შესვლამ ნამდვილად გაამართლა. იგი ჩემპიონის თამაშში დიდებულად ჩაერთო და „ვითას“ დაწინაურებაში ლომის წილი დაიდო — 14:6. დაბნეული რუსთაველების გამოფხიზლება რეზო ჩხეიძემ ითავა, რომელსაც „აზოტის“ რიგებში დებიუტი ჰქონდა და მერვე წუთის ბოლოს თანაგუნდელებს პირველი ორი ქულაც მოუტანა. ხმელიძემ ნერვებაშლილი, საჩხუბრად შემზადებული ბერუაშვილი წიკლაურით შეცვალა. ლევანმა ზვიად ბაბიაშვილის ადგილი დაიკავა, ხოლო „ბაბომ“ ცენტრში გადაინაცვლა. შედეგად „აზოტი“ ინიციატივას ნელ-ნელა დაეუფლა და ექვსი წუთის შემდეგ ჩემპიონსაც მიუახლოვდა — 26:27. ამჯერად ტექნიკური „ვითას“ სკამმა დაიმსახურა, მაგრამ გოგობერიშვილმა წინ გასვლის შანსი ვერ გამოიყენა. გიორგი გაგნიძის მოედანზე შესვლამ ძალები შემატა ჩემპიონს, რომელმაც სულ რამდენიმე წამში 4 ქულის მოგროვება შეძლო. ახალგაზრდა კოლეგას რუსთაველმა წიკლაურმაც ამდენითვე უპასუხა და სტუმრებმა სხვაობა კვლავ ქულამდე შეამცირეს — 32:33. ტაიმის ბოლო წუთები, ტექნიკური ჯარიმების მიუხედავად, „ვითამ“ კარგად ჩაატარა და შესვენებაზე 14-ქულიანი უპირატესობით წავიდა — 50:36.

ახალკაცის მე-4 ჯარიმის შემდეგ ფარზე „ვითას“ შანსები კიდევ უფრო შეიკვეცა, ხოლო ბერუაშვილს, ბაბიაშვილსა და ჩხეიძეს ეულად მებრძოლი და დიდი ხნის (5-მატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო) უთამაშებელი ლევან ქევხიშვილი აშკარად ვერ უმკლავდებოდა. „აზოტმა“ ცენტრის მოგებით პირველი ტაიმის დანაკარგი მეცამეტე წუთისთვის აინაზღაურა და ჟღენტს რომ ევარგა, ანგარიშსაც გაათანაბრებდა — 63:65. მართალია, „ვითა“ ცენტრში დაიჩაგრა, მაგრამ აქ მდგომარეობის გამოსწორება მსროლელების (ტურაშვილი, კოკოლიშვილი) ძალისხმევით სცადა და ეს შეძლო კიდეც — 73:65.

„აზოტმა“ გაიბრძოლა და ახალწვეული რეზო ჩხეიძის წყალობით შვიდგზის ჩემპიონს ორწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოუგო. ტურაშვილის ტექნიკური ჯარიმა, ბურაშვილის ორი ზუსტი სროლა და — 74:73.

უკიდურესად დაძაბული იყო ბოლო ორი წუთი. უსტიაშვილისა და ახალკაცის თითო ზუსტი ჯარიმის შემდეგ „ვითა“ კვლავ დაწინაურდა — 75:74. მერე შანიძემ ითამაშა დიდებულად და სხვაობა სამი ქულით გაზარდა. ამას მე-18 წუთის ბოლოს კოკოლიშვილის სამქულიანი მოჰყვა — 80:74. 20 წამის შემდეგ შეტევაში შანიძესთან გაბისონიას დაჯარიმებისას „აზოტმა“ დამარცხების საფრთხე იგრძნო და მწვრთნელ-კალათბურთელებიანად იერიში მაჩალაძეზე მიიტანა. მსაჯის გადაწყვეტილების შესახებ კი უკვე მოგახსენეთ. განახლდა თამაში, შანიძემ საჯარიმოები მშვიდად მოათავსა კალათში და აშკარა გახდა, „ვითა“ რვაქულიან (82:74) უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდა. ამას რუსთაველებიც მიხვდნენ და დარჩენილი წამები მოვალეობის მოხდის მიზნითღა გაატარეს მოედანზე.

როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს უამრავი ხარვეზი შეენიშნებოდა, განსაკუთრებით დაცვაში თამაშისას. ეს კი ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს ნამდვილად არ ეკადრებათ.

„დინამო“ — ასკ-ს შეხვედრაში ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა არმიელებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ერთ დროს მრისხანე საქართველოს პირველ ჩემპიონს. თუ გულშემატკივრებმა მატჩის დასაწყისში ასკ-ს დაწინაურება მოულოდნელობად მიიჩნიეს, მეთორმეტე წუთის ბოლოს ტრიბუნებს გამოცოცხლება დაეტყო — მამუკა ფიცხელაურმა თემურ ქართველიშვილის პასით არმიელები წინ გაიყვანა — 23:22. რომ არა ქართველიშვილის 4 გაუმართლებელი ჯარიმა, რომლებიც ასკ-ს გამთამაშებელს უკვე მე-15 წუთისთვის დაუგროვდა, დინამოელებს მეტოქის დამარცხება ბევრად გაუძნელდებოდათ. ისინი ტაიმის მოგებას მეგრელიშვილის აქტიურობას უნდა უმადლოდნენ. მეორე ნახევარი კი შედარებით გამოცდილი ნიკოლაძისა და ახალგაზრდა, პერსპექტიული გამთამაშებლის — მარხვაშვილის დუელად გადაიქცა.

ნიკოლაძემ იმარჯვა და მასთან ერთად ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა „დინამომაც“, რომელსაც ცხვედიანი აკლდა.

აშკარად უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა სტუ-სა და „გორის“ შეხვედრაში. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მეათე-მეთორმეტე ადგილებზე მყოფ გუნდებს უმაღლეს ლიგაში არაფერი ესაქმებათ. სტუ რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, ხოლო ნინოშვილისა და დავით იაშვილის გარეშე დარჩენილი „გორი“ მხოლოდ ფაფხურობდა და მეტი არაფერი.

ეს მატჩი მნიშვნელოვანი მხოლოდ იმით იყო, რომ ტრავმის გამო დიდი ხნის შესვენების შემდეგ მოედანზე გამოჩნდა ექსვითელი ზურაბ ჩუბინიძე, ხოლო მეორე ექსვითელმა — გოდერძი კორძაძემ „გორთან“ არაფრისმომცემ შეხვედრაში მონაწილეობას სულაც დასვენება ამჯობინა.



ფოტო გურამ ცეცხლაძისა

ვითა — აზოტი 87:77. ვითელი ნუგზარ კოკოლიშვილი (მარცხნივ) წინ აღუდგა რუსთაველ რევაზ ჩხეიძეს (№14)

გიორგი ბიკაშვილი

მეათე ტურში დედაქალაქს ნასტუმრი „ბასკო“ შინ მორიგი ორი ქულითა და... ახალი მთავარი მწვრთნელით გაემგზავრა. დღემდე დაუმარცხებელ ბათუმლებს თბილისში ვალერი ალთაბაევი ჩამოუძღვა, რომელმაც პირნათლად მოიხადა დაკისრებული მისია, არც ამჯერად გააკარა ახლოს მარცხის სიმწარე თავის გაწვრთნილ გუნდს და „ბასკოს“ სადავეები ზურაბ ტომარაძეს გადაულოცა.

მორჩა! ორჯერ „ვითას“ გაჩემპიონების სულისჩამდგმელი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ზურაბ ტომარაძე ამიერიდან დებიუტანტ „ბასკოში“ იმუშავებს, ზღვისპირეთიდან გაილაშქრებს ზედიზედ მესამე საჩემპიონო გვირგვინისთვის...

გუშინწინ კი ტრიბუნაზე მოკალათებული ტომარაძე მშვიდად ადევნებდა თვალს თავისი ახალი საწმყსოს თამაშს ნოდარ ქორქიას თსუ-სთან, ან კი რა ჰქონდა სანერვიულო, მეცხრე ეროვნულის ერთპიროვნული ლიდერი — „ბასკო“ ჟამ-ჟამად ავიწროვებდა მეტოქეს და თავს საკუთარ, თსუ-სთვის ქულის წამგვრელ თამაშს აჩვევდა, რითიც საამმატჩო ინტრიგის მოლოდინით ვერის ბაღში შეკრებილ ქომაგობას იმედს უწბილებდა.

თსუ-მ მხოლოდ ერთ ტაიმს გაუძლო შემადგენლობითა თუ კლასით თავისზე გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგის ზეწოლას. ბათუმლებისგან განსხვავებით, ტაიმებს შორის შესვენებამ საუნივერსიტეტო გუნდზე უარყოფითად იმოქმედა და მეორე ნახევარიც ფორმალობად იქცა. არადა, პირველი ოცი წუთის შემხედვარე ძნელად თუ იფიქრებდით მოვლენათა ამგვარ განვითარებას. საწყის წუთებში თსუ-ს მონდომებულმა და ორგანიზებულმა თამაშმა ბევრს გაახსენა, რომ ეს გუნდი მრავალი სიურპრიზის ავტორია. ემანდ სტუდენტებმა „ბასკოსაც“ კვანტი არ დაუდონო და...

ანგარიში გოჩა წოწელიამ გახსნა. ბათუმელთა საპასუხო შეტევა „ბასკოში“ პირველად მოთამაშე ლევან ქარაბაკმა ზუსტი სროლითა და ერთი პერსონალურით დააგვირგვინა, უმალ ხეცურიანმა და დავითულიანმაც გაცვალეს შედეგიანი გარღვევები.

რამდენიმე წამში წოწელიას სამქულიანმაც მიზანს უწია და თსუ ორი ქულით (7:5) დაწინაურდა. სტუდენტთა სნაიპერს ბათუმელთაგან პერსონალურად მეურვეობდა ალეკო დავითულიანი, თუმცა წოწელია ამას სათვალავშიც არ აგდებდა და თავისიანთაგან უმეტესწილად სწორედ იგი აგროვებდა ქულებს. საქმე ისაა, რომ წოწელიას არ ზღუდავდა დავითულიანი და როცა გოჩა ბურთს მიიღებდა, მერეღა ცდილობდა მის შეჩერებას. არადა, ალეკოს მეტი ყურადღება მართებდა, მას იქამდე უნდა შეებოჭა წოწელია, სანამ ბურთიანად მოძრაობას დაიწყებდა. ამას მალე „ბასკოს“ მწვრთნელი, ვალერი ალთაბაევიც მიხვდა და იგივე დავითულიანის მეშვეობით წოწელიას უფრო მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესა.

სტუდენტები დალაგებულად უტევდნენ. მათი გამთამაშებელი ნიკა ვეფხვაძე ბურთს აზრიანად ათამაშებდა და დროულად გახსნილ თანაგუნდელებს გამოზომილი პასებით ხელსა-

## საქართველოს ჩემპიონატი — 10 ტური

ვერის ბაღი. 5 დეკემბერი

### სდასუ 80:63 შევარდენი

I ტაიმი 38:31

სდასუ: ხოშტარია (21), გ. ჩხეიძე (6), უძილაური (21), ლ. აბულაძე (7), მაჭარაძე (12); ნ. ნოზაძე (5), სუხიშვილი (8)

შევარდენი: ორჯონიკიძე (1), აკოლაშვილი (13), შ. გაგნიძე (11), გიგაური (19), ნუცუბიძე (9); ალავიძე (2), კაზანჯიანი (6), მაჭავარიანი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

## საქართველოს ჩემპიონატი — 10 ტური

ვერის ბაღი. 5 დეკემბერი

### მაკაბი 105:69 სსუ

I ტაიმი 45:33

მაკაბი: დ. ბერიშვილი (32), ი. ბერიშვილი (27), მჭედლიშვილი, ბ. ნოზაძე (11), ფერიაშვილი (27); ჩაჩუა, ლასარეიშვილი (6), ბ. ფიცხელაური, გვარაძე (2)

სსუ: გ. ულენტი (3), ბ. ბერიშვილი (25), სორდია (3), ერქვანია, ქვილითაია (18); ლაცუზბაია (10), თოდუა, ქარუმიძე (10), ფენდერავა

მსაჯები: როლანდ გელოვანი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ყრელ პოზიციაში ტოვებდა. აქტიური იყო გოჩა არსიაშვილიც, რომელიც იძულებით ითავსებდა ცენტრის ამპლუას და, მიუხედავად ამისა, თავისზე ერთი თავით მაღალ ქარაბაკსა და ჭეიშვილს ტოლს არ უდებდა.

ფარზე უპირატესობის მოპოვების მიზნით ალთაბაევმა მანამდე სათადარიგოებში მყოფი ძირითადი ხუთეულის წევრი, ვალერი კილაძე ჩართო თამაშში. ამით „ბასკომ“ ერთიორად გამოასწორა მდგომარეობა, თუმც მაინც იგრძნობოდა ტანმაღალი ვლადიმერ ბეჟანიშვილის არყოფნა, რომელიც ფეხის ტრავმის გამო ვერ ეშველებოდა თავის გუნდს.

უჩვეულოდ პასიური გახლდათ „ბასკოს“ უკანახაზელი მამუკა აბრამიძე. ეს იმით აიხსნება, რომ ვერც ქარაბაკი და ვერც კილაძე სათანადოდ ვერ მარაგდებოდნენ პასებით. არადა, ბათუმელთა წარმატების საწინდრად სწორედ ამ ტანდემის კარგი ქმედება და ამ კალათბურთელების ხარჯზე აჭარული გუნდის სიმაღლეში უპირატესობა უნდა ქცეულიყო.

ბოლოს და ბოლოს ყოველივე აბრამიძემაც იგუმანა. თამაში ცენტრებზე ააგო და ტაიმის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე თანაფარდობაც აღდგა — 27:27. ამასობაში მსაჯთაგან სამჯერ დაჯარიმებული შიო ხეცურიანი ქორქიამ სათადარიგოებში გაიხმო, მალე არსიაშვილიც დაასვენა და მას გიორგი ბერუაშვილი შეუნაცვლა.

აი, მერე კი აიწყვიტა ვალერი კილაძემ. მან აშკარად დაჯაბნა თსუ-ს ჭარმაგი ცენტრი — ბერუაშვილი და ზედიზედ სამი კომბინაცია შედეგიანად დაასრულა. ფარზე საბოლოოდ გაბატონდა „ბასკო“, ამის საწინააღმდეგოდ სტუდენტები გარედან თამაშს ამჯობინებდნენ და არცთუ ხშირად აღწევდნენ მიზანს. ამას ქარაბაკის აქტიურობაც დაერთო, პირველ შეტევაში გაქცეულმა ლევანმა კიდევ ორი ქულა მოინაგრა და თსუ-ც ცხრა ქულით — 35:44 ჩამორჩა მოწინააღმდეგეს. სტუდენტთა მცდელობას, ტაიმის ბოლოს მაქსიმალურად შეემცირებინათ სხვაობა, შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე-ნახევარი მთლიანად „ბასკოსი“ გახლდათ. იმდენად დიდი იყო ბათუმელთა უპირატესობა, რომ თამაშიც წახდა და თსუ-ც. სტუდენტებმა დაცვაზე სულ მთლად ხელი აიღეს და მთელი ძალები შეტევებში გადაისროლეს, სადაც მათ ზღვისპირელთა მკვიდრად ნაშენი ჯებირი ელობებოდა. ქარაბაკი, კილაძე და დავითულიანიც ადვილად ჭრიდნენ თსუ-ს ფარისკენ სავალ გზებს და დროდადრო სხვაობაც ასტრონომიული ხდებოდა...

სდასუ-„შევარდენის“ შეხვედრაშიც პირველი ტაიმი გამოდგა ღირებული. სდასუ-მ საბოლოოდ დამაჯერებლად კი იმარჯვა, მაგრამ ორი ქულის მოპოვების სურვილით შეპყრობილმა შევარდნებმა მაინც გვარიანი ხლაფორთი დამართეს ლევან მოსეშვილის გუნდს.

სდასუ-ს ფარის მისადგომებთან რომ ძალიან უჭირს, ცნობილია. ერთი ნორმალური ცენტრი მართლაც რომ წამალივით წაადგება ამ გუნდს, მაგრამ ვიდრე სტუდენტები ამ პრობლემას გადაჭრიდნენ, კვლავაც უკანახაზელების ქმედებით თუ გავლენ ფონს. ამ რგოლში კი სდასუ-ს ერთბაშად სამი ძლიერი მოთამაშე ჰყავს — ხოშტარია, უძილაური და ჩხეიძე. სწორედ ეს კალათბურთელები განაპირობებენ აღმაშენებლის საუნივერსიტეტო გუნდის წარმატებას და დანავსული სერიის გატეხვასაც სხვას ვის უნდა უმადლოდნენ, თუ არა მათ.

ირაკლი ხოშტარიას მიერ მოგროვებული ზედიზედ ცხრა ქულით სდასუ-მ თავიდანვე იგდო ხელთ უპირატესობა. „შევარდენი“ ერთხანს წამოეწია მეტოქეს, მაგრამ ტაიმის შეაგულში, როცა მათ გამთამაშებელი, დუდუ ორჯონიკიძე დაუშავდათ, შევარდენელთა საქმე სულ უკან-უკან წავიდა. როგორც ყოველთვის, „შევარდენი“ ამჯერადაც სამქულიანების ხარჯზე ცდილობდა ვითარების გამოსწორებას, მაგრამ მოწინააღმდეგის ბანაკიდან უძილაურიც სწორედ შორეულ სროლებზე იყო დაგეშილი და მატჩშიც ყველაზე მეტი, ხუთი სამიანი მოათავსა.

ტაიმის მიწურულს კაზანჯიანმა მეოთხე ჯარიმა მიიღო, მსაჯთან კამათისთვის იგი ტექნიკურითაც დაისაჯა და თამაშს გამოეთხოვა. ეგ იყო და სდასუ უმალ ათი ქულით — 30:20 — მოსწყდა მეტოქეს.

მეორე ნახევარშიც ძირითადად ათირვა ქულით ლიდერობდნენ სტუდენტები. მეტს რომ ვერ ახერხებდნენ, ამის მიზეზი შევარდენელი თამაზ გიგაური გახლდათ, რომელიც ცოცხალი თავით არ ურიგდებოდა მარცხს.

ყველაფერი კი შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გაირკვა, როცა ჩხეიძის ნასროლის შემდეგ სხვაობამ თოთხმეტ ქულას უწია — 67:53. თანაც თამაშს სდასუელები კარნახობდნენ და ცხადი გახდა, ამ შანსს ისინი ხელიდან აღარ გაუშვებდნენ.

აბა, „მაკაბისაც“ რა ღმერთი გაუწყრებოდა ჯერაც გაუმარჯვებელ სსუსთან დასცდენოდა ფეხი...

## საქართველოს ჩემპიონატი — 10 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 10 | 10 | 0 | 1004:804 | 20 |
| ვითა | 10 | 8 | 2 | 885:767 | 18 |
| აზოტი | 10 | 8 | 2 | 942:794 | 18 |
| სტუ | 10 | 7 | 3 | 918:754 | 17 |
| სდასუ | 10 | 6 | 4 | 891:841 | 16 |
| მაკაბი | 10 | 5 | 5 | 854:790 | 15 |
| თსუ | 10 | 5 | 5 | 901:902 | 15 |
| დინამო | 10 | 4 | 6 | 765:825 | 14 |
| შევარდენი | 10 | 4 | 6 | 722:817 | 14 |
| გორი | 10 | 2 | 8 | 755:913 | 12 |
| ასკ | 10 | 1 | 9 | 725:944 | 11 |
| სსუ | 10 | 0 | 10 | 699:911 | 10 |


ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით და ბუნებრივი გაზით სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23


რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანია: კარგი და ცუდი



REUTERS ტორონტოდან

ტორონტო — სან ანტონიო. ტორონტოელი ვინს კარტერი (ბურთით) აივერი ჯონსონს გაექცა

4 დეკემბერი

**კლიპერსი 89:102 სიეტლი**

კლიპერსი: მერდოკი (6), ანდერსონი (19), ტეილორი (19), ოდომი (12), ოლოვოკანდი (6); ნესბი (13), სკინერი (6), პიატკოვსკი (4), ჰადსონი (4), ჯონსი

სიეტლი: პეიტონი (19), ბერი (14), პატერსონი (12), ბეიკერი (16), გრანტი (14); ლუისი (12), მაქსველი (7), ფოსტერი (2), მაკკოი (2), ვინსონი, სტეფანია

5 დეკემბერი

**სიეტლი 81:103 შარლოტი**

სიეტლი: პეიტონი (17), ბერი (8), პატერსონი (6), ბეიკერი (12), სტეფანია (2 ქულა, 5 მოხსნა); მაქსველი (12), მაკკოი (12), ლუისი (10), ფოსტერი (2), დევისი, ბორელი

შარლოტი: ვესლი (6), ჯონსი (13), მეისონი (8), კოულმენი (16 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება), კემპბელი (13 ქულა, 10 მოხსნა); რობინსონი (18), ბ. დევისი (6), ფალერი (6), რ. დევისი (4), მილერი (3)

„სიეტლ სუპერსონიქსს“ ამ უქმეებზე ორ დღეში ორმა თამაშმა მოუწია. შაბათ-კვირას გამართულ შეხვედრებში ბევრი რამ მოხდა კარგიც და ცუდიც. კარგით დავიწყოთ. როგორც „კლიპერსთან“, ასევე „შარლოტთან“ მოედანზე ვიხილეთ სიეტლელთა ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. „შარლოტთან“ ვოვამ სულაც სასტარტო ხუთეულში ითამაშა, რაც პირველი შემთხვევაა ამ სეზონში. ცუდი კი ის გახლავთ, რომ პირველ შეხვედრაში ქართველმა მხოლოდ ერთადერთი წუთი დაჰყო მოედანზე და, ცხადია, არ მისცემია თავისი შესაძლებლობების გამომჟღავნებების საშუალება, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამას უკვე შევეჩვიეთ. ამაზე უარესი ისაა, რომ „შარლოტთან“ მან ერთი კი არა, ოცდაერთი წუთი ითამაშა (ანუ ყველაზე ბევრი ამ სეზონში), მაგრამ... ეს იყო იმედგაცრუების ოცდაერთი წუთი. „შარლოტთან“ საშინლად ისროდა ქართველი. მისი ხელიდან გაშვებული ბურთებიდან არც ერთმა არ ინება კალათში ჩასვლა და საბოლოოდ ხუთი უშედეგო სროლის შემდეგ სტეფანიამ სიეტლელთა შეტევების დაგვირგვინების მცდელობა შეწყვიტა. ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ორი ქულა შესძინა თავის გუნდს და ისიც საჯარიმოებით. აი, ეს იყო ის ცუდი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. სხვა მხრივ ქართველს არა უშავდა. იგი თანაგუნდელების მიერ ფარქვეშ წახდენილი საქმის გამოსწორებას ცდილობდა და მისი ხუთი მოხსნა (აქედან ორი მეტოქის ფარზე) თანაგუნდელთაგან მხოლოდ რუბენ პატერსონის რვა მოხსნას ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ თვით ბეიკერს, ამერიკის ნაკრების წევრს და 211-სანტიმეტრიან კუნთების გროვას, მხოლოდ ოთხი ასხლეტილი ბურთი ერგო, მან კი ვოვაზე გაცილებით მეტი ითამაშა. ამგვარად ძნელია სტეფანიას რაიმეში დადანაშაულება, მით უმეტეს, რომ იგი იმ არეული ჯგუფის წევრი გახლდათ, რომელმაც არ იცოდა, რა მოეხერხებინა მეტოქისთვის. სტუმრები კი მშვენივრად სარგებლობდნენ მასპინძელთა დაბნეულობით. ორი ქულისა და ხუთი მოხსნის გარდა სტეფანიამ გაახერხა თითო-თითო დაფარება, პასი და ჩაჭრა. მხოლოდ ორჯერ დაჯარიმდა სხვაზე და ერთადერთხელ დაკარგა ბურთი

მივყვეთ თანმიმდევრობით. მაჩანჩალა „კლიპერსთან“ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ნავარაუდევი იყო. „კლიპერსმა“ „სიეტლს“ ბოლო ათ შეხვედრაში წაგებების მეტი ვერაფერი დასტყუა და ახლაც ჩრდილოელებმა უპრობლემოდ მოუგეს მზიანი კალიფორნიის შვილებს. მატჩი „სუპერსონიქსის“ აშკარა უპირატესობით წარიმართა. სტუმრები 17 ქულით იყვნენ წინ, როცა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი იყო დარჩენილი.მწვრთნელმა ვესტფოლმა თავის შეგირდთაგან საუკეთესოები — პეიტონი და ბეიკერი სკამზე დასვა და აღარც შემოუყვანია მოედანზე. „სუპერსონიქსმა“ მათ გარეშეც იოლად დასცა დაძაბუნებული მეტოქე, მაგრამ ამას მაინც მოჰყვა მცირე გართულება. გერი პეიტონმა, რომელიც, ჩვენში დარჩეს და, ცოტა თავისებური, ახირებული ბიჭია, ვესტფოლს ერთი აყალმაყალი აუტეხა, აქაოდა, რად დამსვი სკამზე, ჩემი დონის კალათბურთელი უფრო მეტს უნდა თამაშობდეს, ვიდრე 35 წუთი, მითუმეტეს, რომ სულაც არ დავღლილვარო. პეიტონი მართლაც ბევრს ნიშნავს „სიეტლისთვის“, ვიდრე სხვა ნებისმიერი და ვესტფოლმაც მისი მოთხოვნა გაითვალისწინა, „შარლოტთან“ 35-ის ნაცვლად 45 წუთი ათამაშა და, უკვე იცით, „სიეტლმა“ ეს თამაში საშინლად წააგო. საერთოდ „შარლოტთან“ 22 ქულით მარცხი ძირითადად მაღალთა უხეირობამ განაპირობა. თან „სიეტლს“ არ ჰყავდა ძირითადი ცენტრი ჰორას გრანტი (იგი სტეფანიამ შეცვალა). ღერიკ კოულმენისგან დაწიოკებული ტანმაღალი მასპინძლები დატუქსული ბავშვებივით გამოიყურებოდნენ, თუმცა არც უკანახაზელები ბრწყინავდნენ, რაც გერი პეიტონზეც ითქმის.

ირაკლი ფირაშვილი

3 დეკემბერი

**ბოსტონი 96:84 მაიამი**

ბოსტონი: პირსი (26), ანდერსონი (22)

მიამი: ლენარდი (23), მურნინგი (21)

**ტორონტო 95:93 ვაშინგტონი**

ტორონტო: კარტერი (23), მაკგრეიდი (21)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (18), სტრიკლენდი (16 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა)

**დეტროიტი 102:80 სან ანტონიო**

დეტროიტი: ჰილი (28), სტეკჰაუზი (21)

სან ანტონიო: რობინსონი (15)

**იუტა 75:100 ინდიანა**

იუტა: მელოუნი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ინდიანა: მილერი (31), როუზი (21)

**კლივლენდი 100:102 ფილადელფია**

(ძირითადი დრო 91:91)

კლივლენდი: მიურეი (22 ქულა, 10 მოხსნა), სურა (20)

ფილადელფია: მაკკი (25), ჰილი (22 ქულა, 16 მოხსნა), ლინჩი (22 ქულა, 12 მოხსნა)

**დენვერი 100:112 ორლანდო**

დენვერი: მაკდაიესი (25 ქულა, 12 მოხსნა), ლაფრენცი (19 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება)

ორლანდო: არმსტრონგი (20)

**ვანკუვერი 94:113 შარლოტი**

ვანკუვერი: დიკერსონი (29)

შარლოტი: ვესლი (28), კოულმენი (22)

**ლეიკერსი 93:80 პორტლენდი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (23), ონილი (21 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი)

პორტლენდი: სტუდემაიერი (23)

4 დეკემბერი

**გოლდენ სტეიტი 82:94 იუტა**

გოლდენ სტეიტი: მილზი (24 ქულა, 10 მოხსნა)

იუტა: მელოუნი (29 ქულა, 14 მოხსნა)

**ჰიუსტონი 105:95 ფინიქსი**

ჰიუსტონი: ანდერსონი (26), ბარკლი (21)

ფინიქსი: ჰარდევეი (21), რობინსონი (21)

**ჩიკაგო 91:92 მილუოკი**

ჩიკაგო: არტესტი (21), ბრენდი (19 ქულა, 17 მოხსნა)

მილუოკი: კასელი (23 ქულა, 15 პასი), ალენი (19), რობინსონი (19)

**მინესოტა 84:103 დალასი**

მინესოტა: გარნეტი (20)

დალასი: ფინლი (32), სებალოსი (25 ქულა, 12 მოხსნა)

**ატლანტა 112:110 დეტროიტი**

ატლანტა: ჯექსონი (33), რაიდერი (30)

დეტროიტი: ჰილი (33 ქულა, 10 მოხსნა), ჰანტერი (22), სტეკჰაუზი (20)

**ვაშინგტონი 104:114 საკრამენტო**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (23)

საკრამენტო: ვებერი (25 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), ვილიამსონი (21)

**ნიუ ჯერსი 82:92 ნიუ იორკი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (19)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24), სპრიუელი (20)

**ფილადელფია 77:74 ბოსტონი**

ფილადელფია: ჰილი (14)

ბოსტონი: პირსი (22)

5 დეკემბერი

**ლეიკერსი 117:100 ორლანდო**

ლეიკერსი: ონილი (27 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), რაისი (24)

ორლანდო: არმსტრონგი (20)

**ფინიქსი 90:92 პორტლენდი**

ფინიქსი: რობინსონი (19)

პორტლენდი: ვოლესი (21), საბონისი (18 ქულა, 10 ქულა)

**ნიუ იორკი 78:80 დენვერი**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (15)

დენვერი: ვან ექსელი (20)

**მილუოკი 103:97 დალასი**

მილუოკი: ალენი (20), კასელი (16 ქულა, 18 პასი, 6 ჩაჭრა)

დალასი: ფინლი (29)

**ტორონტო 98:94 სან ანტონიო**

ტორონტო: კარტერი (39)

სან ანტონიო: დანკანი (27 ქულა, 13 ქულა), ჯონსონი (20)

# უძლები გმირის დაბრუნება

## საფრანგეთი 2:3 ავსტრალია

ჯერ კიდევ შარშან, თითოეული ავსტრალიელი ჩოგბურთის მოყვარულის პირველი მტერი, მარკ ფილიპუსისი ფრანგულ ნიცაში გამართულმა დევისის თასის ფინალმა ეროვნულ გმირად აქცია.

წინა სეზონში გუნდის კაპიტან, ლეგენდარულ ჯონ ნიუკომბთან უსიამოვნო დავის გამო, „სკადმა“ დევისის თასზე თამაში იუარა, რისთვისაც პრესამ სახელი „შეულამაზა“ და „სილი (სულელ) პუსისად“ გადაუკეთა. მაგრამ უძლებ შვილს კვირას ყველა ცოდვა შეენდო: ერთეულებში მისმა შთამბეჭდავმა გამარჯვებებმა ავსტრალიელებს სანუკვარი ჯილდო მოუტანა.

„მე ყველასთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ დევისის თასი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სპორტსმენისთვის საკუთარი ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე საპასუხისმგებლო არაფერია, ამიტომ ამ წარმატებას ჩემი კარიერის ახალ დასაწყისად ვთვლი“ — ეს ახალგამოჩეკილი გმირის სიტყვებია.

„სკადმა“ ამით ფრანგების კაპიტან გი ფორჟესაც გასცა პასუხი, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე მეტოქეთა ვარსკვლავად ლეიტონ ჰიუიტი მიიჩნია და ავსტრალიელების პირველ ჩოგანს უჯიგრობა დასწამა.

0:1

**მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:4**

ფილიპუსისა და გროსჟანისთვისაც ეს დევისის თასის პირველი ფინალი იყო და მატჩის დასაწყისმა ნერვიულ ატმოსფეროსა და უამრავ შეცდომებში რომ ჩაიარა, არავის გაჰკვირვებია.

„შეხვედრამდე ნერვიულობისგან მაკანკალებდა. მინდოდა, რაიმე მეჭამა, მაგრამ ვერ შევძელი, ადგილსაც კი ვერ ვპოულობდი“ — აღიარა მოგვიანებით ავსტრალიელმა — „თუმცა შედარებით მალე დავწყნარდი. ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა და მზად ვიყავი, თუნდაც 5 საათი მეთამაშა, თუ საჭირო იქნებოდა“.

მართლაც პირველი სეტი სანახევროდ იქნებოდა გავლილი, ფილიპუსისმა კორტის უკანიდან მძლავრი არტილერია რომ აამუშავა, ფერმკრთალ და თითქმის 20 სანტიმეტრით დაბალ მეტოქეს ძალისმიერი თამაში მოახვია თავს და ორ საათზე ოდნავ ნაკლებში, ზედმეტი გაწამაწიის გარეშე თავისიანებს პირველი ქულა მოუტანა.

1:1

**სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 7:6 (9:7), 7:6 (8:6), 7:5**

სედრიკ პიოლინის მიერ 18 წლის ჰიუიტის სამ სეტში ძლევა იქნებ იოლ გამარჯვებადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებამ სამ საათსა და 40 წუთს გასტანა და ჩოგბურთელებსაც და მაყურებლებსაც მთელი ენერგია გამოაცალა.

პიოლინს, უბრალოდ, უფლება არ ჰქონდა, წაეგო, რადგან სამფეროვანთათვის ეს სიკვდილის განაჩენის ტოლფასი იქნებოდა და მანაც თავისიანები არ დაალალატა.

უაღრესად დრამატული გამოდგა პირველი ხელის ტაი-ბრეიკი. ჯერ 5:1-ით, მერე 6:3-ით დაწინაურებულმა ვეტერანმა ბოლო დარტყმას თავი ვერაფრით მოაბა და 7:6-ზე სეტ-პოინტი უკვე ჰიუიტს ჰქონდა. კიკინიან ავსტრალიელს ჩოგბურთის სამყაროში ნამდვილი მებრძოლის სახელი აქვს, მაგრამ დაძაბულობას მანაც ვერ გაუძლო და ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში ჯერ ორმაგი, მერე კი ორი უნებლიე შეცდომა დაუშვა.

მესამე სეტში პიოლინი ისევ წინ გავიდა — 5:1 და ბევრს მატჩის ბედი გადაწყვეტილიც ეგონა, მაგრამ დაუღლელმა ავსტრალიელმა როგორღაც ანგარიშის გათანაბრება მოახერხა — 5:5. აქ პიოლინს ოთხი ბრეიკ-პოინტის გადარჩენაც მოუხდა, რის შემდეგაც მარათონს მომდევნო გეიმში ზუსტი ფორჰენდით დაუსვა წერტილი.

„გამოცდილებას ვერ იყიდი. ასე ცუდად თავი არასოდეს მიგრძნია, დევისის თასის ფინალში წაგება საშინელი რამ არის და არ მინდა, ეს როდესმე ისევ გამოვცადო“ — განაცხადა ჰიუიტმა.

1:2

**მარკ ვუდფორდი და ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — ოლივიე დელეტრი და ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 2:6, 7:5, 6:2, 6:2**

ის, რომ დევისის თასის შეხვედრებში წყვილების მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ბევრი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება: 1978 წლიდან ფინალში ერთხელაც არ უმარჯვია წყვილებში დამარცხებულ გუნდს.

ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა, თუმცა ბოლო ათწლეულის საუკეთესო დუეტ „ვუდებს“ მეტისმეტად გაუჭირდათ. სანტოროსა და დელეტრს მრისხანე მეტოქეები აქამდე ორჯერ დაემარცხებინათ და თავიდან საქმეს იგივე პირი უჩანდა.

ფრანგები პირველი ხელის მოგების შემდეგ გამაყრუებელ ხმაურში ისევ დაწინაურდნენ და 4:2-ზე ვუდბრიჯის მოწოდებაზე 40:0-იც ჰქონდათ. „ვუდებმა“ თავი დაიძვრინეს, 3:5-ზე კი გასული უქმეების უმნიშვნელოვანესი ქულაც გათამაშდა.

40:30-ზე დელეტრის მოწოდებაზე ფრანგებს სეტ-პოინტი ჰქონდათ, ერთი ქულაც და ისინი უკვე მეორე ხელშიც იმარჯვებდნენ. დელეტრის მოწოდებისთანავე სანტორო ცენტრისკენ დაიძრა, რათა ვუდფორდის მიღება „ჩაეჭრა“, მაგრამ გამოცდილმა ოზმა მეტოქე შეცდომაზე დაიჭირა და ბურთი პირდაპირ, დაუცველ კორტზე გადაგზავნა. აქედან მოყოლებული, კორტზე მხოლოდ ერთი, ავსტრალიური წყვილი დარჩა, თავჩაქინდრულ ფრანგებს კი გი ფორჟეს შეძახილების მიუხედავად ღირებული არაფერი გაუკეთებიათ.

„ყველაფერი მასპინძლების სასიკეთოდ მიმდინარეობდა, მაგრამ „ვუდებმა“ გადაგვარჩინეს. ახლა უკვე ჩვენ ვართ მოსაგებ სიტუაციაში და იმედია, ჯილდოს ხელიდან აღარ გავუშვებთ“ — აღნიშნა ნიუკომბმა.

„დღეს რომ მოგვეგო, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. წყვილებიდან ქულის მოპოვებას ვიმედოვნებდი, ახლა კი უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს და სასწაულიღა თუ გვიხსნის“ — თავი ჩაქინდრა ფორჟემ.

1:3

**მარკ ფილიპუსისი — სედრიკ პიოლინი 6:3, 5:7, 6:1, 6:2**

ფილიპუსისის წინააღმდეგ იყო ორგზის დიდი სლემის ტურნირების ფინალისტი, კლასიფიკაციით მაღლა მდგომი ვეტერანი და 13 ათასი მტრულად განწყობილი მაყურებელი, რომელიც „მარსელიეზის“ სიმღერით და სტვენით აყრუებდა ნიცის სპორტულ კომპლექსს, მაგრამ „სკადი“ არ შედრკა.

„უაღრესად კონცენტრირებული ვიყავი. პატიოსნად შემიძლია განვაცხადო, რომ ტრიბუნების ხმაური არც გამიგია, მე მხოლოდ ხაზებზე მოხვედრილი ბურთების, მსაჯების გადაწყვეტილებების და საკუთარი გულისცემის ხმა მესმოდა“ — თქვა პრესკონფერენციაზე „სკადმა“.

ფილიპუსისმა მთელი მატჩი მაღალ დონეზე, ჩვეული „დაღმასვლების“ გარეშე ჩაატარა და თავის ბალისტიკურ მოწოდებას — 15 ეისსაც გამორჩა. იგი არც ზედმეტად მძლავრი დარტყმებით ცდილობდა ფონს გასვლას და ხშირად მეტოქის შეცდომას ელოდებოდა.

პიოლინმა მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ მეორე ხელში გაუწია, 4:5-ზე ბადესთან ლამაზი დარტყმით სეტ-პოინტი გადაარჩინა და მომდევნო სამი გეიმიც მოიგო, მაგრამ ეს იყო და ეს. მატჩის დაწყებიდან 2 საათსა და 40 წუთში ფილიპუსისმა გამარჯვების ნიშნად ხელები ასწია, მერე თავად ორმეტრიანი ჩოგბურთელი აიტაცეს თანაგუნდელებმა (მართალია, ცოტა გაჭირვებით) და მოედანი შემოარბენინეს, კორტზე კი გასაბერი კენგურუების წვიმა წამოვიდა.

„უიმბლდონზე რომ არ დავშავებულიყავი, ვინ იცის, იქ ვინ მოიგებდა (მეოთხედფინალში ფილიპუსისმა მომავალ ჩემპიონ სამპრასს პირველი სეტი მოუგო, მაგრამ მეორეში მუხლი დაიზიანა), მაგრამ ეს სეზონი წარუმატებლად მაინც აღარ ჩამეთვლება. ამ ტიტულს ყოველთვის ვარჩევ უიმბლდონისას. ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, მატჩპოინტზე მინდოდა, მეცეკვა და ყირაზე გადავსულიყავი. შეცდომები ვის არ მოსვლია, ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა. მე გავიზარდე“.

სედრიკ პიოლინმა კი მატჩის შემდეგ თავი პირსახოცში ჩარგო და კარგა ხანს ქვითინებდა.

2:3

**სებასტიან გროსჟანი — ლეიტონ ჰიუიტი 6:4, 6:3**

ბოლო მატჩი უკვე აღარაფერს წყვეტდა და სებასტიან გროსჟანის მიერ მეტოქის დამარცხებაც მასპინძლებს ოდნავ თუ დაამშვიდებდათ. საუკუნის უკანასკნელი, საიუბილეო გათამაშება ხომ ავსტრალიელების გამარჯვებით დასრულდა და ვერცხლის თასზეც სწორედ მათი გვარები ამოიტვიფრება.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ნიცადან

მატჩის გმირი მარკ ფილიპუსისი



# ერთმა ბურთმა რა ჰქნა



REUTERS

ჰოლანდიელი მარიკ ვან ლინდერი ბელარუსებს უტევს

ამ უქმეებზე ნორვეგია-დანიაში მიმდინარე ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩები გაიმართა.

საკმაოდ იოლად მოგებული სამი თამაშის შემდეგ ნორვეგიელებს ბოლო ორ ტურში ძალიან გაუჭირდათ. კვირას მათ დიდი წვალებით მოუგეს პოლონეთს, შაბათს კი პოლონეთისგანვე ძლეულ ჰოლანდიასთან დამარცხდნენ. ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებმა ვიკინგები უპირველესად სწრაფ თამაშში დაჩაგრეს. შეხვედრის ბოლოსკენ კი ნორვეგიელები, რომლებიც მდევრების როლში იყვნენ, განერვიულდნენ და შესაბამისად შეცდომებსაც მოუხშირეს. ეს მეტოქემ არ აპატიათ და მთელი ექვსი ბურთის სხვაობით დაამარცხეს, რაც ალბათ ტურნირის უპირველესი მოულოდნელობაა. A ჯგუფის ოთხი საუკეთესო შაბათსვე გაირკვა, როცა ბელარუსმა ავსტრალიას იოლად აჯობა და ჩეხთათვის მიუწვდომელი შეიქნა.

B ჯგუფის „ფინალი“ კვირას გაიმართა. რუმინეთისგან წინა დღეს ძლეულმა ავსტრიამ საფრანგეთს მეტად დაძაბულ ბრძოლაში აჯობა და ჯგუფში პირველ ადგილზე დამკვიდრდა, რაც მერვედფინალში შედარებით სუსტ მეტოქეს გულისხმობდა. თუმცა ამ ორ გუნდს მაინც ერთნაირი ძალის მოწინააღმდეგები შეხვდათ — პოლონეთი-ბელარუსის დაპირისპირება ფრედ (29:29) დასრულდა. რუმინელებისა და უკრაინელების მატჩი კი „მცირე ფინალი“ იყო. ორივეს სურდა გამარჯვება და ევროპის ჩემპიონების, ნორვეგიელების შეხვედრა, რადგან სკანდინაველთა მიმართ ჰოლანდიას აცდენოდნენ. საბოლოოდ უკრაინამ გაიტანა თავისი...

C ჯგუფში ყველა თამაში ლოგიკურად დამთავრდა — ძლიერებმა სუსტები დაიბრიყვეს. საუკეთესო ფორმაშია მსოფლიოს ჩემპიონი დანია, რომელმაც ყველა მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა და თანაც ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა (84). მასზე მეტის გატანა კი მხოლოდ უნგრეთმა შეძლო. დანიელებს მერვედფინალში ბრაზილია ელით, რომელიც D ჯგუფიდან ერთი ბურთის წყალობით გაძვრა. სამხრეთამერიკელებმა შაბათს თავის უშუალო კონკურენტ ჩინეთთან ფრედ ითამაშეს და ბურთების შეფარდებით უსწრებდნენ კიდეც. ყველაფერი კვირას უნდა გადაწყვეტილიყო: პირველად აზიელებმა ითამაშეს და კონგოს 16 ბურთით მოუგეს. ასე რომ, მათ მერვედფინალში გასასვლელად ბრაზილიის მინიმუმ 14-ბურთიანი წაგება უნდოდათ. თუმცა ჩინეთს მეზობელი რუსეთი მწარედ „გაეხუმრა“ და სამხრეთამერიკელები მხოლოდ 13-ბურთიანი სხვაობით დაამარცხა. ჯგუფის პირველი ადგილისა და ანგოლაზე გაცილებით ძლიერი მაკედონიის მერვედფინალში ასაცილებლად უნგრეთი და კორეა შეიბნენ. მოგება და ანგოლა საბოლოოდ ევროპელებს დარჩათ.

**გაგი გურული**

**A ჯგუფი. ჰამარი. ნორვეგია.**

მეოთხე ტური. 4 დეკემბერი

ბელარუსი 37:17 ავსტრალია
ნორვეგია 18:24 ჰოლანდია
პოლონეთი 27:24 ჩეხეთი

მეხუთე ტური. 5 დეკემბერი

ჩეხეთი 36:15 ავსტრალია
ჰოლანდია 29:24 ბელარუსი
ნორვეგია 22:19 პოლონეთი

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 4 | 0 | 1 | 124:101 | 12 |
| 2. ნორვეგია | 4 | 0 | 1 | 137:88 | 12 |
| 3. პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 126:114 | 10 |
| 4. ბელარუსი | 2 | 1 | 2 | 127:123 | 7 |
| 5. ჩეხეთი | 1 | 0 | 4 | 124:121 | 3 |
| 6. ავსტრალია | 0 | 0 | 5 | 75:166 | 0 |

**B ჯგუფი. ტრონჰეიმი. ნორვეგია.**

მეოთხე ტური. 4 დეკემბერი

უკრაინა 29:20 კოტ დივუარი
რუმინეთი 30:27 ავსტრია
საფრანგეთი 34:21 კუბა

მეხუთე ტური. 5 დეკემბერი

კოტ დივუარი 32:17 კუბა
რუმინეთი 26:27 უკრაინა
ავსტრია 22:19 საფრანგეთი

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 4 | 0 | 1 | 144:125 | 12 |
| 2. საფრანგეთი | 4 | 0 | 1 | 124:98 | 12 |
| 3. უკრაინა | 3 | 0 | 2 | 138:109 | 9 |
| 4. რუმინეთი | 3 | 0 | 2 | 146:110 | 9 |
| 5. კოტ დივუარი | 1 | 0 | 4 | 110:142 | 3 |
| 6. კუბა | 0 | 0 | 5 | 103:181 | 0 |

**C ჯგუფი. კოლდინგი. დანია.**

მეოთხე ტური. 4 დეკემბერი

გერმანია 32:22 იაპონია
ანგოლა 37:13 არგენტინა
დანია 27:24 მაკედონია

მეხუთე ტური. 5 დეკემბერი

იაპონია 34:15 არგენტინა
მაკედონია 34:22 ანგოლა
დანია 31:28 გერმანია

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 5 | 0 | 0 | 159:84 | 15 |
| 2. გერმანია | 3 | 1 | 1 | 137:100 | 10 |
| 3. მაკედონია | 3 | 0 | 2 | 136:107 | 9 |
| 4. ანგოლა | 1 | 2 | 2 | 113:120 | 5 |
| 5. იაპონია | 1 | 1 | 3 | 118:124 | 4 |
| 6. არგენტინა | 0 | 0 | 5 | 52:180 | 0 |

**D ჯგუფი. ლილეჰამერი. ნორვეგია.**

მეოთხე ტური. 4 დეკემბერი

კორეა 36:19 კონგო
ბრაზილია 24:24 ჩინეთი
რუსეთი 25:34 უნგრეთი

მეხუთე ტური. 5 დეკემბერი

კონგო 15:31 ჩინეთი
რუსეთი 30:17 ბრაზილია
უნგრეთი 33:29 კორეა

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უნგრეთი | 5 | 0 | 0 | 162:109 | 15 |
| 2. კორეა | 4 | 0 | 1 | 151:115 | 12 |
| 3. რუსეთი | 3 | 0 | 2 | 159:122 | 9 |
| 4. ბრაზილია | 1 | 1 | 3 | 104:123 | 4 |
| 5. ჩინეთი | 1 | 1 | 3 | 120:140 | 4 |
| 6. კონგო | 0 | 0 | 5 | 91:178 | 0 |

**დღეს მერვედფინალში ითამაშებენ**

| | |
|---|---|
| მაკედონია — კორეა | ჰოლანდია — რუმინეთი |
| ავსტრია — ბელარუსი | პოლონეთი — საფრანგეთი |
| დანია — ჩინეთი | უკრაინა — ნორვეგია |
| რუსეთი — გერმანია | უნგრეთი — ანგოლა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიატლონი

# ევროპის ტყეებში ისვრიან

კიდევ ერთი თეთრი სახეობის წარმომადგენლები ჩაერთნენ მსოფლიო თასისთვის ბრძოლაში — ავსტრიაში ამ შაბათ-კვირას თხილამურიანი რეინჯერები შეუდგნენ საქმეს. საქმე კი იოლთა კატეგორიას არ განეკუთვნება. ზურგზე შაშხანამოკიდებული თოვლსა და ყინვაში კილომეტრების გარბენა და შიგადაშიგ მიზანში სროლა მართლაც არ არის სახუმარო საქმე. ბიატლონს — ამ დინამიურსა და ემოციურ სახეობას სათხილამურო ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ცხადია, მრავლდება ქომაგთა რიცხვიც. ის, ვინც კვირას ეროვნული ნაკრებების შეჯიბრებას — ესტაფეტას ადევნებდა თვალს, ამაში უთუოდ დაგვერწმუნება. მასპინძელთა — ავსტრიელ გულშემატკივართა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მწვრთნელთა დაუფარავი ემოციები სრულად შეესაბამებოდა იმას, რაც დათოვლილ ტყეში გაკვალულ ტრასებზე ხდებოდა. ჯილდოც, ცხადია, მხურვალე ქომაგობისთვის, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ფანტასტიკური გამოდგა — ავსტრიელთა გუნდმა უშეცდომოდ გაიარა ოთხჯერ შვიდნახევარი კილომეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდის არც ერთ წევრს დაუზიანებელი არ დაუტოვებია მისთვის განკუთვნილი სამიზნეები და ფინიშთან ნორვეგიისა და გერმანიის შესანიშნავ გუნდებზე ადრე მივიდა. ნორვეგიელთა მეორე ადგილი ფოტოფინიშმა გაარკვია. სასწაული ქალთა ასპარეზობაში, ცხადია, ვეღარ გამეორდა — პირველი იყო ნორვეგიის, მეორე გერმანიის, მესამე რუსეთის გუნდები.

ბიატლონისტთა სეზონი კი წინა დღეს 20 კილომეტრზე პირად პირველობაში მონაწილე კაცებმა გახსნეს. აქ მიუწვდომელი იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი ოლე ბიორნდალენი. ბიორნდალენი კონკურსგარეშე აღმოჩნდა გამოდევნებით რბოლაშიც (12,5 კმ). მათთვის, ვისთვისაც უცხოა ამგვარი შეჯიბრება, ორიოდე სიტყვით განვმარტავ. სპორტსმენები სტარტზე იმ მიმდევრობით გადიან, რა მიმდევრობითაც დაიკავეს ადგილები წინა დღის 10 ანდა 20 კილომეტრზე შეჯიბრებაში. სტარტს იღებს გამარჯვებული, მეორე ადგილზე გასული კი იმდენი წამის შემდეგ დაადგება გზას, რამდენიც წააგო წინა დღეს და ა.შ. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ფინიშთან პირველი მივა.

მოკლედ, ბიორნდალენისთვის წინა დღით მოგროვებული 50-წამიანი მარაგი სავსებით საკმარისი გამოდგა. მეორე და მესამე მისი მთავარი კონკურენტები, გერმანელები ლუკი და ფიშერი მივიდნენ ფინიშთან.

ქალებში საუკეთესო იყო ფრანგი ნიოგრე, მეორე ადგილზე გავიდა რუსი ახატოვა, მესამეზე — შვედი ფორსბერგი.

**საერთო ჩათვლა**

| კაცები | ქულა |
|---|---|
| 1. ოლე ბიორნდალენი | 60 |
| 2. ფ. ლუკი | 50 |
| 3. ჰიტელაჰტი | 41 |
| 4. პუარე | 37 |
| 5. როსტოვცევი | 36 |
| 6. ფიშერი | 35 |
| **ქალები** | |
| 1. ნიოგრე | 54 |
| 2. ფორსბერგი | 50 |
| 3. კუკლევა | 49 |
| 4. ახატოვა | 47 |
| 5. ბავერლი | 44 |
| 6. ზუბრილოვა | 41 |

მთის თხილამურობა

# გამარჯვებას ნიჭის გარდა მოტივაციაც სჭირდება


ჰერმან მაიერი

დასასრულს უახლოვდება სამთომოთხილამურეთა ამერიკული ტურნე. ლეიკ-ლუისში ბოლო ორი სტარტი სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში სპეციალისტებმა სენსაციადაც კი მონათლეს. მიზეზი კი, კაცმა რომ თქვას, იმდენად უმნიშვნელოა, საბაბადაც ვერ გამოდგება — აქაოდა, ლიდერმა ჰერმან მაიერმა სწრაფდაშვებაში ერთადერთი კაცი გაუშვა წინ, ცხადია, სერიოზული განსჯის საგნად ვერ იქცევა. მით უფრო, რომ ტრასა ამინდის ჭირვეულობის გამო საკმაოდ დაამოკლეს, რითაც, პირველ ყოვლისა, მაიერი დაზარალდა. სენსაციების მოყვარულთ მეორე დღეს, ახლა უკვე სუპერგიგანტის ტრასაზე, მაგარ-მაგარი გამოთქმების ხალისი საბოლოოდ წაერთვათ — მაიერმა ისევ გაიმარჯვა და თასისთვის ბრძოლაში დიდი უპირატესობით ლიდერობს. შედარებით ზომიერმა და, ცხადია, უფრო მცოდნე კომენტატორებმა ჰერმანის მეორე ადგილი შემდეგნაირად ახსნეს. ავსტრიელ სპორტსმენს მისი მთავარი მეტოქის, თასის შარშანდელი მფლობელის, ნორვეგიელი ლასე კიუსის არყოფნის დროს მოტივაცია [illegible]. ნორვეგიელი კი ლეიკ ლუისის ბოლო სტარტებზე არ გასულა, იგი ევროპაში გაემგზავრა და სერიოზულად ემზადება საკმაოდ ხანგრძლივი ევროპული ტურნირისთვის, რომელიც მარტამდე გასტანს.

**საერთო ჩათვლა**

| კაცები | ქულა |
|---|---|
| 1 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 580 |
| 2 შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) | 380 |
| 3 ანდრეას შიფერერი (ავსტრია) | 223 |
| 4 კეტილ ამოდტი (ნორვეგია) | 197 |
| 5 ფრედერიკ ნუბერგი (შვედეთი) | 179 |

ქალები. 4 დეკემბერი. სიერ შევალიე. საფრანგეთი. გიგანტური სლალომი.

| | წთ |
|---|---|
| 1 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 2.14,21 |
| 2 ანიტა ვახტერი (ავსტრია) | 2.14,52 |
| 3 სილკე ბაშმანი (იტალია) | 2.14,83 |
| 4 იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) | 2.15,06 |
| 5 რენატა გოეტჩლი (ავსტრია) | 2.15,12 |

5 დეკემბერი. სლალომი

| | წთ |
|---|---|
| 1 იანიკა კოსტელიჩი | 1.23,34 |
| 2 ტრინე ბაკე (ნორვეგია) | 1.25,12 |
| 3 საბინე ეგერი (ავსტრია) | 1.25,73 |
| 4 ანია პერსონი (შვედეთი) | 1.26,14 |
| 5 რენატა გოეტჩლი | 1.26,15 |

**საერთო ჩათვლა**

| | ქულა |
|---|---|
| 1 იანიკა კოსტელიჩი | 286 |
| 2 რენატა გოეტჩლი | 242 |
| 3 მიქაელა დორფმაისტერი | 218 |
| 4 იზოლდე კოსტნერი (იტალია) | 210 |
| 5 რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) | 188 |

ჰოკეი

3 დეკემბერი

**ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 1:1 (1:1 0:0 0:0)**
0:1 კ. ჯონსონი 13'46 (3); 1:1 ტრნკა 15'30 (2)

**ატლანტა — ფლორიდა 2:1 (0:1 2:0 0:0)**
0:1 დვორჟაკი 11'12 (6); 1:1 ბრიუნეტი 20'59 (11); 2:1 ტრამბლე 38'02 (3)

**ნიუ ჯერსი — ოტავა 7:4 (1:1 2:2 4:1)**
1:0 მაკეი 10'04 (7); 1:1 ზამუნერი 13'58 (4); 1:2 ტრავერსი 25'57 (2); 1:3 პროსპალი 34'47 (5); 2:3 სიკორა 35'12 (7); 3:3 პანდოლფო 37'52 (1); 4:3 მაკეი 40'13 (8); 5:3 სიკორა 43'51 (8); 6:3 ჰოლიკი 44'30 (9); 7:3 ნიდერმაიერი 47'00 (2); 7:4 მაკიჩერნი 53'09 (8)

**რეინჯერსი — მონრეალი 3:2 (1:1 2:0 0:1)**
1:0 გრეივსი 17'27 (6); 1:1 ჟორდი 18'23 (1); 2:1 ნაბლი 23'58 (5); 3:1 ლაკრუა 37'(2); 3:2 რივე 51'34 (2)

**ჩიკაგო — დეტროიტი 4:7 (1:2 2:2 1:3)**
0:1 რესტი 14'17 (2); 0:2 აიზერმანი 16'51 (9); 1:2 გილმორი 19'33 (7); 1:3 ლიდსტრიომი 26'15 (6); 2:3 დიუმონი 27'56 (2); 3:3 ამონტე 2,'29 (14); 3:4 შენაჰანი 35'11 (14); 3:5 შენაჰანი 40'42 (15); 3:6 მერფი 46'44 (5); 4:6 სალივანი 48'54 (11); 4:7 ლაპოინტი 59'02 (7)

4 დეკემბერი

**ბოსტონი — ჩიკაგო 3:9 (2:2 0:4 1:3)**
0:1 გილმორი 5'19 (8); 0:2 ნიულანდერი 7'34 (4); 1:2 ბურკი 12'08 (5); 2:2 ტორნტონი 17'35 (6); 2:3 ნიულანდერი 22'30 (5); 2:4 გილმორი 27'03 (9); 2:5 ნიულანდერი 27'30 (6); 2:6 დიუმონი 33'47 (3); 2:7 დაზე 40'55 (9); 3:7 პალბიგი 52'07 (2); 3:8 ნიულანდერი 53'21 (7); 3:9 დაზე 55'45 (10)

**ბუფალო — რეინჯერსი 1:1 (1:0 0:0 0:1 0:0)**
1:0 აფინოგენოვი 12'04 (6); 1:1 დეიგლი 42'18 (3)

**მონრეალი — ფილადელფია 2:3 (1:1 1:1 0:1)**
1:0 ზუბრუსი 11'06 (7); 1:1 ტერიენი 13'54 (1); 1:2 მაკარტი 23'26 (5); 2:2 დაიპიუსი 31'26 (4); 2:3 რეკი 46'36 (1)

**აილენდერსი — ატლანტა 3:4 (0:2 2:0 1:2)**
0:1 სილვესტრი 10'22 (4); 0:2 სტეპლტონი 19'45 (2); 1:2 გრინი 31'55 (3); 2:2 ისბისტერი 34'21 (8); 2:3 ლამბერტი 43'44 (3); 3:3 ჩერკავსკი 50'07 (9); 3:4 სტეპლტონი 59'29 (3)

**ოტავა — დალასი 1:3 (0:1 0:0 1:2)**
0:1 ლანგენბრუნერი 18'08 (5); 0:2 მოროუ 45'48 (2); 1:2 არვედსონი 48'21 (9); 1:3 მოდანო 50'20 (9)

**ტორონტო — პიტსბურგი 3:2 (1:1 1:1 0:0 1:0)**
1:0 სუნდინი 0'56 (12); 1:1 კოვალიოვი 3'28 (11); 1:2 კოვალიოვი 34'17 (12); 2:2 ჰოგლუნდი 35'03 (13); 3:2 სუნდინი 60'27 (13)

**ფლორიდა — ვაშინგტონი 2:1 (1:0 1:1 1:0)**
1:0 ბურე 12'17 (19); 1:1 კონოვალჩუკი 25'12 (6); 2:1 მელანბი 43'10 (3)

**ნიუ ჯერსი — კალგარი 2:4 (0:2 0:2 2:0)**
0:1 სტილმანი 6'53 (11); 0:2 იგინლა 19'37 (5); 0:3 ნაზაროვი 21'13 (4); 0:4 სენტლუისი 30'03 (1); 1:4 სტივენსი 43'33 (4); 2:4 ნიდერმაიერი 54'48 (3)

**ნეშვილი — დეტროიტი 4:1 (2:0 1:1 1:0)**
1:0 ტიმონენი 11'06 (5); 2:0 ლეგვანდი 12'30 (5); 2:1 აიზერმანი 31'18 (10); 3:1 ბერეჰოვსკი 81'34 (4); 4:1 ვალიჩევიჩი 48'44 (9)

REUTERS ტორონტოდან



პიტსბურგელი ჰანს იუნსონი (8) მომხდურ ტორონტოელ სერგეი ბერეზინს უმკლავდება

**სენტ ლუისი — სან ხოსე 4:2 (1:0 0:0 3:2)**
1:0 ჰეხტი 1'26 (5); 2:0 ტარჯონი 40'33 (14); 3:0 ისტვუდი 48'46 (9); 3:1 ნოლანი 54'00 (8); 3:2 სატერი 58'05 (4); 4:2 კინგი 59'08 (2)

**კოლორადო — კაროლინა 3:1 (1:0 1:1 1:0)**
1:0 რიდი 10'53 (3); 1:1 ფრენსისი 23'57 (5); 2:1 როლსტონი 31'54 (6); 3:1 ჰეიდუკი 45'35 (16)

**ფინიქსი — ანაჰაიმი 1:2 (0:1 0:0 1:1)**
0:1 მაკენზი 10'16 (1); 0:2 დონატო 42'06 (4); 1:2 ლეტოვსკი 54'50 (7)

**ედმონტონი — ვანკუვერი 3:2 (2:1 0:1 1:0)**
1:0 სმიტი 2'23 (10); 2:0 გერინი 3'46 (4); 2:1 ნესლუნდი 19'04 (8); 2:2 ოკუანი 29'23 (5); 3:2 სმიტი 52'01 (11)

**ლოს ანჯელესი — ტამპა 3:3 (2:0 0:1 1:2 0:0)**
1:0 მიურეი 4'46 (10); 2:0 ციპლაკოვი 10'10 (5); 2:1 ჟორინერი 27'24 (4); 3:1 მიურეი 55'23 (11); 3:2 გრეტონი 57'22 (7); 3:3 დრულია 59'36 (6)

5 დეკემბერი

**ფილადელფია — სენტ ლუისი 3:2 (2:1 0:0 1:1)**
1:0 ლეკლერი 43'34 (13); 1:1 იანგი 4'09 (5); 2:1 რეკი 6'15 (12); 2:2 დემიტრა 52'01 (12); 3:2 ლეკლერი 55'25 (14)

მძლეოსნობა

# ძაღლის თავი კბილის პასტაში

კარგად დამარხულ ძაღლის თავს იშვიათად აგნებენ, რაკილა მას ხშირად წარმოუდგენელ ადგილზე საგულდაგულოდ ფლავენ. ახლაც ასე მოხდა და, აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მის კვალს ბოლოს და ბოლოს კბილის პასტაში მიაგნებდნენ.

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად.

გერმანელმა დიტერ ბაუმანმა სახელი გაითქვა არა მხოლოდ ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე 5 ათას მეტრზე ოქროს მედლის მოპოვებით, არამედ დოპინგთან თავგამოდებული ბრძოლითაც. მაგრამ აკრძალული პრეპარატის კვალს, კერძოდ ნანდროლინს, მის შარდშიც მიაგნეს.



დიტერ ბაუმანი

მძლეოსნის თქმით, ერთი ანალიზი მას 19 ოქტომბერს, ხოლო მეორე 12 ნოემბერს, ვარჯიშისას აუღეს. როდესაც გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციამ ბაუმანს ტესტირების პასუხები აცნობა, სპორტსმენი ანალიზის შედეგებით ფრიად გაკვირვებული დარჩა. მის შარდში აკრძალული პრეპარატი დასაშვებზე 10-ჯერ მეტი შემცველობით აღმოჩნდა.

34 წლის ბაუმანმა, როგორც ვიუწყებოდით, ამ ორიოდე კვირის წინ, განაცხადა, წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება. ყველა ღონეს ვიხმარ, რათა საქმის ვითარებაში გავერკვეო. მერე იგი ყველას მოუწოდებდა, დოპინგის კვალი საკვებსა და სასმელში ეძებნათ, რადგან ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მას არანაირი სამედიცინო პრეპარატი არ გამოუყენებია და არც დიეტა შეუცვლია.

მართალია, ბაუმანის ვარაუდი საკვებთან დაკავშირებით არ გამართლდა, მაგრამ ახლოს მაინც მივიდა. საქმე ის არის, რომ ანტიდოპინგური ინსტიტუტის წარმომადგენლების განცხადებით, მათ ნანდროლინის კვალს... კბილის პასტაში მიაგნეს.

დოქტორ ვილჰელმ შნეცერის თქმით, ასეთი ტესტირება ჩაატარეს სპეციალიზებულ ლაბორატორიაში, რომელიც გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციასთან თანამშრომლობს.

— დოპინგი კბილის პასტის ტუბში ვიღაცის მიერ შპრიცით იყო შეყვანილი. ასეთი მანიპულაცია შესაძლოა, შინ მოხდა, ან ვიღაცამ გარედან ჩაიდინა. — განაცხადა შნეცერმა ფედერაციის შტაბ-ბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ბაუმანის ადვოკატის მაიკლ ლენერის თქმით, მისი კლიენტის კბილის პასტაში ნანდროლინის არსებობა ვიღაცის მიერ წინასწარ განზრახვით, შეგნებულად ჩადენილი დანაშაულია, რაზეც დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

— ანტიდოპინგური ინსტიტუტის აღმოჩენა ჩემთვის ამ რთულ სიტუაციაში წინგადადგმული ნაბიჯია — განუცხადა ბაუმანმა გერმანიის სპორტული ამბების სააგენტო SID-ს და იქვე დასძინა, ნანდროლინზე დადებითი პასუხზე მიზეზის პოვნა ჩემს ინტერესებში იყო.

გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის კანონის თანახმად, ათლეტი, რომელიც აკრძალულ პრეპარატზე ტესტირებისას დადებით პასუხს მიიღებს, ავტომატურად ორწლიანი დისკვალიფიკაციით ისჯება.

— ყველაფერს მეცნიერული ანალიზი გაუკეთდა. ამჯერად მჯერა, რომ სახელმწიფო პროკურორები გამოავლენენ დანაშაულზე პასუხისმგებელ პირებს — ამბობს ბაუმანი.

ფედერაციის პრეზიდენტი ჰელმუტ დიგელი ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ ბაუმანი მისი თანამოაზრე იყო იმ ბრძოლაში, რომელიც სპორტის დოპინგისგან გაწმენდას ემსახურებოდა.

აღსანიშნავია, რომ დიგელი ბოლომდე მხარში ედგა ბაუმანს.

საინტერესოა ლაბორატორიის თანამშრომელთა თავდადებაც. მათ საკუთარ კბილებზე გამოსცადეს ბაუმანის კბილის პასტა, რის შემდეგაც ტესტირებისას ყველამ დადებითი პასუხი მიიღო. ახლა საკითხავი ისაა, კბილის პასტაში ნანდროლინი ტესტირებამდე იყო შეყვანილი თუ მერე.

გიგა გურასპაშვილი


REUTERS ტოკიოდან

# პელემკარდი

სადაც პრეზენტაციაა და პელეც იქვეა. ამჯერად ტოკიოში: მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა სპონსორმა, „მასტერკარდმა“ ახალი საკრედიტო ბარათი გამოუშვა. ბარათს „პელე“ ჰქვია და ფეხბურთის მეფის ავტობიოგრაფიით და ფოტოებითაა დამშვენებული.

| იტალია | გერმანია |
| --- | --- |
| ტრევიზო 2:0 ალძანო | კარლსრუე 0:0 კიოლნი |
| **საბერძნეთი** | |
| ეთნიკოსი [illegible] იონიკოსი | |

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS ინსბრუკიდან

# ტრაგედია ინსბრუკში

აი, ინსბრუკის „ბერგ ისელის“ ტრიბუნები. გუშინწინ აქ ტრაგედია მოხდა — სნოუბორდის შეჯიბრების საყურებლად შეკრებილ მაყურებლებს შორის წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად ხუთი გოგონა დაიღუპა. დაღუპულების ასაკი 14-დან 21 წლამდეა. ოთხი მათგანი ავსტრიელი იყო, ერთი — ავსტრალიელი ტურისტი.

# ფუტზალის გზნებანი


REUTERS სინგაპურიდან

სინგაპურში დიდი ჩხუბი ამტყდარა ფუტზალის (მძიმებურთიანი ფეხბურთი) შეჯიბრის დროს. „ტაიგერ 5“-ის განთქმული ტურნირის ნახევარფინალში ესპანეთის და ბრაზილიის ნაკრებებს გუნდი გუნდზე დაუცხიათ, რახან ერთ ბრაზილიელს დედა შეუგინებია ერთი ესპანელისთვის. ესპანელები სისხლმდუღარე ხალხია, მაგრამ ყველაზე მეტად გადარეულა არნალდო ფერეირა (წინა პლანზე), ტომით ბრაზილიელი, ესპანელთა გუნდის წევრი, მაგ ჩემი თანამემამულეების ჯიგარს დავხევო.


REUTERS დილიდან

# ეროვნული ლიდერი ბურთაობს

ეს ვეტერანი ფეხბურთელი ჯორჯ ბესტი არ გეგონოთ. ისიც კუნძულელი კაცია, მაგრამ... თქვენს წინაშეა აღმოსავლეთ ტიმორის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი სანანა გუსმაო. ამ კაცს თავის პარტიზანთაგან ფეხბურთის გუნდი შეუკრავს და ქალაქ დილის გუნდს დასჯახებია.

# ფერარელები კიოლნში



REUTERS კიოლნიდან

კიოლნის ახლო, გერმანიაში, იუნესკოს მხარდასაჭერად გაიმართა გოუ-კარტის შეჯიბრება. ამ სალაღობო რბოლებში, როგორც წესი, უგანთქმულესი ფორმულელები მონაწილეობენ. მიხაელ შუმახერს პირველი ნომერი გოუ-კარტი ერგო, მერე კი, ისა და რუბენს ბარიკელო რაღაცაზე (ალბათ ძრავებზე) ლაპარაკობდნენ. ბარიკელო უკვე „ფერარის“ წევრია და ამათი ლაპარაკი და თათბირობა ახლა სხვა მნიშვნელობას იძენს.



REUTERS კიოლნიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli